

652
966 / 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველო

1966



ქართული
წიგნიერება



ლიბერალურ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
შურობა

საქართველოს მწერალთა
კავშირის აპარის
განყოფილების ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

- ნ. მაღაზონია — ოქტომბრის
დროშა (ლექსი) . . . 3
- პ. ლორია — სიბოლო, სიტყვო
და სიუხვე ჩვენი ქვეყნისა
(ნარკვევი) . . . 4
- მ. ვარშანიძე — ლექსები . . . 9
- ბ. შუბინაძე — ესეიზები . . . 13
- შ. ზორიძე — ლექსები . . . 16
- ნ. მოღვაძე — მზის ჩასვლის
წინ (მოთხრობა) . . . 18
- ლ. ანანიძე — საღამო ზღვაზე
(ლექსი) . . . 30
- ს. მომეი — კვალი ჭუნგლებში
(მოთხრობა, ინგლისურიდან
თარგმნა ს. პეტროვამ) . . . 31
- მ. ლერმონტოვი — ესპანური
ბალადა (ლექსი, თარგმნა
გ. სალუქვაძემ) . . . 42
- კუზლიკაძე
ლ. ასათიანი — ლექსები . . . 44
- ლ. ხელაძე — არტურ ლაისტი
აქარის შესახებ (გამოუქვეყნე-
ბელი სტატია „ბათუმში“) . . . 47
- ფოლკლორი
- პ. ნოღაიძე — გედევანიძეების
ეტიმოლოგიური საქციელი . . . 51

6

1966

ნოემბერი
დეკემბერი

აჭარის შურონალ-გაზეთების გამომცემლობა


10.106.

კრიტიკა და კუბლიცისტიკა	
კ. ვლიზბარაშვილი — აღმავ- ლობის გზით	55
ი. ლეჟინა — მშენებლის, იდეა- ლოგისა და რომანტიკულის ურთიერთდამოკიდებულება	58
ი. ვარლამიშვილი — აღექსან- დრე გარსევანიშვილის ლიტე- რატურულ-კრიტიკული მემკვი- დრეობა	63
ლიტერატურული კალენდარი	
შ. ქურდიძე — ხალხის საყვარელი მწერალი	68
აშარის წარსულიდან	
ვლ. მგელაძე — პეტრე უმიკა- შვილი აჭარელთა მუშაობის შესახებ	82
წიგნის თარო	
პ. ნაცვლიშვილი — ირაკლი აბაშიძის ახალი ლექსთა კრებული	87
ი. ჯაბახიშვილი — ფიქრები „ზღვის ზვილზე“	89
ვლ. სივინაძე — მხოლოდ რეპ- ლიკა	91
ჟურნალ „ლიტერატურული აჭა- რის“ 1966 წლის ნომრების შინაარსი	93

რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:

ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი),
პ. ლორია, აღ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.
ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.



ნესვორ მალაზონია

ოქტომბრის დროშა

ოქროსფერი ოქტომბერი
სხვა თვეს არ ჰგავს.
სხვა დროს არ ჰგავს.
ოქროსფერი ოქტომბერი
მეწამული მზით და ფერით
გამარჯვების დროშას ქარგავს.

ჩვენ ამ დროშას სად არ ვახლდით.
მისი რხევა სად არ გვესმა!
დღეს მშრომელი ჩვენი ხალხი
ღვაწლმოსილი დადის ქვეყნად,
სიმართლეს და ღიმისს თესავს.

მო. დავლოცოთ ამ დღის მოსვლა,
მომეც ხელი, მეგობარო!
დიდ ოქტომბერს მოგილოცავ,
მშობლიურო მთა და ბარო!



პაკმენ ლოკია

სითბო, სიტკბო და სიუხვე ჩვენი ქვეყნისა

უკანასკნელი ცნობების გადმოცემის დასასრულს მოსკოვის ამინდის ბიურო პროგნოზს გვთავაზობს.

საოცარია ჩვენი პლანეტის მრავალფეროვნება; საბჭოთა კავშირი ხომ სინთეზია დედამიწის ამ ფეროვნებისა და სილამაზის!

ჩრდილოეთს უკვე ზამთარი სტუმრებია და ყინვები მიძალებია; სამხრეთ-სახალინო, ხაბაროვსკი, მაგადანი და მთელი ეს უზარმაზარი მხარე ჩრდილოეთისა თოვლის საბანში გახვეულა. მოსახლეობა თბილელთ შემოსილა და თხილამურებით დასრიალებენ; ზოგან წყნარი და ყინვიანი ტაროსია. ზოგან ქარი, ქარბუქი და ქარაშოტი მძვინვარებს.

მოსკოვში ათი-თორმეტი გრადუსი ყინვა არისო, ამბობს დიქტორი.

შთაგონების გავლენით, ალბათ, საბანში გავეხვეოდი, მაგრამ...

„ბათუმის ამინდის ბიუროს პროგნოზით დღეს აჭარაში მოსალოდნელია ცვალებადი მორეზულულობა უნალექოდ, ტემპერატურა ოცი-ოცდახუთი გრადუსი სითბო“.

შემოდგომის უკანასკნელი თვის დამდეგია...

ქუჩებში ჩვეულებრივი ფუსფუსი და ხმაურია: მოსწავლეები სკოლისაკენ მიიქჟარიან, ღიასახლისები — ბაზარში, მუშა-მოსამსახურენი — ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში, ექსკურსანტთა ხშირი ჯვუფები კი ზღვისპირისაკენ და პლაჟზე ტანზევით შიშველი სხდებიან; ზოგი ბანობასაც არ ერიდება და შორს გაჭრილი უფრო წინ მიცურავს.

ზღვა მშვიდია, წყნარი, სუფთა, კრიალა და ფართოდ გაშლილი.

იქ, ჩრდილოეთში, ზამთარია, ყინვა და სუსხი; ღუმელის აბლოს იკრიბებიან, ქურქებს იცვამენ, თბილელში ეხვევიან...

აქ კი...



— თუ შეიძლება შემიცვალეთ ადგილი, თავის ტკივილი ვიცი და მზეს ვერადები. — სთხოვს ერთი მანდილოსანი ავტობუსში ჭაბუკუნს.
— მე კი მზე მიყვარს. — ჭაბუკს დავასწარი და მოხოვხელს ჩემი ადგილი შევთავაზე.

„ბათუმი-ამბროლაური“.

ეს მარშრუტის საცნობარია. მანქანა ამბროლაურამდე მიდის, მაგრამ მგზავრების მეტი ნაწილი უფრო ახლო დაიფანტება. მაგალითად, მე...

არც კი ვიცი სანამდე მიყვები. შეიძლება მახარაძემდე, ან უფრო შორს ან აქეთ. იქნებ ქობულეთში ჩამოვხტე და უკანვე გამოვბრუნდე.

„ტყუილად ჯდომას ტყუილად სიარული სჯობიაო“, ნათქვამია და, ალბათ, მეც ამ ხალხურმა სიბრძნემ ამიყოლია. ყოველ შემთხვევაში ჩემი ასაკის კაცი უკეთეს გასართობს ვერ მოისაზრებს...

თუ ყოველ კვირაში არა, თვეში ორ-სამჯერ მაინც ყველას გაუვლია ამ ლამაზი გზით. მაგრამ არც თუ ისე ალტაცებულა. ზოგს, ალბათ, კიდევაც ჩასთვლემია რბილ საზურგეზე მიწოლილს. ცოდვა გატეხილი სჯობს, ზოგჯერ მეც მიმიბაძავს მათთვის და ამ ზღაპრული მიდამოებისათვის ყურადღება არ მიმიქცევია...

მაგრამ დღეს განსაკუთრებით ყურადღებიანი ვარ და ყველაფერს პირველმნახველივით ვათვალიერებ.

აგერ ციტრუსებით გამეჩხელები გორაკი. სიმწიფეში შესული მანდარინები მაცდურად გვიწვევენ თავისკენ. ოქროსფერი ნაყოფი საამურ სურნელებას აკმევს პაერში.

აქა-იქ ვაშლის ხეებიც არ გაუკრიფავთ. ხურმაც მრავალ ხეზეა შეჩენილი, მაგრამ სადაც მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალია, იქ სხვა ხილს ფასი და მოწონება ნაკლებად აქვს.

გზადაგზა ყვავილებული ხეები გვხვდება. ეს იაპონური მუშმულაა — ჩვენებურად ზღმარტლი; ზოგიერთ ქვეყანაში იგი ორ-სამ მოსავალს იძლევა წელიწადში, ზოგან სულ არ ხარობს. ხოლო აქ მაისში გვთავაზობს ნაყოფს, მთელი შემოდგომა და ზამთარი კი ყვავილობს და ნაყოფს ავითარებს. ამჟამად იგი მტევნებად შეკრულ ყვავილებშია და მწვანე ფოთლებით შემოსილი. მის გარშემო ფუტკრების ზუთილი და ფაციფუცია. ვინ იცის, საიდან მოფრენილან ეს პატარა მწერები თავლისა და წმინდა სანთელის მოსაპოვებლად.

მეტად თავისებური და სრულყოფილი კოლექტივი აქვთ ამ პაწაწინა მწერებს.

ჩაის ბუჩქებსაც ახლა მოსურვებით აყვავილება. არ ვიცი რამდენად ეტანებიან მას თავლის ოსტატები. მაგრამ მე კი მგონია უხვი სიტკბოა მოდებული ამ ყვავილების ფითილებზე.

ავტობუსში ჩემს წინ ორი კაცი საუბრობს: პირველი ხანდაზმული



მამაკაცია, მეორე — შუახნისა იქნება.

— აქ ჩაის თესლი იაპონიიდან ჩამოუტანია ერთ ჩვენებურ კაცს, რომელიც ამბობს პირველი. — საიდუმლოდ. ქაშარში გამოკერებული ჯიბით. შუახნისა პაპოვებს გაუშენებიათ ჩაის მამული, მერე სხვებსაც მოუყიდნიათ ხელი ამ საქმისთვის.

მისი თანამგზავრი კმაყოფილია ნაპობით და მადლობას უხდის.

მე უკეთ ვიცი ამ კულტურის მოშენების ისტორია, მაგრამ ალბათ, არც ისე ზუსტად, თავი რომ გამოვიდო და ამიტომ საუბარში არ ვებმეზი.

მანქანა მწვანე კონცხის უღვლტეხილზე გადავიდა და ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სამფლობელოში შეიჭრა.. ეს ადგილი საუფლისწულო მეურნეობას ეკუთვნოდა ძველად. მაშინდელი გაშენებულია აქაურობა, ჩინელი სპეციალისტის ლაუ ჯონ-ჯაუს მეთვალყურეობით დარგული და გამოზრდილი. პირველად ამ ჩინელმა იწამა აქაური ნიადაგის ვარგისიანობა და წინადადება შეიტანა, ახლო-მახლო სოფლებისთვისაც მიეცათ ჩაის მოშენების უფლება და საშუალება.

მხოლოდ ნაწილობრივ მიიღეს მისი წინადადება. მაგრამ ამ კულტურის ფართოდ მოშენების საკითხი ჩვენს დრომდე სათანადოდ არ გადაწყვეტილა.

გზა და გზა ახლახან გადახდილი დიდი ზეიმის ნაკვალევია: შოთა რუსთაველის პორტრეტები და აფორიზმები მრავალჯერ გვაგონებს ჩვენს მდიდარ წარსულს და გენიალური პოეტის ნათქვამ-ნააზრევს.

ვინ იცის, იქნებ აქაც გაველოს მას ოდესმე და აქაურობის სიმშვენიერეც ესარგებლოს და დაეხატოს!

...კარგა ხანია ქობულეთი ქალაქად იქცა. მისი რაიონი — ჩაისა და ციტრუსების, ტუნგისა და ათასნაირი ხილეულის ბაღად.

ქობულეთელი გლეხი კი...

მაპატიეთ. ძველი ჩვეულების მიხედვით დამსცდა ეს სიტყვა გლეხი, ალბათ, სიტყვა „გლახადან“ ნაკეთებია და ამ ჩვენს დროში. აბა, სად ნახავთ ღარიბსა და გლახაკს!

ყველას არა აქვს შესაძლებლობა ისე შორს მიიხედოს წარსულში, იმდროინდელ აქაურობას მოავლოს თვალი, ამისათვის ასაკი არ ჰყოფნის, მაგრამ მე...

ორმოცდაათი წლის წინათ გამივლია აქ და მაშინდელი შთაბეჭდილების ასაღდგენად ვაცეცებ თვალებს.

მისი იმპერატორობითი უდიდებულისობა მართავდა მაშინ ქვეყნის ბედ-იბაღს: მაძლარო წყალობდა, ღატაკთ კიდევ უფრო აღატაკებდა, უსაქმურთ და მუქთახორებს აჯილდოებდა, მშრომელთ და მაშვრალთ მონებად ხდიდა.

იყო პოლიცია, ჟანდარმერია, მამასახლისი, ბოქაული, მუხტარი,

მღვდელი, ხოჯა, ეკლესია და მეჩეთი, იყო ქრისტე, მაჰმადი, იყო მსაჯულ^ი
და მოსამართლე, მაგრამ არ იყო კანონი და სამართალი. არ იყო ღმერთი.
იყო სარწმუნოება: ქრისტიანობა, მაჰმადიანობა, იუდეიზმი და ~~მრავალფეროვნება~~
სხვა, მაგრამ იყო იმისათვის, რომ ბოროტი ზრახვებით წაქეზებულ^{ნი}
ლხებს ერთიმეორე ამოეეღიათ.

აი, ის სასახლე, ძველი ყაიდის სასახლე, იმ გორაკზე რომ ციტრუსო-
ვანთა ბაღშია ჩადგმული — მეფის ერთ-ერთი გამოჩენილი გენერლის სა-
კუთრება იყო. ასეთი გენერლების, პოლკოვნიკების, ჩინოვნიკების, მემა-
მულეების, ვაჭრებისა და კაპიტალისტების სასახლეები და ბაღები ცხრაას-
ათიან წლებში ბლომად იყო გაშენებული ქობულეთის ზღვის სანაპიროზე,
ციხისძირში, ჩაქვში, მწვანე კონცხზე. აქ ბინადრობდნენ მაშინდელი სვე-
ბედიანი ადამიანები, აქ სეირნობდნენ, აქ ატარებდნენ წელიწადის ყველა
საუკეთესო დროს, აქ ჰქონდათ ღრეობა, დღეობა, დღესასწაულები, ჭამდ-
ნენ, სვამდნენ, ილეშებოდნენ და არც კი იცოდნენ, საიდან მოდიოდა ყვე-
ლაფერი ეს, ვისი შრომითა და ოფლით იყო მოპოვებული მთელი ის დო-
ვლათი და სიუხვე, ასე განუკითხავად რომ ნთქავდნენ.

მიღმა სოფლებისაკენ ისინი იშვიათად მიიხედავდნენ, ისიც მაშინ,
სანადიროდ წასვლა თუ მოესურვებოდათ, ან გასეირნებას თუ მოიწადინე-
ბდა რომელიმე ქალბატონი.

ვინ იცოდა, სად იყო ლეღვა, ხუტუბანი, ალამბარი, მუხაესტატე. ვის
აინტერესებდა ამ სოფელში მცხოვრებთა ჭირ-ვარამი და ბედ-იღბალი. მათ
მხოლოდ მაშინ მიაკითხავდნენ, როცა სათქვლეფი მიაკლდებოდათ. მაშინ-
ნაც ჩაფრებს მიუხედავდნენ, ბოქაულს მიუგზავნიდნენ, კახაკებს ჩაუყენებ-
დნენ და უკანასკნელ კრუსს აუფრენდნენ ბუდიდან.

ქოსმახები, უკარ-ფანჯრო სახლები და ფაცხები... ჩაგლეჯილ-ჩამოწეკ-
ვილი მოსახლეობა და ციებ-ცხელებით გაყვითლებული ქალ-ბაღნები...

და უსამართლობით შეწუხებული ქობულეთელი თავმოყვარე ვაე-
კაცები, როცა ხედავდნენ საშველი და ხსნა არსად იყო, იარაღს ისხამდნენ,
ტყეში გარბოდნენ და იქიდან ებრძოდნენ უსამართლობას.

ხელისუფლება აძლიერებდა სასჯელსა და რეპრესიებს, მაგრამ ყო-
ველთვის როდი შეიქმს შიში სიყვარულს!
დიახ, თითქმის ნახევარი საუკუნე გვაშორებს იმ დროს. ორმოცდა-

ათი წელი!

ნუთუ ასეთი ნახტომი გააყეთა ისტორიამ?

ამ საკითხზე, ალბათ, უფრო ვრცლად მომავალ წელს ვილაპარაკებთ,

ახლა კი...

ავტობუსი გამოირდა ქობულეთის სადგურს და აღმა-აღმა შეჰყვა:
ხელმარცხნივ ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაა გადაჭიმული. ირგვ-
ლივ ქარსაცავი ხეები ამოტილან...

მახსოვს, ოცდაათიან წლებში შაბათობებს ვაწყობდით აქ, ტყესა და
ეკალ-ბარდს ვჩეხავდით, გვიმრას ვკაფავდით, ორმოებს ვთხრიდით, ბი-
ლიკები გაგვყავდა... ფეხებში გველები, ხვლიკები და გომბეშოები გვწვდნენ
ლანდებოდნენ.

ნუთუ აქ იყო ყველაფერი ეს?

მანქანამ მუხაესტატეში შეიმუხლა. აქაურები ჩამოსვა და კვლავ
ათუხთუხდა... გადავწყვიტე რამდენიმე საათი მეც აქ დავრჩე. აქაურობას
გავეცნო, თორემ შემეძლო განმეგრძო გზა...

მუხაესტატე მოზრდილი სოფელია, თუმცა ვინ იტყვის, რომ იგი სო-
ფელია და არა ქალაქი-ბაღი. ვეებერთელა და ფართო სკოლის შენობა,
ადმინისტრაციული სახლი, მშენებელი და განიერი სასოფლო შარაგზა.
წყალსადენი და განათება, ოჯახებში გაზქურა, მაცივარი, რადიომიმღები
და ტელევიზორი. დანარჩენ ავეჯზე არას ვიტყვი, რადგან ყველა ოჯახში
თავის სურვილზე და ნებაზე გაუწყვიათ ის.

სოფელში ოქროს რთველი ღვას. მანდარინის ყვითელი ნაყოფით სავ-
სე ყუთები ეზოებში გამოუდგამთ და გადასაზიდად ემზადებიან.

— პირველი ნაყრეფის პირველი ტონა დღეს უნდა ჩავაბარო, ჩემო ბა-
ტონო, — ამბობს ჯევეშეთ ღურსუენის-ძე ჭინჭარაძე. მისი სახლ-კარი და
ეზო-მიდამო ბევრ თავადიშვილს შემურდებოდა ერთ დროს.

— ეჰ, რა უსარგებლოდ და ბოროტად გავლიე ჩემი ახალგაზრდობა!
— ახლა ღურსუენი ენაცვლება თავის ვაჟიშვილს.

ღურსუენ ჭინჭარაძეს ბევრი ვაი-ვაგლახი აქვს გამოვლილი, ბევრი გა-
ჭირვება, მაგრამ ამაში მასთან ერთად ბრალი უსწავლელობასა და განუ-
ვითარებლობას მიუძღვის. სამაგიეროდ შვილები დაუყენებია გზაზე. ყვე-
ლასათვის თავთავისი წილი ურგუენებია და დაულოცავს.

— ჩამობრძანდით, ბატონო, ეზოში, ჩვენი ციტრუსის ნაყოფიც იგე-
მეთ, — გვეპატიჟება ოჯახის ახალგაზრდა დისახლისი ეთერი და ჭიშკარს
გვიღებს.

მაცდური წინადადებაა. რამდენიმე წუთით შეგვიძლია დავრჩეთ, მა-
გრამ რამდენიმე წუთის ნაცვლად...

ქართველი კაცის ამბავი ცნობილია: „ამ წუთში“, „ახლავე“.. და..
ეზოდან რომ გადმოვედით, მზე ზღვაში შესაცურებლად ემზადე-
ბოდა..

ნოემბერი. 1966.





გაგია პარხანიძე

ჩ ე მ ო ს ა ვ ა ნ ე ვ

წიგნიდან „აპარის საბალზღვები“

შენივ მლოცველი შენს ფერებს ვეცნავ
და პოეზიის კვერთხს ვეწამები.
ნეტავ მას, ვინაც დიდ ზარებს რეკავს
და უკვდავების მიაქვს წამები.
საკენკს ვეძებდი, არ იყო განა
ხელუხლებელი საკურთხივლები?!
ჩემი „ხორუმი“ და „განდ-ანა“,
ჩემი ვაზი და ჩემი ქვევრები.
ჩემი ტაძრების თეთრი თაღები
და გაბზარული ძველი ზარები,
მთებზე აჭრილი ჩვენი ტალღები
და შხამი მომხვდურ აბეზარების.
საკენკს ვეძებდი, ვერ ვპოვე განა,
ვპოვე და ვიქმენ გალანებული.
გალობა იყო დედილოს ნანაც,
ნალვერდალივით გაჩადებული.
ყმაწვილი, ლექსის გულში ჩამჯენი,
ვეტრფოდი მესხის ხმალს და ქველობას,
ლაზის, შავშელის, ტაო-კლარჯელის
დიდ გამძლეობას, დიდ ქართველობას.
ახალს ვეტრფოდი კრძალვით და მორცხვად,
გული ზვირთივით ჩუმად ლაღობდა.

და ვაზის ღმერთი მოვიდა როცა,
ვნახე ქვევრების მკვდრებით აღდგომა.
სამას წელს სული ანგელოსებმა
რომ განარიდეს ქვევრს და ნუნუას,
აშხუვლეს ღვინო დიდ საოცრებად
და ქვევრი თვალებს აღარ მილულავს.
და ვუგალობე ჭირთა გამოვლილს,
სულს აღზევებულს, დუღილს ქვევრების.
წვეთი მწყუროდა, ზღვა მიწყალობეს,
ვეფერე და კვლავ მოვეფერები.
დედაენამ რომ მიხმო სამზეოდ,
ხელში ყურანი მოთქმით ატირდა.
სავანევ, დედავ, ჩემო აღმზრდელო,
შენ მაზიარე, რაც მინატრია.
და უჩვეულოდ თვალებს ვახელდი,
მიკვირდა, იყო გასაოცარი,
კვლავ დავიბრუნე პაპის სახელი,
დამლოცეს ახლად, დასალოცავი.
მადლობა! რა მაქვს დასამღურავი,
ჩემო სავანევ, ჩაგეკონები.
რა ვიქნებოდი ცეცხლში ყურანის?
მადლობას ვამბობ ამ სტრიქონებით.
გმადლობ, რაც მომეც, სხვას რას ვინდომებ,
მე უანდერძოდ ჩუმად მოვკვდები.
ჩემო სავანევ, რას დაგიტოვებ?!
გულს აღმატებულს ახალ ნოტებით.
მეტრფე ვარ სულის ახალ ხატების, —
გულში გენიის არის მომღები...
და სიყვარულით და აღმატებით
მითქვამს „აჭარის საგალობლები“.

* * *

მე აქ თვალი რომ ამეხილა და როს ვიგემე
ჩემი წყაროს და ხილის გემო მზივ სასურველის,
გადამცეს რწმენას, რწმენა იყო თუ იგი გვემა, —
საიჭიოდან მოფშვინავდა ტკბილი სურნელი.
მერე თანდათან გაიბზარა რწმენა პიტალო,
მერე ყურანი გადამექცა მსუბუქ ბუმბულად
ვინ მომძახოდა — სატანებმა არ წარგიტანონ,

ამქვეყნიური სიამტკბილე ვინ დამიბრუნა?!
მერე შევიტყბე ჩემი მიწის და წყლისა გემო,
მერე შევიტყბე გემო ჩემი ღვინის და თაფლის!
მაშინ ვაკურთხე შენი მადლი, გამჩენო ჩემო,
მეწაო ჩემო, ვახეზის და მხარეო ზღაპრის!

* * *

ზღვის მარილი რომ გარეგია და არის მწუთხე,
ჩემი სიცოცხლის მომნიჭები, ეს ეთერია,
მე რომ ყოველდღე ვკოცნი, ვლოცავ — იყავ
კურთხეულ!
მინდორი ვრცელი — ქარს მრისხანეს, რომ
უთელია,
რომ აპურებდა — დედას ძეძუ არ დაშრობოდა,
პოროხი, ზღვისკენ რომ ჩამოჰქუხს რალაც
გოდებით,
აქ დავიბადე... ასე ახლოვ, ასე შორი და,
სავანევ ჩემო, მე შენთვის არ განვმეორდები,
სავანევ ჩემო, შენ ხომ მაინც მოგაგონდები!

მ ე ო ა ვ ლ ო ც ა ვ...


თასებს დავცლი, თასებს შენი ეროსის, —
ვენებიანი სიყვარული მომწყურდეს.
საკურთხეველს დედა-საქართველოსი
ხელაპყრობით გლოცავ შენი მორწმუნე.
ბადაგს დავლევ, ბადაგს ქვევრში ნაომარს,
დებს დავლოცავ, ავ თვალს რომ არ ენახვის,
მე დავლოცავ შენი სულის აღდგომას,
მე დავლოცავ დაბრუნებას ვენახის.
ძველ ტაძართა ფერფლი ტირის მიწაში,
გარდასულთა დარდი ნუ გაქვს, აჭარავ!
კახაბერში, სხალთაში თუ ხიხაძის
ფუძემყარი სხვა ტაძრები აღმდგარა.
შენი გზები მაღალია, ცისფერი,
შენი გზები მწვერვალებზე აგიყვანს.
ჯერი დადგა შენი დიდი სიმღერის,

შენი დიდი მომავალის გზა მიყვარს.
თასებს დავცლი, თასებს შენი ეროსის, —
ვნებიანი სიყვარული მომწყურდეს.
საკურთხეველს დედა-საქართველოსი
ხელაპყრობით გლოცავ შენი მორწმუნე.

იყო და მარად იქნება

იყო და მარად იქნება მწვანე ქედები და ჭალა,
იყო და მარად იქნება ჩემი ფხიანა აჭარა,
იყო და მარად იქნება ჩემი ტაო და კლარჯეთი,
იყო და აღარ იქნება, აღარ იქნება ქაჯეთი.
იყო და მარად იქნება ჩემი შავშეთი მწყაზარი,
იყო და მარად იქნება ჩემი ხატი და ტაძარი.
იყო და მარად იქნება ჩემი ლაზეთი ვეფხური,
იყო და მარად იქნება „განდაგანა“ და „ფერხული“,
იყო და მარად იქნება შუქმომფინარი ფერებით
სამეგრელო და გურია, კახეთი და იმერეთი.
იქნება ქართლის ცა ლურჯი... იქნება ჩვენი ხმელეთი,
ჩემი მიწის და ფერი ცის მარადისობას შეერთვის.
იყო და მარად იქნება ლურჯი ცა ამერ-იმერის,
იქნება მარად ჭაბუკი, წილი არ უდევს ხნიერის,
იყო და მარად იქნება ჩემი სამშობლო ხმიერი,
რუსთველის ტკბილი სავანე, დიდი თამარის ივერი.
მამულო, იყავ კურთხეულ, იყავი მარად ძლიერი!





გენრიკა ჟუთათალაძე

გ ა რ ა თ ი

ბარათი!

პატარა, სამკუთხა ბარათი!

მტრედის ფრთებით დააფრენს სურვილს, ისიც კაცივით მიზანით სუნთქავს, მასაც აქვს სიბოლო და გზნება, ზოგჯერ რომ კენესის გულისწამდობად... ჟამთცვენა ფარავდა მის თეთრ ფურცლებს თეთრი ფიფქებით და, ბარათში რჩება ხალისი, დარდი; მერე ტკბილია კარგიც და ცუდიც... მერე ფრთას უწყობს ფერწასულ ფიქრებს და კაცს განწყობას შეუცვლის უცებ, ღიმილს დასცქერის გაცრეცილ ფურცლებს, მოგონებათა საუნჯეს იკრებს...

ბარათი! — კაცია ფიქრებით სავსე, უყვარს და ეძებს, სძულს, ეცოდება, ლამაზი სიცოცხლის ოცნება ათბობს, გულს სასიამოო ფიქრებად ათოვს...

ბარათი! — სულის ამღერებაა... გაზაფხულია ფერდანაფურცი, მზე და სიცილი, ძალა, სიკიცე, ზოგჯერ კი სულის ეჭვებით დაღრღნა... გარდასულ დღეთა ეშხი ამკობს და დიდხანს რჩება წრფელი გრძნობების მემკვიდრე... და მასში მუდამ სიხარულს ვხედავ.

ნ ა ხ ა ტ ი

ზღვას ნაპირზე გამოერიყა და თეთრ კენჭებში ცრემლები სცვიოდა ნახატს... მყისვე დაისაკუთრე იგი. სათუთად ჩამოსწმინდე ცრემლები. მზეს მიუშვირე; ახლა უფრო ლამაზი ჩანდა. ფერები უხმოდ ალაპარაკდნენ, თითქოს გაცოცხლდა ღამისთვალა დაღალებ-დაფენილი ასული; შეგშურდა მზის და მოარიდე... ჩარჩოში ჩასვი და ყველაზე სანუკვარი ადგილი მიუჩინე.



შენს წინ სამოთხე იყო. ბრწყინავდნენ მისი თვალები, საოცნებო იყო თმათა ტევრი, ეშხი არ აკლდა გაღიმებას. მარწყვა ტუჩები ფეხები თითები გულს გიჩქოლებდნენ, ტყისა და გაზაფხულის სურნელებას გრძნობდი მის დაფერილ ტანსაცმელში.

ჩიტებივით გაფრინდნენ ღლები, სევდიანი თვალები გულში გიძვრებოდნენ, ვერავინ ამჩნევდა დაღვრემილ ფრესკაში შენს საოცნებო ასულს... ჰოდა, იშვიათად ეწვეოდი ნახატს, თანდათან ქრებოდა მისი სინატიფე, მტვერმა შეჭამა ფერები, ლაქებმა დაფარა თმათა ტევრი, მხოლოდ-ღა ნაცრისფერი ნისლები დაბორიალობდნენ... და მიგავიწყდა ნახატი იგი...

გეზმანა. ანაფორიანბ კაცი მიუახლოვდა ფრესკას. მერე იმ კაცმა სათელი ანთო და ურჩია ქალღმერთს — ჩემთან წამოდიო, ზეციერო!

იფეთქა ცრემლმა და ჩაქრა სანთელი...

...„ჩემიო“, იყვირე და გიყვივით წამოვარდი. ზმანება იყო ყველა ფერი. მიესათუთე ნახატს და კვლავ აბრწყინდნენ ლამაზი ფერები, ყვავილობის სურნელება იგრძენი, სულში ისევ გაზაფხული ჩაგიდგა.

შენ სიყვარულის ღვთაება გიღიმოდა.

მ ა მ ნ ო ლ ი ა

ქუჩას შესევიან მაგნოლიები, იღიმებიან და თეთრ გულ-მკერდს მორცხვად უშვებენ მზეს საალერსოდ...

ქუჩაზე ბევრია მანგოლია, საამო სურნელი რომ დაუღვრიათ ჰაერში...

...მაგრამ, სულ სხვაა კენტად მდგომი ერთი პატარა მაგნოლია, ყვავილებით დახუნძლულს უღიმის სახე, მაგრამ მდუმარეა იგი დღენიადაგ, თავს არიდებს სიოს ჩურჩულს, გულს არ უხსნის ზღვაურის ალერსს.

ის მოლოდინშია...

...ეჭვიანობენ მაგნოლიები ამ პატარაზე..

„შეხეთ, ჯერ დედის რძე არ შემოვობია და აღარ გვკადრულობს. რომ გაიზრდება, დატანადდება, გახშირყვავილიანდება, გულსაც აიყრის ჩვენზე და...“

...და ემატება ყვავილს ყვავილი. გადათეთრდა პატარა მაგნოლია... სითეთრემ დაიპყრო ზეცის გული, ქარმაც მოიწადინა ძლიერი მკლავებით შემოხვეოდა ყელზე პატარას და... მიწა დააკოცინა ტოტებით, ყვავილები მიმოფანტა ქუჩის სიგრძეზე, ფოთლებს გული შეუწუხა ჩუმი ქარავით... — იქნებ სიომ დამასწორო თქვენთან ალერსი... მერე ღონივრად ჩაიკრა გულში, ჩამოუსწორა გადაღწილი ტოტები და დააიშედა, — აყვავდები, გაიზრდები და კვლავ გეწვევით, ჩემო პატარავ!

... ყვავილობს მანგოლია, თითქოს ფიქრები გაშლილან ყვავილებად.

... და სარკეში გაგიღიმა პირველმა ვერცხლმა, შავ დაღალებში რომ იცინის თეთრად, სულ თეთრად...

ო, როგორ ჩქარა გაირბინეს წლებმა, ო, როგორ ჩქარა შეივრდენი წლების სრბოლა... თვალთა უბეებში გამოჩნდა ფარული ხაზები, ტუჩის კუთხეებში ამოდ შეეცადე ნაოჭების მიჩქმალვას... შუბლზე კი დაკლავნილიყო ხაზები... და შენ უფრო დაჟინებით მიაჩერდი სარკის კამარას...

თვალები?... შენია, შენი! ისეთივე მწველი, შავი, ბრიალა, მაგრამ...

რატომ შეიკარ წყენით წარბები, გულს ნაღვლად რატომ შემოგაწვა თმების სითეთრე... იქნებ, იქნებ გაფრენილმა წლებმა თან წაიღო თბილი ოცნება, ფიქრი, თუ მისწრაფება... ნუთუ, ნუთუ?!

და სარკესთან მდგომს ხელს გიქნევდა ვარდფურცლობა... მიდიოდა სილამაზე, მწველი ფიქრები ხაზებად გეკლავნებოდნენ შუბლზე, თვალთა უბეებში, ტუჩების გასწვრივ...

... და ჩაგაფიქრა ამ სინამდვილემ.

ყველაფერი იწყება თავიდან...

ზღვა ბობოქრობს და დაუოკებელ სურვილებს ერკინება. ნაპირისაკენ მორბიან ახალი ზვირთები, როგორც გაქცეული ფიქრები, იზრდებიან, ძლიერდებიან და ხმაურით აზანზარებენ ჰაერს, მერე ზღვა იკრავს გულში მათ. პატარა ტალღები კი შუაგზაზე უკუიქცევიან, წადილად რჩებათ ნაპირის ისე, როგორცაა.

...პირისხანებს ზღვა და ბოლმას სანაპიროზე ანთხევს... მერე დამშვიდება, გაინახება და ფირფიტისფერი თვალებით სიყვარულს სთხოვს მიწას და ზეცას... და ყველაფერი იწყება თავიდან... გამოიდარებს და ლურჯკაბა ხეებს მზით სავსე ოცნება აეჭარგება მწვანე ფოთლებზე, შეყვითლებულ ფოთლებს კი გულს დაუღრღნის ფარული ეჭვი, მათაც სურთ მზე, წყალი, სიმწვანე, მაგრამ...

შემდეგ ისევ წამოვა წვიმა, აჩურჩულდებიან ფანჯრის მინებზე წვეთები. ლეგა ღრუბლებზე ამხედრებული ქარი გადარეკავს ოცნებებს, ტანჯვას, სიხარულს... კვლავ აბობოქრდება ზღვა, კვლავ ხარხარით გამოიქცევიან ზვირთები ნაპირისაკენ, გაიზრდებიან, აჟაფდებიან, შემდეგ დაუძლურდებიან და, ბოლოს, ჩუმად დაასრულებენ სიცოცხლეს...





შოთა ზოიძე

* * *

ზევით მივიწევთ, ზევით მივიწევთ,
უფრო და უფრო, კიდევ და კიდევ.
ნახულ განსაცდელს უმალ ვივიწყებთ,
განცდილ სიხარულს გული ვერ იტევს.
წარსულ ტკივილებს უმალ ვივიწყებთ,
რომელთა გამოც უფრო ვიზრდებით.
ქარიშხლის ფრთებით მალლა მივიწევთ
პატიოსანი კაცის მიზნებით.
მზევ, მოგვაცხუნე შენი აბედი,
ჯერ გაუკვალავ სივრცეს მივარღვევთ.
ჩვენ ისე მაღალ მთაზე ავედით,
რომ დაბლა მოჩანს შენი სიმაღლე.

* * *

კალმახიანო მდინარეებო,
კალაპოტში რომ ველარ ეტევით,
შავი ზღვის ზვირთნო, მთებო, ველეებო...
ერთს გეხვეწები თავგამეტებით:
იქ დამასვენეთ, სადაც დამღალეთ,
სადაც ოცნებამ ფიქრი მოლია.
თუ დამიჯერებთ, იქ ვარ მაღალი,
სად თავი ცრემლის ტოლი მგონია.
თუ ვცდები, ჩემო ფიქრო და ლანდო,
თქვენვე გამხადეთ ღირსი შენდობის.
თუ დამიჯერებთ, მე იქ ვარ სანდო,

სადაც საკუთარ თავს არ ვენდობი.
ხანდახან ცვარში ნავს გავაცურებ,
ხანდახან ვერ ვგრძნობ ზღვასა და ხმელეთს.
სად აღმადგინეთ, იქ დამასრულებთ
დ განაჩენი მომაგეთ მერე.

* * *

ყველა ოცნება მიუწვდომს ელტვის
და ციურ ვარსკვლავს როგორ ამოგწვდე?
მე ყველა სტრიქონს, დაწერილს შენთვის.
პირველად შენი გულით ვამოწმებ.
პირველად შენი თვალით ვკითხულობ.
შენით ვგრძნობ ყველა ლამაზ ამინდებს,
რომ შემდეგ აღარ ვიუხერხულო
და სიმღერა არ დამიღარიბდეს.
შენს წამწამების ჩრდილში ვბინადრობ
და შენით ვავსებ ყველა მოლოდინს.
მსურს მხოლოდ ერთი რამე ვინატრო —
შენი ერთგული ვიყო ბოლომდის.

五



ნოღარ მოღაბაქე

მზის ჩასვლის წინ

— შენ უკვე ბავშვი აღარ ხარ, საშუალო სკოლა დაამთავრე, ქარხანაში მუშაობ, ასე თუ ისე, ცხოვრებაში გამოდი. ყველაფერს თავი რომ დაეანებოთ, მოწიფულობაში შედი. რისი თქმაც აქამდე არ შეიძლებოდა, ახლა თამამად გეტყვი. მით უფრო, როცა ვხედავ, რომ ყმაწვილკაცობა გათამაშებს. მე შენი ასაკი გავიარე და ვიცი, რა ცდუნებამაც შეიძლება აგიყოლიოს. არასოდეს იფიქრო, რაიმე ახალს აკეთებ. არა, რაც შენ ახალი გგონია, იგი ძლიერ ხშირად ძველის განმეორებაა.

ჩვენ სანაპიროზე ვისხედით. სავარძლებში, მზის ქოლგის ქვეშ. მზე ჩადიოდა და ქოლგის მრუმე კალთა ჩრდილს გვფენდა. ზღვა წყნარი იყო. პაწია ტალღები ყრუდ თქაფუნობდნენ სველ ქვიშაზე. შორს მოჩანდა სამგზავრო გემი, რომელიც ლურჯი ცის სიღრმეში კვამლის შავ ზოლს ტოვებდა. უფრო იქით თეთრად ქათქათებდა კავკასიონის გადარკალული მწვერვალები.

— ალბათ, გიკვირს რატომ მაინცდამაინც ახლა გეუბნები, — განაგრძო მან, — ძალიან კარგი, გეტყვი. ეს რამდენიმე ხანია, შენ საკუთარ თავს აღარ ეკუთვნი, გინდა რაღაც გააკეთო და არ გამოგდის, ხელი არ გემორჩილება და გონება არ გიჭრის. ამ უკმარობის გრძნობას ზოგჯერ გაბოროტებამდე მიყავხარ. ხან ერთ ქალიშვილს დასდევ, ხან მეორეს. გული ვერც ერთზე ვერ შეგიჩერებია. გგონია, შეყვარებული ხარ. წადილის ასრულებისათვის ცას და ქვეყანას შესძრავ. მაგრამ რა, დაინახავ მეორეს, იგი უკეთესი გეჩვენება და გულიც იქითკენ მიგიწევს... გული მტკივა, როცა ვხედავ, რომ საკუთარ გრძნობებში ვერ გარკვეულხარ, ობობას ქსელში გაბმული ბუზივით გამოსავალი ვერ გიპოვია. შენ გგონია, მარტო შენ შეგიძლია ითამაშო, ყვავილიდან ყვავილზე იფრინო და გავიწყდება,

რომ ფრენა სხვებმაც იციან. ისე არ გამოიგო, თითქოს რაღაც რეცეპტი
მქონდეს და მსურდეს ცხოვრების კანონები შეგასწავლო. არა, ესაა
ფიქრია და არც მინდა, შენ ვინმეს ნაკვალევს მიჰყევობდე.

როგორც ხედავ, მე სამოცი წლის კაცი ვარ. ჩემი ასაკი რამდენადმე
ემთხვევა შენს ოცი წლის ასაკს. ორივე ეს ასაკი ადამიანის ცხოვრებაში
ღრმა გარდატეხის წლებია ოცი წლის ყმაწვილი გუშინდელ დღეზე არ
ფიქრობს, იგი თითქოს მისთვის არც არსებულობს და ისედაც ბურუსით
მოცულ მომავალს თვალახვეული შესცქერის, მოჭარბებულ ძალთა შემო-
ტევით ჰგონია, გაუკეთებელი არაფერი დაურჩება, ცხოვრებას ისე უყუ-
რებს, როგორც ჩვილი ჭრელ ბურთს. ვერ წარმოუდგენია, ცუდი თუ რამ
შემემთხვევა და არც ფიქრობს მასზე. აბა, ახლა ჩემს გულში ჩაიხედე!
გუშინდელი დღის ყოველ წუთს ექვიანი დედაკაცივით ვჭვრეტ, ვზომავე —
რისი გაკეთება შემეძლო და არ გამოიკეთებია, სად გადავდგი მცდარი ნაბი-
ჯი და რატომ. დიახ, ყოველი განვლილი წუთი დღეს თვალწინ მიდგას და
ვნანობ; მაგრამ ისე არაფერი მიყვარს, როგორც ის განვლილი, დაკარგუ-
ლი წუთები. რადგან იგი ჩემი იმედის, ბრძოლის, წუხილისა და სიხარუ-
ლის წუთები იყო. ხვალინდელ დღეზე კი რა მოგახსენო — ამ ორიოდ
დღის წინათ ალუბლის ხე დავრგე და ახლა იმას ვფიქრობ, მოვესწრები თუ
არა მის აყვავილებას. აი რა დიდი სხვაობაა, რა შორი შორსაა ჩვენი ასაკი
და თანაც რა ახლოსაა ისინი ერთმანეთთან.

ვიცი, სიტყვა გამიგრძელდა. კარგი, გეტყვი ჩემს სათქმელს.

* * *

მაშინ მე შენსავით ჯეელი ბიჭი ვიყავი. შენსავით გოგონებთან კუკუ-
ძალობანას ვთამაშობდი. არაფერს დაგიღევდი გოგონას ლამაზი თვალები-
სათვის, ტუჩებზე გაფენილი ღიმილისათვის. დღედაღამ მათი კაბის კალ-
თაზე ვიყავი გამოკიდებული, მეშვიდე ცაზე რუდუნებით დავაბიჯებდი.
ქალიშვილები ჩემთვის ღმერთები იყვნენ. მე კი მათი მლოცველი მწირი.
ისინი რომ მე ყურებდნენ, მეჩურჩულებოდნენ, მიცინოდნენ, მეგონა მზე
ნაფრქვევდა თავის სხივებს. ყველა ერთი მეორის უკეთესი იყო და მეც
ყველასკენ მიმიწევდა გული — ო, ეს ბალღური სიხარბე! და აი ამ დროს
გავიცანი ერთი გოგონა, როგორც შემდეგ გავიგე, ჩვენს ქალაქში ახალ-
ჩამოსული. გავიცანი და მაშინვე თვალში მომივიდა. მთელი საღამო ერთად
ვისეირნეთ. მე მას უნებოროდ ვაკვირდებოდი. მისი თამამი მანერები,
ლაპარაკი, სიცილი მაგიჟებდა. შევატყვე, ცოტა არ იყოს, თვალში მასაც
მოუვედი — გამომწვევად მიყურებს, ვნების აღძვრელად კისკისებს. მე
აღმიტაცა ამ კისკისმა, გონება ამირია, ძვალ-რბილში გაატანა და სულს
ცხელ სალტესავით შემოეჭდო. ჩემში მთელი ძალით გაიღვიძა მამაკაცურ-
მა სიამაყემ, სწორედ ეს სიამაყეა, კაცს რომ ყოველგვარ სისულელეს ჩა-
დენინებს. მაგრამ ამ ცხოველურ ინსტინქტს ძნელად თუ ვინმე არ დამო-
რ-

ჩილებია. რაკი გამოწვევა ვიგრძენი, ფრთები შევისხი. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ სრულიად მარტონი აღმოვჩნდით სანაპიროზე, ხეივანში. ახლავე ვიცო, ეს ჩემი მოხერხება იყო თუ მისი. იმ დროს სანაპიროზე ვიყავით. ხეივანი იყო და არც ამდენი ხალხი იყრიდა თავს. ცოტა არ იყოს, მაკვირვებდა მისი გაბედულება — ახალგაცნობილ ვაჟს სრულებით არ მიფრთხობდა, სადაც ვეტყოდი, იქით მიმყვებოდა. მთვარე უკვე ამოსული იყო და გაბადრული ხეების ტოტებში მქრქალ სხივებს ფენდა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ამ გოგოს „ხელში ჩავიგდებდი“. მაგრამ სწორედ ეს წადილი მატყვევებდა, ხელ-ფეხს მიკრავდა. სკამზე ჩამოჯდომა შევთავაზე, მეგონა უარს მეტყოდა. „სადაო“, მკითხა ღიმილით. ხელით ვანიშნე ყველაზე ბნელი ადგილი ფიჭვის ქვეშ. გამასწრო და პირველი ჩამოჯდა სკამზე; ხელები კალთაში ჩაიწყო და შეჩქეფებული დამელოდა. არ ავჩქარებულვარ. დინჯად დავჯექი მის გვერდით და კიფიქრე, დადგა მომენტი-მეთქი. გამოვტყდები. ეგ მხოლოდ წადილი იყო და მეტი არაფერი. იმ საღამოს მისთვის ხელიც არ მიხლია. ჩემი წადილით მის გვერდით კატასავით ჩასაფრებული ვიყავი. ნანახი გექნება. კატა რომ თავგს ეპარება, როგორ გაიშუსება, ნელ-ნელა მიცოცავს მსხვერპლისაკენ. რომ ერთი ნახტომით კლანჭებში მოიგდოს. სწორედ ასე ვეპარებოდი მას, აი ახლა ჩავავლებ ხელს, ნჭებში მოიგდოს. სწორედ ასე ვეპარებოდი მას, აი ახლა ჩავავლებ ხელს, აი ახლა-მეთქი. ის კი ოდნავადაც არ გრძნობდა საშიშროებას. შეიძლება გრძნობდა და ყურადღებას არ მაქცევდა. არ ვიცო. დრო შეუმჩნევლად გავიდა. ფეხის კანტი-კუნტი ხმა, რომელსაც ხეივანში ქვიშა გამოსცემდა, მიწყდა, მთვარეც გადაიხარა და ტოტებში დაცურებული სხივები აკრიფა.

— წავიდეთ, — მეუბნება იგი და. ვიდრე რამეს ვიტყოდი, დგება.

— რა ავჩქარებს! — ვლულულულებ მე.

— გვიანია! — და პასუხის დაულოდებლად მიდის.

ჩემი თხოვნა ამაოა — გავდივართ ქუჩაში. შეუძლებელია იმ წამს ჩემსავით დამცირებული ქვეყნად ვინმე ყოფილიყო. საკუთარ თავზე ბრაზი მომერია. რომ ასეთი შემთხვევა ხელიდან გავუშვი. ალბათ, ხვალ არც კი შემხვდება. ვატყობ, თავი გამარჯვებულის ფარული სიამაყით უჭირავს. თვალებსა და სახეზეც გამკილავი ღიმილი გაფენია. ერთი გულით კინალამ გავიქეცი, რომ დავმალოდი ამ შეუტრაცხყოფელ გრძნობას, მაგრამ რაღაც ძალა, ჩემთვის სავსებით შეუცნობი ძალა მაჩერებს. თითქმის მას ფინია ძალისხმევით თოკზე ვყავარ გამოზბული და მიმათრევს; არც წინ შემიძლია გაჭრა და არც უკან ფეხის ჩამოთრევა — ერთ განსაკუთრებულ მანძილს ვიცავ. როგორც იქნა. მივედით მის სახლამდე. იგი თურმე დეიდასთან ჩამოსულა დასასვენებლად. გამოტყდა, მესამე დღეა გოგონებთან ხეივანში გხედავო. მეტი არაფერი უთქვამს, მაგრამ ვინ ვერ მიხვდება, რა იმალება ამ აზრში. იქნებ, ეს არის იმის საბაბი, რომ ვეუბნები, ხვალ სად შევხვდეთ-მეთქი. მან თავდაპირველად სიტყვა ბანზე ააგდო. მისი უარი ამ საეჭვო პაემანზე.

ოდნავადაც არ მაშინებს, მივეჩაღე, უნდა გამოხვიდე საღამოს ბაღში მეთქი. დამეძინა. მეც კმაყოფილი გამოებრუნდი, მაგრამ გზაში ნერვულ-ბამ ამიტანა; დავწეკი და ძილი არ მომეკარა. მწვადა ჩემივე სიყვარულს შეგრძნება. ვანალიზზე მთელ ჩემს იმლამინდელ მოქმედებას, საღამო-ვიჩინე სისუსტე, როდის უნდა გადამედგა გაბედული ნაბიჯი, რა დროს რა ეშმაკობა მესმარა. როდესაც ჩემი სიმხდალე, უგერგილობა წარმოვიდგინე, სიბრაზემ კინალამ დამახრჩო. თავი დავაჯერე, რომ მეორედღეს პაემანზე არ გამოვიდოდა; ჩემისთანა ხეპრესთან, ალბათ, ერთი საღამოს მეტს არ დაკარგავდა. კიდევ მეტი. ნაცნობებში თავს მომჭრის. მთელი ღამე არ მიძინია; თუ მოვიდოდა, ყოველი შემთხვევისათვის გეგმა შევადგინე, როგორ მოვქცეულიყავი.

დანიშნულ დროს პაემანზე ვდგავარ, ვკანკალებ — მოვა თუ არ მოვა. მას მხოლოდ ორი წუთი დააგვიანდა, შეცბუნებული გამოიყურება. რატომღაც მგონია, რომ წუხელ მასაც ჩემსავით გატეხია ძილი. გაგულისებულმა მთელი რისხვა ახლა უნდა დავატეხო თავს, როცა გამოვეთხოვები, სანანებელი არაფერი უნდა დამრჩეს ხელიხელჩაკიდებული მივბიჯებო, როგორც ძველი მეგობრები, თუმცა არაფერზე არ ვსაუბრობთ. რამდენჯერაც დავაპირე რალაც მეთქვა, გადამწყვეტ მომენტში ან ის შემომხედავდა ელვარე თვალით, ან მე აზრს ვერ ვიკრებდი. ეგრძნობ, იგი მჯობნის, რამდენადმე დამიმორჩილა კიდევაც. ალბათ, ამის მიზეზი მისი თამამი მანერები და ჩემი უნდილი გამომეტყველებაა. ეჭვი შემეპარა მის ქალურ სინაზეში. ვიფიქრე, მამაკაცი მისთვის არაფერს არ წარმოადგენს-მეთქი. სანამდე ვიყავი ამ მდგომარეობაში, ან როდის დავსხდით სანაპირო პარკში, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ დრო გადის და მე ისევ ენადაბმული ვარ. ყელში მობჯენილმა სურვილმა ლამის დამახრჩოს. იგი ჩემგან ოდნავ შებრუნებული ზის. თითქოს პირს მარიდებს. ხის ფოთლებში დაცურებული ელნათურის შუქი მკრთალად ულიცლიცებს ლოყაზე, ეს ბაცი შუქი თმებზეც ეცემა. მე უფრო მოფარებით, სიბნელეში ვზივარ. მაშინებს არ შემატყოს გაუბედაობა და, რა თქმა უნდა, შესაბრალისი გამომეტყველება. მივიწეე მისკენ, მინდა ხელი მკლავზე შევახო, იქიდან მხარზე გადავაცურო და... მკერდზე მივიკრა, ორივე ხელი მაგრად ჩაეჭიდო... ო, რა საშინელება! მგონი მატყობს განაზრახს, წინ იხრება, მიწიდან რალაცას იღებს. მგონი მაგნოლიის ფოთოლს. პო, მაგნოლიის ხმელ ფოთოლს და თითებით ბზრიალასავით ატრიალებს. ჩემი განაზრახის აღსრულება რამდენიმე წუთით გადაიდო. ისევ ვიკრებ ძალას, რომ ახლა ნამდვილად მოვხვიო მკლავები — ჯერ ფრთხილად შევეხო მხარზე, რომელსაც თმის ტევრი ოდნავ ფარავს, იქიდან ხელი თმებში შევაცოცო, კეფაზე, იქ რბილად. მთელი სინაზით მოვუტაცუნო თითები და...

„რაღას ელოდები, მოეხვიე!“ — ვეუბნები საკუთარ თავს.

— რა კარგი საღამოა, — მითხრა მან და შემომხედა გამომგზავნილი მაჯადოებელი ღიმილით. მერე ოდნავ მობრუნდა ჩემკენ. ვუყურებ მის თეთრ, რბილ მკერდს. ვიცი, ერთი უბრალო შეხება საჭირო, ერთი უბრალო შეხება, შემდეგ კი ყველაფერი თავისთავად წავა. ისევ ვიკრებ ძალას, მაგრამ ამოდ. ახლა კი ნამდვილად მატყობს გაუბედაობას. ისე გამომწვევად ეღიმება. „ერთხელ და უკანასკნელად, ან ახლა, ან არასოდეს!“, ვამხნევებ თავს, რომ გადამწყვეტ მომენტში უკან არ დავიხიო. მთელი ტანით წინ ვიხრები, მკლავებიც გავშალე მოსახვევად... და ვატყობ, თვალეში სინათლე დავკარგე. არა, ამჯერად ვერავითარი ძალა ვერ შემაჩერებს! მაგრამ წარმოიდგინეთ — მის ღიმილს სიცილი მოჰყვა, ქალური ამპარტავნული სიცილი, რომელიც შეუტაცსმყოფს. თვალეში სინათლე ვიგრძენი და რას ვხედავ — იგი მთელი ტანით შემობრუნებულია ჩემკენ. მარცხენა ხელით მეხება ნიკაპზე, ძალზე სათუთად, ალერსით და ოდნავ ღია ტუჩები ჩემკენ მოაქვს. მოაქვს შეუჩერებლივ, მაგრამ ნელა-ნელა. უდიდესი ბედნიერების მოლოდინში თვალები ისევ დავხუჭე. მისი ტუჩები ფრთხილად, მოწყვეტით შემეხო და ისიც მხოლოდ ერთხელ. მხოლოდ ერთხელ ვიყავ ბედნიერი... თავს ვეღარ ვიმაგრებ, მკლავებს ვშლი. რომ მთელი ძალით, მთელი სიგიჟით მოვეხვიო, მკერდში ჩავიკრა. ჩემთვის აღარ არსებობს გარესამყარო, ჩემთვის არაფერი აღარ არსებობს. მოულოდნელად იგი წამოხტა და გაიქცა ისე, რომ უკან არ იხედება... მინდა დაეუძახო, შევაჩირო. მაგრამ ხმა არ შემორჩილება და გაგულისებულად უკან მივსდევ. შემოუარა ერთ ბუჩქს, გავიდა ფიჭვის კორომში. მისი სხეულის ლანდი სიბნელეში, ხეებს შორის რიალებს და, როცა ხეთა ფოთლებში დაცურებულ ელნათურის შუქს გადაჰყვეთს, მგონია ხელს წავატან, დავიჭერ. მირბის და მივსდევ, ასე მგონია, ჩემს წინ ჩემი ყმაწვილაცობა მირბის და მივსდევ, რომ არ გამექცეს. ბოლოს, დაღლილობას ვატყობ, ერთ-ორ ფიჭვს ძლივს შემოუბრინა, მხრებში მოიკუნტა და უეცრივ მისავათებული ვეებერთელა ხის ტანს მიეკრა; ორივე ხელით გულისპირს იკრავს, დაღლილობისგან ძლივს სუნთქავს, გაქცევას აღარ აპირებს. მაგრამ ხის ტანს მთელი ძალით ეკვრის. კი არ მივედი, მივფრინდი მკლავებგაშლილი. იგი კიდევ უფრო მიეკრა ხის ტანს. ეშინია შემოხედვა და ქვეშეშეშად შემომაპარა თვალი. რას ვხედავ — ფერმოდებულ ლოყებზე, აქეთ-იქიდან ორი კურცხალი დაგორებულა და სველი ზოლი ტუჩის კუთხეებზე ეშვება. დიახ, მე დავინახე ეს ორი სველი ზოლი მკრთალად მოციმციმე შუქზე; შევკრთი, შევშინდი, ტყვიანაკრავით უკან დავიხიე. არა, არ შეიძლება, მე მას ვერ შევეხები, უბრალოდ, ხელსაც ვერ წავაკარებ მის უნაზეს სხეულს. ხეს გარშემო შემოვუარე, ვინმე სხვა ხომ არ აპირებს მასზე თავდასხმას-მეტქი!

დიახ, ასე გახელებული ვიყავი. მაგრამ არ მიფიქრია შევხებოდი მას.
ისიც და მეც ერთ ღრმა ფიქრში ჩავიძირეთ. მივაცილე შინ და შევსასხვედი
ლში ვეუბნები, ხვალ საღამოს ცხრა საათზე გამოვიდეს პაემანზე, აი იქ,
პარკის შესასვლელთან. არც მე შემიძლია მეტის თქმა და არც მას; იგი თა-
ვის კანტურით მეთანხმება, მოვალე. უკან ვბრუნდები, საკუთარ თავს
აღარ ვეკუთვნი, მთელი სხეული წამერთვა. ვღელავ, ვთრთი. ვიღრე მის
გვერდით ვიყავი. ძალა გამაჩნდა, შემეძლო უფრო დაკვირვებული ყოფი-
ლიყავი, მოვწოვდი და სიგიჟემ შემიპყრო. ხელშესახებად ვხედავ მის
ტუჩებს, რომელიც საკოცნელად მიახლოვდება; ვხედავ, როგორ გარბის
იგი ფიჭვის კორომში და როგორ მივსდევ. ვხედავ იმ ორი კურცხალის
კვალის ლიკლიცს ლოყებზე... უთუოდ შევცდი. რომ ეჭვი შევიტანე მის
პატიოსნებაში. მერე რა ვუყოთ, თუ თამამი გოგონაა?.. ვცდები, დიახ,
ვცდები!... ბრყევი ვარ, სულელი!

გათენდა. გათენდა სხივმოფენილი, ბედნიერი დღე. ასეთი დღე მხო-
ლოდ სიზმარში თუ შეიძლება ნახო. ჩემს დღეში არ მინახავს და არც გა-
მიგონია ხე, ქვა, მიწა, შენობები ლაპარაკობდეს. აი ამ დილით კი ვხედავ
— ქვეყნიერება გასულიერებულა. სახლის წინ ალუბლის ხე ჩურჩულებს,
ოთახის ფანჯარაზე შემოდგმული ყვავილი ვიღაცას ხელს უქნევს, ამოფა-
კლული ცისკიდური ბალღური ღიმილით იცინის. უმანკოება გაფენია სა-
ხეზე. ჰორიზონტი შემოქარგულა ოქროსფერი ღრუბლებით. ვდგები, მიხა-
რია, რომ ასეთი ბედნიერი დღე გათენდა. გათენდა როგორც სიცოცხლის
დასაწყისი. ეზოში ონკანზე ცივი წყლით ხელ-პირს ვიბან, მეზობლებს ხმა-
მალა ვესალმები. ბავშვებს ვუცინი და ლოყაზე სიყვარულით ხელს ვუ-
თათუნებ. ყველა გრძნობს. ის აღარ ვარ, რაც გუშინ ვიყავი. მაგრამ ტენის
შეურაცხყოფელი აზრი მიღრღნის, რატომ დავწამე მას ცილი? რატომ
შევიტანე მასში ეჭვი?.. სარკის წინ თმას გულდასმით ვივარცხნი. ვესიყვა-
რულები საკუთარ ორეულს, რომ იგი ასე კმაყოფილი შემომყურებს.
საათზე ვიხედები, ჯერ მხოლოდ დილის რვა საათია. გულზე ხენჯად მედე-
ბა — კიდევ თორმეტი საათი უნდა ვიცადო, თორმეტი საათი. ვზივარ და
ვფიქრობ, დავდივარ და ვფიქრობ — როდის გავა ეს დრო. შემდეგ ჩემში
ისევ აბობოქრდა მიძინებულის წადილი — დავიპყრო იგი. ჰა, რა იქნება,
არ ავყვე გრძნობებს? სისულელეა ასე უეცარი აღტყინება! რას ჩავდი-
ვარ?.. წუხელ შეცდომა ჩავიდინე, ქალიშვილმა მაკოცა, დიახ, მაკოცა და
მე კი დავიბენი. რატომ და რისთვის?... ჰმ, გულუბრყვილ ბავ! ქალის ორ-
მა კურცხალმა დამაფრთხო და გულში ძეგლს ვუგებ. მაგრამ რამდენადც
ეს აზრი მიპყრობს, იმდენად თავგამოდებით ვებრძვი მას. იქნებ ვუყვა-
რვარ? ხომ შეიძლება ერთი ნახვით გამიჯნურება და ამან აიძულა გაემხი-
ლა სურვილი, ეკოცნა ჩემთვის. განა ეს პატიოსნების შეურაცხყოფაა?..

დრო! ვინაა, დროის სრბოლას ასე რომ ამუხრუჭებს! ლამის გავგიჟდეთ.
წამი საათად მეჩვენება, საათი — საუკუნედ. რა იქნება მოხდეს სასწაული,
ლი, მოხდეს შეუძლებელი — დაირღვეს დროთა მიმდინარეობა და საათის
ისრები მიეცეს გიჟურ სრბოლას. საღამოს ცხრა საათს აკლდეს ათი წუ-
თი, რომ ამ ათი წუთის მანძილზე მივიღე დანიშნულ ადგილას, შევხვდე
მას. შემდეგ კი ისევ დაირღვეს დროთა მიმდინარეობა და ამჯერად არა
საათი, არამედ საღამოს პირი უსასრულოდ გაგრძელდეს... ამას ვამბობ
მე, შეყვარებული ადამიანი, და რა ძალამაც შექმნა სიყვარული, მანვე უნ-
და აღმისრულოს ეს ნატვრა. მეჩვენება?... არა, ეს ხელშესახები სინამდვი-
ლეა. გარეთ გავვარდი; მხოლოდ ათი წუთია დარჩენილი დათქმულ დრომ-
დე, ათი წუთი. დედაჩემმა კარებამდე მომსდია: „საით, შვილო, რა მოხ-
და?“ „ნუ გეშინია, დედა, დავბრუნდები!“. ვყვირი და გავრბივარ. ათი წუ-
თია ჩემს განკარგულებაში. „შეიძლება ცოტა დამაგვიანდეს, დედა. არ შე-
შინდე!“, ისევ ვყვირი და უკან აღარ ვიხედები. ჩემი სახლიდან დანიშნულ
ადგილამდე ხუთასი-ექვსასი მეტრი იქნება; თუ ასე ვირბენ, შვიდ-რვა
წუთში მივალ, დარჩენილ ორ-სამ წუთს იქ დაველოდები. ეს ორი-სამი
წუთი ყველაზე ბედნიერი წუთი იქნება ჩემთვის. ყოველ წამს — ორ-სამ
წუთში კი ასოცი-ასოთხმოცი წამია — შემოძლია დავინახო ჩემკენ მო-
მავალი. მივრბივარ, კი არ მივრბივარ — მივფრინავ. მსუბუქი უგემო ჰაე-
რი თანდათან მძიმდება და ზღვის სურნელს ვგრძნობ. მაშ, არც ისე შორსა
ვარ. უეცრივ გონს მოვდივარ და საკუთარ თავს ვეკითხები, რატომ მივრ-
ბივარ, ჯერ ხომ დილის ცხრა საათი არაა, მაგრამ მაინც არ ვუჭერი ამ
მკაცრ სინამდვილეს. რატომღაც მგონია, ისიც მოვა, ვითომ შემთხვევით.
ის ძლიერი ძალა, რომელიც მასთან შესახვედრად ასე მიმაქანებს, არ შეი-
ძლება მანც არ იგრძნოს.

და აი ვდგავარ და ველოდები. ოქროსფრად შემოქარგულ ცისკი-
დურს ფერი დაკარგვია. ქალაქის თავზე მღვრიე ღრუბელი გაშლილა, თი-
თქოს უკვე წვიმდეს, ისე დაუხრიათ ხეებს ტოტები და გარიხდებულან ფო-
თლები. ამ შეურვებულ ცას ისიც ემატება, რომ ჩემს მეტი ბაღში კაცი არ
ჭაჭანებს; ვგრძნობ, ჩემმა მოუთმენლობამ სისულელემდე მიმიყვანა; გულს
არ ვიტენ; თავს ვარწმუნებ, რომ იგი უთუოდ მოვა, ვერ მოითმენს და მო-
ვა. ერთი საათის შემდეგ ვჯდები იქვე, მაგნოლიის ქვეშ სკამზე. თვალი შე-
მოსასვლელისაკენ მიჭირავს. ზოგჯერ რიკულებიან პარკის მოაჯირიდან
ვიჭვრიტები, რომ ქუჩაში მისი გამოჩენა არ გამომეპაროს. ფიქრი ფიქრში
მერევა, ინასკვებთან და თავი ვერ დამიხსნია. მაგრამ რაც უფრო გადის.
დრო, მით უფრო და უფრო ვაკვირდები ჩემს საქციელს. არ მინდა ჩემს
პირვანდელ შეხედულებას გადავუხვიო. მინდა ვიყო გულგრილი; უგერგი-
ლო. მან დაიწყო და მანვე დაამთავროს. ასე ვსჯი, მაგრამ ადგილიდან
არ ვიძვრი. ერთი გული წასვლას მეუბნება, მეორე — უკან მეწევა. ასე



მგონია, ფეხის მოცვლისთანავე მოვა. წამოვდგები, დავაპირებ წასვლას და ისევ ვჯდები. ისევ და ისევ მეუფლება სურვილი, დაველოდე მუხის დღის მანძილზე მხოლოდ ერთხელ. საღამოს შვიდ საათზე ნელა გავყევი ქუჩას მისი სახლისაკენ. თუ წამოსულია, გზაში შევხვდები-მეთქი. გზაში არ შემხვდა. მისი სახლის წინ დიდხანს დგომა ვერ გავბედე. უკან ვბრუნდები. ახლა რომ მკითხო, ვერ გეტყვი. რა ძალამ მიმაჯაჭვა ერთ ადგილზე მთელი დღე, გაშეშებული, ლოდინისაგან გამოყეყეჩებული.

ცხრა საათია. საცაა ისიც გამოჩნდება, მოვა, მომეფართოება. გუნებაში ვმარჩიელობ, რომელი მხრიდან უნდა მოვიდეს იგი; თუ სახლიდან მოვა, მაშინ ხელმარცხნივ გამოჩნდება, თუ ადრეა წამოსული, მაშინ — ხელმარჯვნივ. მირჩევნია ხელმარცხნივ გამოჩნდეს და იმ ქუჩის კუთხეს ისე მივჩერებივარ, რომ შენობის კედელზე შეუნიშნავი არ მრჩება ჭდეები, შავი წერტილები. ვითვლი წერტილებს და გუნებაში ვამბობ, ვიდრე ასს დავითვლი, გამოჩნდება. დავითვალე ასი, შემდეგ ისევ თავიდან დავიწყე თვლა. საათზე არ ვიხედები, რადგან არ მინდა ვიცოდე, რომ მას ნახევარი საათი დააგვიანდა. მე ჯერ ისევ ცხრა საათი მგონია.


— მთელი დღე აქ ვის ელოდები? — მეკითხება ერთი ჩემი მეგობარი. მან დღეს სამჯერ ჩაიარა აქ და მეოთხეჯერ გაჩერდა.

— არავის. სუფთა ჰაერს ვყლაპავ!

რა თქმა უნდა, თავს ორჭოფულად აქნევს, შეპარვით ელიმება და სწულივით მიყურებს.

— ვიცი, ვიცი ვისაც ელოდები. — ამბობს ორაზროვნად იგი, — მაგრამ არ შეცდე. მე ვიცნობ მას, ვიცი ვინც არის!

ბოლო სიტყვები ნახევრად შებრუნებულმა თქვა, მისი სახე არ დამიანახავს; რამ ათქმევინა ეს? შუღლმა თუ მეგობრულმა გულწრფელობამ?.. მაგრამ ერთი რამ ნათელია — მის ნათქვამში ჩემდამი სიბრაღული ჩანდა. შევრცხვი. ჩემი იქ ყოფნა ასე შესამჩნევი გახდა. გაშეშებული მივჩერებივარ მიმავალ მეგობარს და იმ წამს სრულიად დამავიწყდა, რომ პაემანზე ვარ. ვიმეორებ მის სიტყვებს: „ვიცი, ვიცი ვისაც ელოდები“. საკვირველია, როდის დავგინახა ერთად? გულზე გამეჩნწლა. „მაგრამ არ შეცდე“. ეს უკვე რაღას ნიშნავს?... ჭვალასავით დამიარა ქრეოლამ სხეულში, თმის ძირები ამეწვა. „ესე იგი, მან იცის ვინ არის იგი!“, ფიქრობ მე. სწორედ ასე თქვა: „მე ვიცნობ მას, ვიცი ვინც არის!“ რაღაც საშინელი და ჩემთვის წარმოუდგენელი ფიქრებით ვინუსხები. რა იცის, თუ არ იცნობს?! იქნებ, როცა აქ ვიდექი, იგი მასთან ერთად სეირნობდა?... დღეს სამჯერ ჩამიარა, მნახა. როგორ გამოყეყეჩებული ველოდები იმ გოგოს. მეოთხეჯერ, როგორც მეგობარი, შევეცოდე და გამაფრთხილა. საცაა, ალბათ, ისიც მოვა, ვაჟთან სეირნობით გულდაჯერებული. ამ ეჭვმა ციებია-




ნივით ამიტანა, ცახცახი დამაწყებინა. არა, ახლა აღარ მოვეშვები, ვიდრე ვეღლაფერს არ გავიგებ, ვიდრე ჩემს არ გავაყეთებ!

ათი საათია. მოსასვლელი მოსული იქნება. მისი სახლის წინ გავიხედები, დაველოდები. თუ შინაა, იმასაც გავიგებ. ამჯერად ჩემში მოტორი-ვით გუგუნებს შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის გრძნობა. მე ქალი-შვილს პაემანზე ველოდი, იგი კი ჩემს მეგობართან სეირნობდა! ხვალ ამ ამბავს მთელი ქალაქი გაიგებს. ჩემი მტერი ჩავარდა ბიჭების პირში, სასაცილოდ ამიგდებენ. არა, როგორმე ამაღამვე უნდა ვნახო იგი. ვცდილობ. რაც შეიძლება მალე მივიდე მის სახლამდე, არ დავკარგო არც ერთი წუთი. მგონია, მთელი ძალით მივრბივარ, კი არ მივრბივარ, ფრთაშესხმული მივფრინავ, მაგრამ ფეხები არ მემორჩილება და. როდესაც მისავათებუ-ლი კედელს ვეყრდნობი, ვგრძნობ, ამდენი ხნის მანძილზე ერთი კვარტა-ლი არ გამივლია. საათის ისრები კი თერთმეტს უჩვენებენ. ვიცი, რასაც ჩავდივარ მტკნარი სიბრყევეა, მაგრამ აშლილ, აწეწილ გონებას რა ვუყო, როგორ დავაოკო. ამაღამვე უნდა ვნახო იგი. ძალას ვიკრებ და გზას გან-ვაგრძობ. წინ სინდისის ქენჯნა მეწვეა. დიდი ჯაფით ვალწევ მის სახლამ-დე. ოთახში სინათლე ჩამქრალია. როგორც მითხრა. მესამე სართულზე ცხოვრობს, კუთხიდან ორი ფანჯარა მისია. სწორედ იმ ორ ფანჯარაში სი-ნათლე არ ჩანს. შემდეგი ერთი ფანჯარა გაღაქდავებულია. როგორც მე-ნიშნა, იგი სამზარეულოა — ქვემოდან კარადის თავი მოჩანს. შუა ქუჩი-დან შენობის კუთხეში გადავინაცვლე. ბუნდოვნად ვგრძნობ, კარგი არა-ფელი მელის. ამ შიშში გავატარე თორმეტ საათამდე. ეგვიპა კიდეც უფრო ამიტანა; იქნებ, ეზოს მხრიდან შევიდა სახლში-მეთქი და გავხედე ქუჩას, ჩქარი ნაბიჯით გავიარე შენობის კუთხე და ეზოში შევიჭკირტე. რამდენი-მეჯერ გავიმეორე ასეთი რეისი. ბოლოს, სრულიად სასოწარკვეთილი შინ ვბრუნდები.

ნუ მკითხავ, როგორ გავათენე ის ღამე.

ყმაწვილ კაცს ძნელად გააჩნია თავშეკავების უნარი, მით უფრო, თუ ქალიშვილებისგან რამდენადმე განებივრებულია. ასე მგონია, ცა ჩამოიქ-ცა და ქვეშ მოვყევი. მე, რომელიც რუდუნებით მეშვიდე ცაზე დავაბი-ჯებდი, ვილაც ჩამოსულმა გამამასხრა. ერთი გულით გადავწყვიტე, ნანგის-თანავე ცვემო ისიც და ჩემი მეგობარიც. მხოლოდ ასე გადავუხდი შეუ-რაცხყოფას. ეს აზრი თანდათან ისე გამიჭდა თავში, რომ კინაღამ შუაღამი-სას გავიქეცი მათ გასალახავად. ვიდრე სხვები გაიგებდნენ, დე, ჩემი გავა-კეთო-მეთქი, მაგრამ რა მტკიცეც არ უნდა ყოფილიყო ჩემი გადაწყვეტი-ლება, მაინც რაღაც უჩინარი ძალა მაკავებდა, მოქმედების საშუალებას მისპობდა. სწორედ იმ წამს, როცა გული საცემრად გამიწევდა, ქვეშეუც-ნობლად სადღაც ტვინის სიღრმეში გამოკრთებოდა მეორე ფიქრი, გონე-ბა დაცხრებოდა, მივიწყებას მიეცემოდა გაბოროტებული წადილი და თავს



ვხედავდი ვარდისფერ სიზმარში მონანავეს, თითქოს ყველაფერი მცდარი, მონაპორო იყო და ზღაპრულად ბედნიერი ჩემს შეურაცხყოფებში და მერტობი. უიმისოდ წამითაც ვერ წარმოვიდგენდი სიცოცხლეს.

მაგრამ იქნებ მაინც მოტყუებული შეყვარებული ვარ? სამაგიეროს ზღვევა უფრო მიწვავს გულ-ღვიძლს, ვიდრე სიყვარული. არსად გამასწროს-მეთქი, გათენებამდე ვიძურწები სახლიდან. სათვალთვალოდ ქუჩის მეორე კუთხეს ვირჩევ, რომ მან თავისი ოთახიდან არ დამინახოს. ნაცნობთან შეხვედრასაც ვერიდები, თუმცა დიდად არ ვდარდობ—რაც უნდათ. ისა თქვან. ქვეყანა რომ დაინგრეს, აქედან ფეხს არ მოვიცვლი. ქუჩა თანდათან ილკიძებს, სულს იღვამს. გამოჩნდა იაითო-ოროლა კაცი და ქალი. ჩემს წინ რამდენიმე ქალიშვილმაც ჩაიარა. მსუბუქად, ლაღად მიაბიჯებდნენ. ვხედავ, იქ კუთხეში წითელკაბიანი ქალიშვილი ვაჟს შეხვდა, თბილი ღიმილით მიესალმნენ ერთმანეთს და ფაეტოხს დაელოდნენ. რიდი დგანან და საუბრობენ. მონუსხულივით შეეყურობ ქალ-ვაჟს, მშურს მათი. ასე მგონია, ქალიშვილს არასოდეს დავლაპარაკებია. ამასობაში ეტლიც გამოჩნდა. ჯერ ქალიშვილი ადის მასში, შემდეგ ვაჟი და, როცა ფაეტონი დაიძრა, მთელი სხეული წამერთვა, კანკალმა ამიტანა. რას ხედავს ჩემი თვალები?! ჰო, ნამდვილად ის არის. მხარზე ბაღურა გადაუდევს და ტანის რწევით ზღვისაკენ მიაბიჯებს, თავი არხეინად უჭირავს. ისე მშვიდად და წყნარად, უეცრად ეჭმა შემაკრთო. აქ რომ დამინახოს, რა ვთქვა. შენობის კუთხეს ამოვეფარე, დაველიდე, ვიდრე ჩავლიდა. შემდეგ საფარიდან ცხვირი გავყევი და ავედევე. გაივლის ერთ-ორ კვარტალს. ვითომ შემთხვევით საქმეზე მიმავალმა დავინახე და დავუძახე. ასე სჯობს, მხოლოდ ეს გაამართლებს მასთან შეხვედრას. თავს უდარდელად დავიჭერ. კრინტს არ დავძრავ წუხანდელ პაემანზე. გონებაში ყველაფერს სწორად ვსჯი, მაგრამ გრძნობამორეული როდის ავფეთქდები არ ვიცი. ავფეთქდები კი ნამდვილად. თავდაპირველად მის დანახვაზე სიბრავეი. ავფეთქდები კი ნამდვილად. თავდაპირველად მის დანახვაზე სიბრავეი. ავფეთქდები კი ნამდვილად. თავდაპირველად მის დანახვაზე სიბრავეი. ავფეთქდები კი ნამდვილად. თავდაპირველად მის დანახვაზე სიბრავეი.

ფრთხილად, თითქოს ნამყოფებული ყვავილი იყოს. ისე ვახებ მკლავზე.
თავდაპირველად არა, მაგრამ როცა შემომხედა, ვგრძნობ, სახე ღიმილით
გამებადრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ოჰ, შენ ხარ! — მითხრა შეცბუნებულმა და მკერდზე ხელი მიი-
ღო, რომ აფეთქებული გულისათვის დამშვიდების საშუალება მიეცა.

— ჰო, მე ვარ! — საოცრად მშვილად ვეუბნები და თვითონვე მიკ-
ვირს ჩემი სიმშვიდე.

— ამ დილით სად მიხვალ?

— არსად... აი ახლოს... ბიძაჩემთან მივდივარ... აქვე ცხოვრობს.

— ჰოო...

ნელა, უბრად მივაბიჯებთ. ჩვენი მხრები თითქმის ერთმანეთს ეხე-
ბიან. მას სახეზე მკრთალი ფერი ადევს, ახალგამოღვიძებული ჩვილივით.
სახეზე გაფენილი ღიმილი ჩამომეწმინდა და გული ამიძგერდა.

— წუხელ რატომ არ მოდი? — სხვა ვერაფერი მოვახერხე.

შეკრთა და შემომხედა.

— ოჰ, მართლა, სულ არ მომგონებია, ნათესავი გვეწვია, დრო არ
მქონდა, — ისე გულწრფელად თქვა, დავიჯერე (თუ მინდოდა დამეჯერე-
ბინა, არ ვიცი) და ყოველგვარი ეჭვი გამიქრა ასე მგონია, სხვა არავინაა
მასზე უმწიკვლო.

— არსად არ ყოფილხარ? — ახლა კი ვგრძნობ. მამაკაცური სმა და-
მიბრუნდა.

— არა. შენ, ალბათ, დიდხანს მიკადე?!

— ისე, რამდენიმე წუთს. — მხრები ავიქნიე და დავსძინე: — ზღვაზე
მიდიხარ?

— ჰო.

მაგრამ საბანაოდ როდი მიდის. ზღვისპირა პარკის შესასვლელთან
მეკითხება: „ძალიან გეჩქარება“? მეც ეს მინდა. ჩემი თავდაჭერილობით
უპირატესობა რომ მოვიპოვე, ვერ მაღავს, ჩემთან ყოფნა სურს. შემდეგ-
შიც ასე მოვიქცევი, პირს არ ვუჩვენებ, გრძნობებს დავიოკებ, სურვილებს
დავმაღავ, თითქოს მასთან ყოფნა დიდად არ მახარებს. ვსხდებით ხის
ქვეშ, განმარტოებით, ახლო-მახლო კაციშვილი არ ჭაჭანებს. ზღვა არ ჩანს,
მაგრამ ისმის ტალღების ყრუ თქაფუნი. დუმოლში დრო შეუუმჩნევლად
მიიპარება. ენის წვერზე მომდგარი სათქმელი ვერ მითქვამს, მეშინია საქ-
მე არ გავაფუჭო. ნელა ვიღებ მის ხელს და შევცქერი სახეზე. წარ-
ბებს ბრაზით იმეუხნის, ხელი უკან მიაქვს და ტუჩებს უკმაყოფილოდ იბ-
ზუტებს. არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდეს ეს. ისევ ვიღებ მის ხელს და ქალი
ისევ წინააღმდეგობას მიწევს.

— გაბრაზებული ხარ? — ვეკითხები უნებლიეთ.

— არა.



— აბა რას ნიშნავს ეს?

— რა საჭიროა, როცა... — თავს ზრის და წარბები უფრო ემუცხებოდა ვერძნობ, მჯობნის, მაიძულებს ვინოქმედო მაგრამ ეს დიდად არ მაშინებს, რამდენადმე დავყვები და ისევ დავიბრუნებ უპირატესობას.

— ვერაფერი გამიგია?! — გაკვირვებით ვამბობ.

იჩქითად ფიქრიანი თვალი მომაპყრო

— ჩვენ ჯერ ერთმანეთს კარგად არ ვიცნობთ. ხომ არ გგონია, რომ..

— რას ამბობ! — სიტყვას ვაწყვეტინებ. — კარგის მეტი შენზე არაფერი მიფიქრია. რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენ რამდენი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. — სათქმელი მელევა და კვლავ მის ხელს ვიღებ. ამჯერად არ განმერიდა. შეიძლება ამიტომაც — არ დავკარგო ეს ბედნიერება — ვეუბნები:

— მე შენ მიყვარხარ, ძლიერ მიყვარხარ!

ვთქვი თუ არა სათქმელი, გულზე მომეშვა, თითქოს მხრებიდან მძიმე ლოდი მოვიცილე, თითქოს მეორედ ვიშვი ამქვეყნად. იგი თავს ჩემს მხარზე დებს და თვალის უბეები უსველდება. ეს ისეთი სცენა იყო... არა. ამას ველარ აგიწერ. მეც სულათროთოლებული ვტირი, ვტირი სიხარულის ცრემლებით და ასე მგონია, ჩემზე ბედნიერი სხვა არავინაა დედამიწაზე...

* * *

სიტყვა გაუწყდა, სათქმელი ვერ დაამთავრა მზე უკვე ჩასული იყო და პლაჟიდან ხალხი ნელ-ნელა იკრიფებოდა. იგი შესტკეპროდა მსუბუქად მონანავე ტალღებს, დუმდა, მაგრამ მე თითქოს ვისმენდი მისი გულის ჩქამს. გარდასული დღეების ყრუ გამოძახილს. მისი თვალები, აქამდე რომ ხან ვაყური აღტაცებით გაუბრწყინდებოდა, ხან კი ცხოვრებისეული სიბრძნით ღრმა და უძირო უხდებოდა, ახლა სალ კლდესავით ცივი გამხდარიყო.

მერე შემომხედა და თქვა:

— მეტი რა გითხრა. შეილო, სათქმელი ვთქვი. სხვა შენ გამიგე. დღეს, როცა სიბერე კარს მადგას, კარგად იცი, ცხოვრების თანამგზავრი არა მყავს, სრულიად მარტო ვარ, და უკვე გვიანდაა... აი რა არის ყმაწვილკაცური ცდუნება, გამოუცდელობა. ჰმ! ეს გამოუცდელობა! — თავი დახარა და სახეზე ძლიერი ტკივილი გამოეხატა. მეც მწარე სინანულმა შემიპყრო და ორივე ვდუმდით.

ან რა უნდა გვეთქვა?



ლევან ანანიძე

სალამო ზღვაზე

ნაპირისკენ მოაშურეს გემებმა,
ზეიმი აქვთ ყელწკრიალა თოლიებს,
მათი ფრთების ლურჯ ტალღებზე შეხება
სანაფარდოდ ვის არ აიყოლიებს!

მზე ზვირთებში დამორცხვებით ეშვება,
დაპფენია ტალღებს შუქი საამო
და სიჩუმით იგრძნეს კიპარისებმა
ზღვისპირეთის იისფერი სალამო.





სოფლისაჲ მოჲში კვალნი ჯუნგლებში

მაღაიაში, კაცმა რომ თქვას, არ არის უფრო მომხიბვლელი ადგილი, ვიდრე ტანა მერაა. ზღვის სანაპიროზე გადაშლილი, იგი დიდხანს იყო შუა აღმოსავლეთის ყველაზე ცოცხალი ნავსადგური; მისი ყურე ქოთქოთებდა გემებით. მაგრამ ახლა ხომალდები აქ აღარ შემოდიან და ყველაფერს რომანტიკული სევდა მოჰფენია, იმ ადგილებს რომ ახასიათებს, რომელთაც ოდესღაც მნიშვნელობა ჰქონდათ. ამჟამად კი გარდასული დიდების მოგონებითლა ცოცხლობენ.

ეს პატარა მიყრუებული ქალაქი და იქ მოხვედრილი მოგზაურები თავს ისე გრძნობენ, თითქოს საღათას ძილს მისცემიანო.

მეტად წყნარია კვარტალი, სადაც ევროპელები ცხოვრობენ. მათი კლუბი ზღვის სანაპიროზეა. ეს არის ძველი შენობა, სადაც დილით შეიძლება შეხვდეთ პლანტატორებს. საქმეზე რომ ჩამოსულან, დღისით კი ქალებს. ლონდონის ძველ ჟურნალებს რომ ათვალიერებენ. შუალამისას კლუბის საბილიარდოში თავს იყრიან მამაკაცები. კლუბი მხოლოდ ორშაბათობით გამოცოცხლდება ხოლმე, როცა ზევით, დარბაზში გრამოფონს მომართავენ და ხალხიც საცეკვაოდ მიეშურება.

სწორედ ერთ ასეთ დღეს შეეხვდი კარტრაიტებს. ჩვენ საბილიარდოში ვისხედით პოლიციის უფროს გეიზთან. როცა კარტრაიტი შემოვიდა და მთხოვა, ხომ არ ვითამაშებდი მასთან ბრიჯს. კარტრაიტები პლანტატორები იყვნენ და ტანა მერაში ოთხშაბათობით ჩამოდიოდნენ, ცოტათი მაინც რომ გაერთოთ თავისი ქალიშვილი. გავყევი გეიზს და მან წარმადგინა კარტრაიტებთან მისის კარტრაიტი ორმოცდაათიოდე წლისა იქნებოდა. ჭაღარა თმები გასწეწოდა და წარა-მარა ისწორებდა შუბლზე ჩამოშლილ კულულს. დიდრონი ცისფერი თვალები გამოხუნებოდა და ოდნავ დაღლი-

ლი მოჩანდა. სახე დანაოჭებოდა და შეყვითლებოდა. ჩემი აზრით, მას ყველაზე მეტად ახასიათებდა მწარე ირონიის გამომხატველი ტუჩების მოთხრობა.

ძნელი როდი იყო მიმხვდარიყავით, რომ თქვენს წინაშე იდგა ქალი. რომელმაც იცის, რაც სურს, და ყოველთვის უშიშრად გამოთქვამს მას. მე არ შევხვედრივარ ქალს, ასე დაუდევრად რომ ეკიდებოდეს გარეგნობას. მას არა მარტო ვარცხნილობა, ყველაფერი ულახათო ჰქონდა.

კარტრაიტი მოხუცებული და დაღლილი მომეჩვენა. იგი საშუალო ტანის კაცი იყო ლაპლაპა მელოტი თავითა და ჭაღარა უღვაშით. ატარებდა ოქროსჩაჩოიან სათვალეს და საკმაოდ აკურატულად გამოიყურებოდა; მაშინვე შეატყობდით, რომ გაცილებით უფრო კონტაბდა, ვიდრე მისი ფეთხუმი მეუღლე. კარტრაიტი ცოტას ლაპარაკობდა; აშკარა იყო. მას მოსწონდა ცოლის გესლიანი იუმორი და თვითონაც ზოგჯერ საკმაოდ გონებაშეზღუდულ რეპლიკას მიაშველებდა ხოლმე. ისინი, ეტყობოდა, ძალიან კარგი მეგობრები იყვნენ. გესიამოვნებოდათ ამ უკვე საკმაოდ ხანდაზმული ადამიანების ურთიერთსიყვარული. ჩანდა, მრავალი წელი გაეტარებინათ ერთად.

ის-ის იყო თამაშს ვამთავრებდით, როცა მაგიდასთან მათი ქალიშვილი ოლივი მოვიდა.

— უკვე გამგზავრებას აპირებ, დედა? — ჰკითხა მან.

მისის კარტრაიტმა სიყვარულით შეხედა ქალიშვილს.

— კი, ჩემო ძვირფასო. თითქმის ცხრის ნახევარია. ვიდრე ვისადილებდეთ, ათიც გახდება.

— ეშმაკსაც წაუღია სადილი, — მხიარულად თქვა ოლივმა.

— დე, ერთხელ კიდევ იცეკვოს, ვიდრე გავემგზავრებოდეთ, — შესთავაზა კარტრაიტმა.

— არც ერთხელ. კარგად უნდა დაისვენოთ და გამოიძინოთ.

კარტრაიტმა ოლივს შეხედა და გაუღიმა.

— რაკი შენმა დედიკომ ასე გადაწყვიტა, ჩემო ძვირფასო, უსიტყვოდ უნდა დავემორჩილოთ.

— დიახ, დედაჩემი სიტყვის ქალია, — თქვა ოლივმა და სიყვარულით მოუთათუნა ხელი დედის ნაოჭებიან ლოყას. ოლივი ულამაზო იყო. მაგრამ ძალიან მიმზიდველი. ასე, ოცი წლისა იქნებოდა. იგი არ იყო ისე გაბედული, როგორც დედამისი. და უფრო მამასა ჰგავდა. მას ჰქონდა შავი თვალები, ოდნავ არწივისებური ცხვირი და ისეთი გამომეტყველება. რაც სუსტ, მაგრამ კეთილ ადამიანს ახასიათებს.

როცა გამოვეთხოვეთ, გეიზთან ერთად მისი სახლისკენ გავემართე.

— როგორ მოგწონთ კარტრაიტები? — მკითხა მან.

— მომწონს. დედ-მამა, ჩანს, საგსებით კმაყოფილია ერთმანეთის.

— დიახ, მათი ქორწინება მეტად ბედნიერი გამოდგა.



— ოლივი კი პირწავარდნილი მამაა, ხომ ასეა?

გეიზმა აღმაცერად გადმოშედა.

— კარტრაიტი არ არის მისი მამა. მისის კარტრაიტი ქვრივი იყო, როცა მან იგი ცოლად შეირთო. ოლივი რომ დაიბადა, მამამისი ოთხი თვის ცარდაცვლილი იქნებოდა.

— ოჰო! — აღმომხდა მე, რითაც მსურდა გამომეხატა გაკვირვებაც, ინტერესიც და ცნობისმოყვარეობაც; მაგრამ გეიზს არაფერი აღარ უთქვამს და დარჩენილი გზა უხმოდ გავლიეთ.

ნასადილევს გეიზს ლაპარაკის საღერღელი აეშალა. სავარძელში მოკალათებული, ყურადღებით მიცქეროდა ხან მე, ხან თავის ბრენდიან სირჩას.

— მისის კარტრაიტს ოც წელზე მეტია ვიცნობ. — წყნარად დაიწყო მან. — მაშინ იგი საკმაოდ მიმზიდველი იყო. ლაზათი თავიდანვე აკლდა, მაგრამ ახალგაზრდობაში ასე როდი ემჩნეოდა. მის ქმარს ბრონსონს ეძახდნენ, რეგი ბრონსონს. იგი პლანტატორი იყო. მახსოვს, როცა პირველად შევხვდი მისის ბრონსონს, ეს თითქმის გუშინ იყო. რა თქმა უნდა, მაშინ ასე გაბედული არ ჩანდა, როგორც დღეს. იგი ბევრად უფრო გამხდარი იყო, მაგრამ მეტად სანდომიანი სახე ჰქონდა, თვალები კი ლამაზი, ცისფერი. შეენოდა გრუხა შავი თმა. ერთი სიტყვით, მაშინ იგი მშვენიერი დედა-კაცი იყო.

— დიახ, თითქმის ოცი წელია არ მინახავს, — განაგრძობდა გეიზი, — უცნაურადაც კი მომეჩვენა, ამოდენა ქალიშვილი რომ ახლდა. სწორედ ამან მაიძულა გამეფიქრებინა, თუ როგორ სწრაფად გარბის დრო.

— მაშინვე იცანით მისის კარტრაიტი, როგორც კი დაინახეთ? — კვითხე მე.

— ჰოცა და არაც. პირველი შეხედვისთანავე მივხვდი, რომ ვიცნობდი. მაგრამ ვერ მოვიგონე. სად მენახა. როგორც კი დაილაპარაკა, მაშინვე მომაგონდა. კლუბში ჩემთან მოვიდა და ხელი ჩამომართვა.

— გამარჯობა, მაიორო გეიზ! გახსოვართ? — მკითხა.


— რა თქმა უნდა.

— რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც ჩვენ უკანასკნელად შეხვდით ერთმანეთს. და არც ერთი ჩვენგანი უკვე ახალგაზრდა არ არის. თქვენ ნახეთ თეო?

ვერ მივხვდი, ვისზე ამბობდა. ალბათ, მეტად სულელური გამომეტყველება მქონდა, რადგან მას ოდნავ გაელიმა, და განმიმართა:

— იცით, თეოს მივთხოვდი. ეს იყო ყველაზე უკეთესი, რაც შემეძლო გამეკეთებინა, მარტოხელა ვიყავი და ეს მას აწუხებდა.

— დიახ, მსმენია, — ვთქვი მე. — ვიმედოვნებ. ბედნიერი ხართ.



— ო, კი. თეო (უბრალოდ სულიკო) შესანიშნავი ქმარია. ახლავს მოვს. მას ძალიან გაეხარდება თქვენი ნახვა.

გამიკვირდა. არა მგონია, თეოს, ან თუნდაც ამ ქალს ჩემი ნახვა მონატრებოდეს.

— კი, მაგრამ რატომ გგონიათ, რომ არ მონატრებოდით? — ვკითხე მე გეიზს.

— ამას შემდეგ მოგიყვებით. — მიპასუხა გეიზმა. — მალე თეოც გამოჩნდა. არ ვიცი, რატომ ვეძახი მას თეოს. კარტრაიტის გარდა, მისთვის სხვაგვარად არასოდეს მიმიმართავს. თეომ გამაოცა. თქვენ ნახეთ, როგორ გამოიყურება იგი ახლა, მე კი მახსოვს, როცა კარტრაიტი თმასუჭუჭა ყმაწვილი იყო, მუდამ ცოცხალი და კოხტა. პეწი მას არასოდეს აკლდა, ტანადიც იყო და ჩინებულად ეჭირა თავი. და აი, როცა დავინახე ეს მელოტი, სათვალისანი კაცი, რომელიც მესალმებოდა, თვალს ძლივს დავუჭერე.

— გიკვირთ, აქ რომ გვხვდავთ? — მკითხა მან.

— დიახ, წარმოდგენაც კი არ მქონდა სად ცხოვრობდით.

— ჩვენ კი ვიცოდით, სად იყავით თქვენ. თქვენი სახელი ძლიერ ხშირად გვხვდება გაზეთებში. როგორმე უნდა მოახერხოთ ჩვენთან შემოვლა და დაათვალიეროთ ჩვენი მამული. ჩვენ იქ უკვე დიდი ხანია ვცხოვრობთ და, ვფიქრობ, სამუდამოდაც დავრჩებით. თქვენ კი არასოდეს დაბრუნებიხართ ალორ ლიპისს?

— არა, — ვუპასუხე მე.

— ჰო, მართლა, ჩვენ მასთან არასასიამოვნო მოგონებანი გვაკავშირებს, — თქვა მისის კარტრაიტმა.

მე ცნობისმოყვარეობით შევცქეროდი მათ. ჩანდა, მეტად ბედნიერი იყვნენ. ძალიან კარგად ეპყრობოდნენ ერთმანეთს. ცხადი იყო. ქორწინებამ გაუმართლათ. ორივეს ძალიან უყვარდა ოლივი და ამაყობდნენ მისით, განსაკუთრებით თეო.

— მიუხედავად იმისა, რომ იგი მისი გერი იყო, არა?

— დიახ, ქალიშვილი მის გვარს არ ატარებს, თუმცა მამას კი ეძახის. რა თქმა უნდა, იგი სხვა მამას არ იცნობდა, მაგრამ ხელს აწერს „ოლივ ბრონსონი“.

— ვინდა იყო ეგ ბრონსონი?

— ბრონსონი? ერთი ჯანმრთელი ახოვანი ჭაბუკი იყო, კარგი ხმა ჰქონდა, შესანიშნავი სპორტსმენი იყო, მეტად პირდაპირი და პატიოსანი. მას უყვარდა ლაპარაკი კაუჩუკსა და თამაშებზე — ჩოგბურთი, გოლფი, სროლა. მთელი წლის მანძილზე, ალბათ, ერთ წიგნსაც არ წაიკითხავდა, მაგრამ ბრიყვი არ ყოფილა: შესანიშნავად იცოდა თავისი საქმე და სოფელში საუკეთესო მამულიც ჰქონდა.

— როგორ ეწყობოდნენ ერთმანეთს ბრონსონები?

— ვფიქრობ, ბედნიერი იყვნენ. მათი მამული ხუთი მილით ცილებული ალორ ლიბის.

ერთხელ მისის ბრონსონმა გვითხრა. მეგობრის ჩამოსვლას ველოდებოთ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მათ უკვე ახლდა კარტრაიტი. იგი ბრონსონის ძველი მეგობარი ყოფილა. სკოლაში ერთად სწავლობდნენ და აღმოსავლეთში პირველად ერთი ხომალდით ჩამოვიდნენ. როცა კაუჩუკის ფასი დაეცა, ბევრი უმუშევრად დარჩა. მათ შორის კარტრაიტიც. ბედმა მას ძალიან უმუხთლა.

ბოლოს ბრონსონს მისწერა, დამეხმარეო.

ბრონსონმა თავისთან მიიწვია იგი და ურჩია, ვიდრე საქმე გამოსწორდება, ჩემთან დარჩიო. კარტრაიტმაც ისარგებლა ამით. ბრონსონმა მატარებლის ბილეთის ფულიც კი გაუგზავნა. როცა კარტრაიტი ალორ ლიბისში ჩავიდა, ჯიბეში, ათი ცენტი რა არის, ისიც არ უჭყიოდა. მისის ბრონსონმა უთხრა, შეგიძლია ისე მოიქცე, როგორც შინ, და იმდენ ხანს დარჩე, რამდენიც გენებოსო.

— რას წარმოადგენდა კარტრაიტი იმ დროს? — ვკითხე მე.

— იგი, რა თქმა უნდა, უფრო ახალგაზრდა და მიმზიდველი იყო. მართალი გითხრა. მისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. კარტრაიტს კითხვა უყვარდა და საკმაოდ კარგად უკრავდა პიანინოს. ხელს არავის უშლიდა და მისთვისაც მაინცდამაინც თავს არავინ იწუხებდა. იგი ყველაფერს აკეთებდა, რაც შეეძლო, მაგრამ ბედი არ წყალობდა. უჭირდა სამუშაოს გამოძებნა და ზოგჯერ ძალიან ტანჯავდა ეს. ბრონსონებთან კარტრაიტი ერთ წელზე მეტ ხანს დარჩა. მახსოვს, ერთხელ მითხრა:

— ბოლოს და ბოლოს, მათთან სამუდამოდ ხომ ვერ დავრჩები. ისინი მეტისმეტად კეთილი არიან, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს.

მაგონდება, ერთხელ ექიმის ცოლმა ჰკითხა მისის ბრონსონს, უცხო კაცმა თავი ხომ არ მოგაბეზრათო.

— ო, არა. თეო სრულებით არ გვაწუხებს. — მერე ქმარს მიუბრუნდა: — გვიხარია, რომ იგი ჩვენთანაა, ხომ ასეა?

— კარგი ბიჭია, — თქვა ბრონსონმა.


— კი, მაგრამ რას აკეთებს მთელი დღე?

— მუდამ მზადაა დამეხმაროს, — თქვა ბრონსონმა. — ამას წინათ, როცა ციებ-ცხელების შეტევა მქონდა, იგი ჩემს მაგივრად მუშაობდა. მე ვიწვექი და არაფერი მადარდებდა.

— ბრონსონებს შვილები ჰყავდათ?

— არა, — მიპასუხა გეიზმა. — არ ვიცი რატომ, მაგრამ არ ჰყავდათ, თუმცა ხელს არაფერი უშლიდათ.

შემდეგ გეიზმა უცებ თქვა:



გარეთ გამოვედი და დავეინახე, პოლიციის სერჟანტი და ორი მალაიელი მელოდებოდნენ. ვკითხე, რა ეშმაკი გინდათ-მეთქი. მან მიამბოთ, რომ ეს ადამიანი საპოლიციო უბანში მოვიდა და მითხრეს, კაბულონგისაკენ მივსვალთ. ბილიკზე, ჯუნგლებში რომ გადის, თეთრი ადამიანის გვამი აგლიაო. მაშინვე ბრონსონი გამახსენდა.

— მოჰკლეს? — წამოვიძახე მე.

— დიახ, თავში მოლურტყამო. თეთრი ადამიანია წითური თმით.

მივხვდი, ეს რეგი ბრონსონი იყო. და მარბლაც, ერთ-ერთმა მალაიელმა დაასახელა მისი მამული და თქვა, ბრონსონი ვიცანიო. ამ ამბავმა თავზარი დამცა. პირველ ხანებში არც კი ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, როგორ გამემხილა ეს უბედურება მისი ბრონსონისათვის. ვგრძნობდი, ოდნავადაც არ შემეძლო შემენელებინა მისი სიმძაფრე. კლუბში დავბრუნდი; როცა შევედი, მისი ბრონსონმა თქვა:

— თქვენ დიდხანს არ ჩანდით. — შემდეგ ჩემი მზერა დაიჭირა. — მოხდა რამე?

დავეინახე, როგორ დამუშტა მან ხელები და გაფითრდა.

— საშინელი რამ მოხდა, — ვთქვი და ყელში რალაც მომეხვინა. ვიგრძენი, ხრინწიანი ხმით ვლაპარაკობდი. — უბედური შემთხვევა მოხდა, თქვენი ქმარი დაჭრეს.

— დაჭრეს?

იგი წამოვარდა და კარტრაიტს მიაშტერდა. კარტრაიტი უკან გადაიწია და მკვდარივით გაფითრდა.

— ეშიშობ, ძალიან მძიმედ, — დავუმატე მე.

ვიცოდი, სიშარტლევ უნდა მეთქვა, მაგრამ ვერ შევძელი ყველაფერი ერთბაშად გარმოვლაგებინა.

— გონ... — ტუჩები ისე აუჯანკალდა, ძლივს ამოღერლა: — იგი გონზეა?

— ვგონებ, არა.

მისი ბრონსონი ისე მომაჩერდა, გევგონებოდა. პირდაპირ სულში ჩაძვრომას მიპირებდა.

— მკვდარია?

— დიახ, როცა იპოვეს, უკვე მკვდარი იყო.

მისი ბრონსონი სკამზე დაეშვა და ცრემლები წასკდა. ექიმის მეუღლე მივიდა და მოეხვია. კარტრაიტი უძრავად იჯდა, პირი დაეღო და თვალი ვერ მოეცილებინა ქალისათვის. მისი ბრონსონს ძალად შევასვით ჭიქა ბრენდი. იგი, თანდათანობით დამშვიდდა.

— მგონი, თქვენც არ გაწყყენდათ ერთი ყლუბი ბრენდი, — ვუთხარი კარტრაიტს.

— დიახ, შევსვამ.



—ახლა კი შეგიძლიათ მისის ბრონსონი შინ წაიყვანოთ.

მე და ექიმი მათ კვალს მიყვებით. ერთხანს ხმა არ ამოგვივიწყებენი ძალიან შეძრწუნებული ვიყავით, განსაკუთრებით მე. მკვლელები უნდა მეპოვნა და ვგრძნობდი. ეს არ იყო იოლი.

— თქვენ ფიქრობთ მკვლელობა გაძარცვის მიზნით მოხდა? — მკითხა ბოლოს ექიმმა.

ეტყობოდა, ჩემი აზრი ამოიკითხა.

— უეჭველია, — ვუპასუხე მე. — მკვლელებმა იცოდნენ, რომ ის კაბულონგში გაემგზავრა ფულისათვის და უკანდაბრუნებულს ჩაუსაფრდნენ. იგი, რა თქმა უნდა, მარტო არ უნდა წამოსულიყო ჯუნგლებით, მაშინ როცა ყველამ იცოდა, დასტა ფული მოჰქონდა.

— მრავალი წელია, იგი ასე იქცეოდა, და არა მარტო იგი. ეს საშინელებაა მისის ბრონსონისათვის. იგი ყოველთვის უბედურება იქნებოდა, მაგრამ ახლა, როცა შვილს ელოდება...

— ეს არ ვიცოდი, — გავაწყვეტინე მას.

— რაღაც მიზეზის გამო მისის ბრონსონს არ სურდა გაემხილა ეს ამბავი. იგი საკმაოდ ახირებულად იქცეოდა.

მაშინდა გამახსენდა მისის ბრონსონისა და ექიმის მეუღლის საუბარი. მივხვდი, რატომ აწუხებდა ამ კეთილ ქალს მისის ბრონსონის დაღლილობა.

— უცნაურია, რომ მისის ბრონსონი ბავშვს ელოდება ამდენი ხნის ცოლ-ქმრობის შემდეგ.

— ასეც ხდება ხოლმე. როცა ჩემთან მოვიდა და გაიგო რაშიც იყო საქმე, იგი ცუდად გახდა, მერე კი ატირდა. მითხრა, ბრონსონს ბავშვები არ უყვარსო და პირობა ჩამომართვა, არაფერი უთხრა მას ამის თაობაზე, ვიდრე შემთხვევა არ მომეცემა თანდათანობით გავუმხილო იგიო.

— საცოდავი, — ვთქვი მე. — იცით, დარწმუნებული ვარ, უზომოდ გაეხარებოდა ეს.

დარჩენილი მანძილი მდუმარედ განვლიეთ და, ბოლოს, იმ ადგილს მივალწიეთ, სადაც გზა მკვეთრად უხვევს კაბულონგისაკენ. აქ შეეჩერდით; ორიოდ წუთის შემდეგ პოლიციის სერჟანტი და ორივე მალაიელი შემოგვიერთდნენ. ჩვენ ჯუნგლებში გავემართეთ, გზას ფარანი გვინათებდა. ოციოდ წუთს ვიარეთ. უცებ ყულები შეჩერდნენ და გულგამგებრად იყვირეს. ბილიკზე, რომელსაც მკრთალად ანათებდა ყულების ფარნები, ბრონსონი იწვა. ველოსიპედიდან გადმოვარდნილი, იგი მის გარდიგარდმო ჩამხობილიყო. შეძრწუნებულმა კრინტი ვერ დავძარი.

ექიმი დაიხარა და მკვდრის თავი შეაბრუნა.

— დიდი ხანია გარდაიცვალა? — ვკითხე მე.

— დიახ, მაშინვე მომკვდარა. ძალიან ახლოდანაა ნასროლი. ბრძოლის
არავითარი კვალი არ ჩანს.

ფარანი ავიღე და ირგვლივ ყველაფერი გულმოდგინედ დავათვალიე-
რე. ბილიკზე. სადაც იგი იწვა, ქვიშა დატკეპნილიყო. იქვე ჩანდა ჩვენი
კვალი და ყულებისა, რომლებსაც მკვდარი მიჰქონდათ. ორი თუ სამი ნაბი-
ჯი გადავდგი და გარკვევით გავარჩიე ველოსიპედის ნაკვალევი. ბრონსონი
პირდაპირ მიდიოდა. შემდეგ კი, ალბათ, შეჩერდა და ფეხებით მიწაზე
დადგა.

— მოდით გავჩხრიკოთ, — ვთქვი მე.

ჯიბეები გადმოვუტრიალე, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე — ვერც ფული,
ვერც საათი. მძარცველებმა, როგორც ჩანს, იცოდნენ, ფული თან რომ
ჰქონდა. უცებ წარმოვიდგინე, როგორ მოხდა ეს. ერთმა მათგანმა, რაღაც
საბაბით, გააჩერა იგი, ხოლო შემდეგ, როცა ბრონსონი დაიძრა, მეორემ
თავში ესროლა ორივე ლულიდან.

ჩვენ ათასი დოლარი შევთავაზეთ იმას, ვინც მკვლელს გვაპოვნიებ-
და. მაგრამ, ეტყობა, ვერავინ შეაცდინა ამ თანხამ. ისლა დაგვრჩენოდა,
დაგვეცადა, ვიდრე ეს ამბავი ჩაცხრებოდა და მკვლელები არ გადაწყვეტ-
დნენ, ახლა უხიფათოდ შეგვიძლია ბრონსონის ფულების ფლანგვაო.

კარტრაიტი სინგაპურში წაიყვანა მისის ბრონსონი. კომპანიამ, სადაც
ბრონსონი მუშაობდა, მას ბრონსონის ადგილი შესთავაზა, მაგრამ მან,
ბუნებრივია, უარი განაცხადა. მაშინ მამულის მმართველის ადგილი შეს-
თავაზეს და კარტრაიტი დაეთანხმა. იგი ახლაც იმ მამულში ცხოვრობს.
ოთხი თვის შემდეგ სინგაპურში დაიბადა ოლივი; კიდევ რამდენიმე თვე
და, როცა ბრონსონის მკვლელობიდან ერთი წელი გავიდა, კარტრაიტი და
მისის ბრონსონი დაქორწინდნენ. ეს სავსებით ბუნებრივი იყო. კარტრაი-
ტი ბევრს ზრუნავდა მისის ბრონსონზე; და იმან, რაც მათ ერთად განიცა-
დეს, დააახლოვა ისინი.

ყველა ფიქრობდა, ბრონსონის მკვლელებს ვერასოდეს იპოვნიანო. იმ
მხარეში არავინ ხარჯავდა იმაზე მეტს, ვიდრე იღებდა. არავის სურს
პირკატა ეცეს, მე კი მეცა. მოულოდნელად დააკავეს ერთი ჩინელი, რომე-
ლიც ცდილობდა უბედური ბრონსონის საათი დაეგირავებინა. ბოლოს და
ბოლოს, საიდუმლოს ფარდა ეხსნებოდა. ჩინელმა თქვა, საათი ჯუნგლებ-
ში ვიპოვეო.

იპოვა? შეხედეთ ერთი! სად?

მისმა პასუხმა გამაოცა. თქვა, ბილიკით მივდიოდი, კაბულონგიდან
აღორ ლიპისში რომ მიემართებო; ჯუნგლებში რომ შევედი, რაღაც ბრწყინ-
ვალე საგანი დავინახე, რომელიც საათი გამოდგაო. ვკითხე, როდის იპო-
ვე-მეთქი. გუშინო, მიპასუხა.

ვცადე საათი გამეხსნა, მაგრამ ამაოდ. საბედნიეროდ, მევახშეს, რომე-

ლიც საპოლიციო უბანში მოვიდა, ცოტა რამ გაეგებოდა საათისა. საათი
ტრაქტუნით გაიხსნა. მექანიზმს ჟანგი მოკიდებოდა. ვკითხე, ასე რამდენადაა
ჭა საათი-მეთქი. ალბათ, დიდხანს იდო სინესტეშიო, მიპასუხა.

დაბატონებულს ვუთხარი, იქ წაგვიყვანე. სადაც საათი იპოვე, და
ზუსტად უნდა მიმიტითო ადგილი-მეთქი. ჩვენ გავყევით ბილისს. ხუთ
იარღზე იმ ადგილიდან, სადაც ბრონსონი მოჰყვას, ჩინელი გაჩერდა.

— აქ, — თქვა მან.

გეიზი შეჩერდა და ყურადღებით გადმოიხედა.

— რას იფიქრებდით ჩემს ადგილზე?

— არ ვიცი. — ვუპასუხე მე.

— და აი გეტყვით, რას ვფიქრობდი. მე ვფიქრობდი, რომ თუ საათი აქ
იყო, მაშინ ფულიც აქვე უნდა ყოფილიყო. მხოლოდ უნდა მომეძებნა იგი.
და ჩვენც შევუდევით საქმეს. რამდენიმე საათის შემდეგ დავასკენი, რომ
ყველაფერი ამოა იყო. უცებ ჩინელი, რომელსაც ალბათ, კარგად უჭრიდა
თვალი. დაიხარა და ხის ძირებიდან ჭუჭყიანი, აყროლებული საგანი ამოა-
ვრინა. ეს იყო საფულე, რომელიც მთელი წელიწადი ეგდო წვიმაში. იგი
ჭიანჭველებს გამოეჭამა. სველი და გაყინებული იყო, მაგრამ მაინც
ბრონსონის საფულე გახლდათ. შიგ სინგაპურის ბანკნოტების უფორმო ნა-
რჩენები ეწყო, კაბულონგის ბანკში რომ მიიღო. ვისაც არ უნდა მოეკლა
ბრონსონი. ეს ფულის გულისათვის არ გაუკეთებია.

გასოვთ- გითხარით, მისი ფეხის კვალი შევამჩნიე ველოსიპედის ორი-
ვე მხარეს-მეთქი? ეს კვალი მუდამ საგონებელში მაგდებდა. და ახლაც ეს
აზრი მიტრიალებდა თავში. ბრონსონი ფულის გულისათვის როდი მოჰ-
ყვას, და თუ ის გაჩერდა, ვინმეს რომ გამოლაპარაკებოდა, იგი მისი ნაცნო-
ბი უხდა ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს, მივხვდი, ვინც იყო მკვლელი.

კაცი, რომელსაც ბრონსონი შეხვდა, კარტრაიტი იყო. კარტრაიტი
მტრედზე სანადიროდ წავიდა. ბრონსონი გაჩერდა და კარტრაიტს ჰკით-
ხა, კარგად ინადირე თუ არაო და, როცა წასასვლელად დაიძრა, კარტრაი-
ტმა თავში ესროლა ორივე ლულიდან. კარტრაიტმა წაიღო ფული და საა-
თი, დანაშაული რომ ძარცვისათვის მიემგვანებინა, და დამალა ისინი ჯუნ-
გლებში, შემდეგ შინ წავიდა, ტანზე გამოიცვალა და მისის ბრონსონთან
ერთად გაემართა კლუბში ჩოგბურთისა და ბრიჯის სათამაშოდ.

ახლა მაგონდება, როგორ ცუდად თამაშობდა იგი ჩოგბურთს იმ დღეს
და როგორ დაიბნა, როცა ამბის გასანელებლად მისის ბრონსონს ვუთხარი,
ბრონსონი დაჭრილია და არა მკვდარი-მეთქი. დაჭრილი რომ ყოფილიყო,
ლაპარაკი შეეძლებოდა. მისის ბრონსონი ბავშვს ელოდა კარტრაიტისაგან.
შეხედეთ ოლივს. განა თქვენ არ თქვით. პირწავარდნილი მამა არისო. ექი-
მმა თქვა, მისის ბრონსონს ხასიათი წაუხდა, როცა ვუთხარი, ბავშვს უნდა
ელოდო-მეთქი, და მთხოვაო არ გამემხილა ეს ამბავი ბრონსონისათვის. რა-

ტომ? იმიტომ, რომ ბრონსონმა იცოდა, მამობა არ შეეძლო.

— თქვენ ფიქრობთ. მისის ბრონსონმა იცოდა, რომ ეს კარტრაიტი ჩაიდინა?

— ეს ღრმად მჯერა. როცა ვიგონებ, როგორ იქცეოდა იგი კლუბში იმ საღამოს, კიდევ უფრო მჯერა ეს. ვიცნობ ამ დედაკაცს. შეხედეთ მის კვადრატულ ნიკაპს და ეჭვი აღარ დაგრჩებათ, რომ იგი ეშმაკივით ვერაგია. მან აიძულა კარტრაიტი ჩაედინა ეს. მან მოიფიქრა ყველაფერი უწვრილმანეს დეტალამდე. კარტრაიტი მთლიანად ემორჩილებოდა მის ნებას, და ახლაც ასეა.

— ნუთუ თქვენ გასურთ თქვათ, რომ არც თქვენ, არც სხვა ვინმე არასოდეს დაეჭვებულა მათს კავშირში?

— არასოდეს, არასოდეს.

— თუ მათ ერთმანეთი უყვარდათ და იცოდნენ ბავშვი ეყოლებოდათ, რატომ არ გამოუტყდნენ ბრონსონს?

— ბრონსონს ფული ჰქონდა. მათ კი გახვრეტილი გროშიც არ გააჩნდათ. კარტრაიტი უმღუშეგარი იყო.

— კი, მაგრამ მათ ხომ შეეძლოთ ბრონსონის მოწყალების იმედი ჰქონოდათ!

— ვფიქრობ. მათ ერცხვინებოდათ ეს. იგი ხომ ასე კეთილად ეპყრობოდა ორივეს, კარგი ადამიანი იყო. ძნელი საფიქრებელია. ჰყოფნოდათ გამბედაობა და სიმართლე ეთქვათ მისთვის. მათ ამჯობინეს მოეკლათ იგი.

— როგორ მოიქცეით თქვენ? — ვიკითხე მე.

— როგორ უნდა მოვქცეულიყავი? არავითარი სამხილი არ იყო. საათი და ფული იპოვეს. მაგრამ ისინი შეეძლო გადაემალა ყველას. კვალი? ხომ შეიძლებოდა, ბრონსონი სიგარეტის მოსაწევად შეჩერებულიყო. ვინ დაამტკიცებდა, რომ ბავშვი, რომელიც შობა საცხებით წესიერმა და წარჩინებულმა ქალმა ქმრის სიკვდილიდან ოთხი თვის შემდეგ, ბრონსონის შვილი არ იყო? არც ერთ გამოძიებას არ შეეძლო კარტრაიტისათვის მსჯავრის დადება. იძულებული ვიყავი პირში წყალი დამეგუბებინა და მალე ყველამ მიივიწყა ბრონსონის მკვლელობა.

ინგლისურიდან თარგმნა სპემტლანა პეტროვა.



მიხეილ ლეონიძე ესკანური ბალადა

აყვავებულ ველზე მიჰქრის გვადიანა.
მის ტალღებში გუმბათები აილანდნენ.
იმ დრომ უკვე რა ხანია გადიარა,
ურჯულონი შიგ რომ თავის ცხენებს ბანდნენ.

გალმა მხარეს, დამიჯერეთ, მართალს გეტყვით,
მალალ ყორღანს ქრისტიანთა იცავს მკლავი.
იმ ყორღანზე აღმართულა თუჯის სვეტი,
ჯვრით და ჩალმით ბოლოვდება მისი თავი.

იქვე ახლოს იყო ერთი მონასტერი.
როცა ღამის მყუდროება იდგა სრული,
თავს იყრიდნენ სანადიმოდ მონაზვნები
და სერობა იწყებოდა მხიარული.

როს გაჩაღდა სიმღერა და თასთა მიჯრა,
უცებ მიწყდა მონაზონთა ღვინი ლაღი —
მონასტერში სარკინოზი შემოიჭრა,
მარტო იყო და არ ესხა იარაღი.

და ურჯულო, მოწიწებით მათ წინ მდგარი,
ამბობს: „ჩაღმა აღარ მინდა, ვერ ვატარებ.
გთხოვთ, მომნათლოთ, როგორც თქვენი წესი არის.
მართალს ვამბობ, არა ვტყუი, ვფიცავ მთვარეს.

დამიჯერეთ, ჩემი ნებით მოველ თქვენთან.
მომეწონა თქვენი წესი, თქვენი რჯული.
დე, სიცოცხლე შეიწიროს თქვენმა ღმერთმა,
მას მივენდე, მეგობრებო, წრფელი გულით!“

მაგრამ უცხო არ დაინდეს მონაზვნებმა
და ხანჯალი გაბასრული გულში მისცეს.
მოკლულს ყელზე აღმასი და ოქრო ება,
მიცვიდნენ და ყელსაბამი აავლიჯეს.

წილად ერგო მკვდარს წაბილწვა ზიზღიანი,
ხოლო დილამ რომ შეცვალა ღამე მრუმე,
ავკაცებმა გვამი იგი სისხლიანი
გადისროლეს უმოწყალოდ კლდეზე თურმე.

მესამე დღეს ყორღანი და თუჯის სვეტი
აღიმართა უცნაური მანქანებით.
ჯვრით და ჩალმით დაგვირგვინდა სვეტის წვეტი,
ქვეშ ემარხა სარკინოზი ღმერთის ნებით.

და ყოველ წელს ამის შემდეგ ის ცხედარი,
როცა მთვარე გაანათებს არე-მარეს,
დაუყვირებს თურმე ბერებს კართან მდგარი,
რალას უცდით, მომნათლეთო ბარემ მალე.

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.



ლადო ასათიანი

უ ე ნ !

სიყრმიდან მწვავდა მელანქოლია
და დამცინოდა პირქუში ბედი,
სხვა მეგობარი მე არ მყოლია,
ჩემი ალალი ლექსების მეტი.

სიყრმიდან მწვავდა სახე თამარის,
ბეთანიაში გამოხატული,
და ვნატრულობდი ჩემი სამარე
რომ ყოფილიყო მიწა ქართული.

თვითონ ვარსკვლავებს ემახსოვრებათ
(მე მხსნელად მყავდა ვარსკვლავთ კრებული),
რომ იყო მუდამ ჩემი ცხოვრება
მკვდრების მზესავით გაყვითლებული.

ასე სათუთი, სუსტი და მკრთალი
შენ მერცხალივით მოფრინდი ჩემთან.
შენ დამავიწყე მკაცრი ზამთარი
და მამა-პაპის საფლავის სევდა.

რალა ვქნა ახლა, საით წავიდე.
ჩემო ნუგეშო და ჩემო კარგო.

* ლადო ასათიანის ეს ლექსები გადმოგვცა პოეტის მეგობარმა და თანაკურსელმა ზინა ხონელიძემ.

კარგი იქნება გზას მასწავლიდე,
რომ სიბნელეში არ დავიკარგო.

რისთვის მოხვედი, გაფიზის ვარდო,
რად აკვენესე ლერწამის ღერი.
დავდივარ მარტო, დავდივარ მარტო
და ეთიმ გურჯის ბაიათს ვმღერი:

— წყალში ვდგევარ,
ცეცხლი მიკიდია.

1937 წ. 23. ნოემბერი.

* * *

ზ...ს

ვინ არის ეს ქალი, ვინ არის
ეს ქალი, ასეთი ცისფერი.

ჩემო ლამაზო, წამოდი ჩემთან,
შევსვათ ამ ქვეყნის იქითა წყალი.
რა ვუყოთ, თუ გვწვავს მწუხრი და სევდა,
გველის ველი და ფიჭვნარი წყნარი.

ჩემო ლამაზო, მართალო ცამდის,
მართალო ღამით, მართალო დღისით,
იყო დრო, როცა ეს გული ცემდა,
ჩემო ლამაზო, წამოდი ჩემთან!

წამოდი ჩემთან ფეხებშიშველი
და მინდვრისფერი შესამოსავით
(რა ვუყოთ, თუ გვწვავს მწუხრი და სევდა,
გველის ველი და ფიჭვნარი წყნარი).

თუ წაიქცევი, აქ ვარ, გიშველი
შენი პოეტი, შენი მგოსანი.
ვით ნატიფი და ფაქიზი შველი,
წამოდი ჩემთან ფეხებშიშველი...

დავსხდეთ იქ, სადმე მწვანე ტბის პირას
და, როცა თვალებს დაათოვს რული,

შენ, შენ იქნები ჩემი ზემფირა,
დამწვავს ალექოს მზე სიყვარული.
ერთ დროს ეს გული სიამით ძგერდა,
ჩემო ლამაზო, წამოდი ჩემთან.

გწამდეს პოეტის სიტყვა მართალი,
აღბეჭდე იგი გულის დაფაზე,
რა ვუყოთ, ტრფობით თუ ავად არის,
მიიღე იგი და დააფასე.

1938 წელი, მაისი.

№...ს

ა. ხ.

როგორც პეპელას მოფრენა
ზაფხულის ცვრიან დილას,
და როგორც ვარდის მოფენა
მწვანე წალკოტის პირას.

გამომეცხადა მაგ სახე
წყნარი, ვით დილის რული,
ღრუბლის ქალწულად დაგსახე
სიეთერე მინისლული.

სად იყო შენი ბავშვობა,
მზეში ხომ არ ხარ ზრდილი?
ეხ... ვიცი, ნისლმა არ გშობა
ვარდებში სისხამ დილით?

და მინდა ეხლა ლექსიც
იყოს შენსავით წყნარი.
მზის სასახლეში შეგსვი,
მოგართვი ლექსის ბწყარი,


დილის ნაჟური შეგსვი,
შეველე ცისკრის კარი.

პოდა, ეს ლექსიც მინდა
იყოს შენსავით წყნარი.
წყნარი და ისე წმინდა,
როგორც აკაკის ქნარი.

თამამი, როგორც ორბი
ანდა ბოკვერის სუნთქვა.
მანიშნე: მალე მოლბი,
რაიმე ავი თუ ვთქვა;
ძარღვებში სისხლი მორბის,
არ მინდა გულის თუთქვა.

და თუ ავი ვთქვი რამე,
შენ სხვაზე უწინ ჰპოვებ,
ნუ გამითენდეს ღამე
მოხეტიალე პოეტს.

1936. 11 VII. 4-თაისი. ბანაკი.





ლამარა ხელაძე აკვერ დანსვი აჭარის შესახებ

ქართული კულტურის უცხოელ მოამაგეთა შორის არტურ ლაისტს (1852-1927 წ. წ.) განსაკუთრებული ადგილი უკავია. ქართველი ხალხის გულწრფელი მეგობარი, თავისი დროის საკმაოდ ცნობილი პუბლიცისტი და თვალსაჩინო მოღვაწე, „საქართველოს გულის“ ავტორი ა. ლაისტი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ერთ-ერთი წევრი. 1890 წელს დრეზდენში მან გერმანულად გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“. მისი წერილები იბეჭდებოდა ქართულ პრესაში („ქართული სიტყვა“, „ბახტრიონი“, „ილიონი“, „რუბიკონი“, „ლომისი“, „თემი“). ლაისტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისში გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის“ დაარსებაში.

ევროპაში ქართულ კულტურისა და მწერლობის პოპულარიზაციასთან ერთად, ა. ლაისტი საქართველოში ხანგრძლივი ყოფნისას გულმოდგინედ სწავლობდა ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებასა და ეროვნულ თავსებულებებს. როგორც ცნობილია, მას აქვს შესანიშნავი წერილები ქართულზე, კახეთზე, იმერეთზე და საქართველოს სხვა კუთხეებზე. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია ლაისტის 1894 წელს დაწერილი სტატია, რომელიც ცხადყოფს, რომ მას არ გამოარჩენია საქართველოს ერთ-ერთი უღამაზესი მხარე — აჭარაც. ამ სტატიის ავტორადი გერმანელ სწავლულს გადაუცია პროფ. ვ. კოტეტიშვილისათვის, რომელსაც მზრუნველობით შეუენახავს იგი თავის პირად არქივში.

გვეცნოთ ამ წერილს, რომელიც იბეჭდება ზოგიერთი შემოკლებით.

ბათუმში

რა პირქუში გაზაფხულია! უკვე მეათე დღეა, რაც ცა დაფარულია ლეგა ღრუბლებით, ხშირად წვიმს. ზღვა მოქუფრულია, მუქი ნაცრისფერი, მაგრამ წყნარი. იგი ძლივს ლივლივებს და სუსტი ტალღა თანაბრად და უხმაუროდ სცემს ქვიშიან ნაპირს. ისეთი სიჩუმე და სიწყნარეა, გეგონებათ ზღვას მშვიდად სძინავს. აქ ყველგან უამრავი კვიპარისია, მეტი, ვიდრე სადმე სხვაგან საქართველოში. ეს ლამაზი აშოტილი სევდის ზე სწორედ რომ შეეფერება ამ პირქუშ დღეს. იგი თითქოს აქაური წვიმიანი, ღრუბლიანი გაზაფხულის ემბლემაა.

ქალაქის ბაღში ჰყვავის ყვავილები, მაგრამ უმზეოდ, სუსტი სინათ-
ლით. მეც სევდა მაწევს გულზე და სულ მაგონდება თბილისური მანუჩის
ნათელი დღეები, რომელიც ბათუმის სამოთხეს ვანაცვალე. ნაღვლიანად
გავცქერი აღმოსავლეთს და ველოდები მზის აელვარებას.

პირველი ნაცნობი, რომელსაც აქ შევხვდი, იყო გრიგოლ ვოლსკი,*
რომელიც დაბადებულია პოეტად და ახლა მუშაობს ქარხნის ექიმად. ამის
გამო იგი არც პოეტია და არც ექიმი. მე სევდამ შემიპყრო, როცა დავინა-
ხე, როგორ ცდილობდა იგი ყოფილიყო უდარდელი და მხიარული, თავი
მოეჩვენებინა ბედნიერ ადამიანად, ნამდვილად კი იტანჯებოდა უიღბლო-
ბით და თავისი ცხოვრებით. ხანდახან მას ავიწყდება საკუთარი ბედი, ხუმ-
რობს, იცინის და თითქოს კმაყოფილია, როგორც ბევრი სხვა, მაგრამ
ინტიმურ წრეში ხშირად გადაშლის ხოლმე გულს და სევდას არ მალავს.
თუმცა იგი ქართველი პოეტია, მაგრამ მაინც ნახევრად ქართველია და
პოლონელი მამისაგან შემკვიდრეობით მიიღო ის მელანქოლიური სიმი,
რომელიც ჟღერს შოპენის მუსიკაში, მიცეკვიჩისა და სლოვაკის პოეზი-
აში. დიახ, ვოლსკი ქართველიც არის და პოლონელიც, და ასეთი გაორება
ამსხვრევს მის პოეტურ ტალანტს. მისი მგზნებარე ქართული ტემპერამე-
ნტი არ ეხამება მის პოლონურ სულიერ განწყობილებას. მაგრამ რაოდენ
ნამდვილი და ღრმად მგრძნობიარეა მისი ლირიზმი! „ნუ ნანობ იმაზე
ტყვილად“ და „სულ შენ გეწაფები“ — ეს ლექსები კი არა, საუცხოო სი-
მღერებია.

გაზაფხულის ღრუბლიან დღეებში რომ დავსეირნობდი ბათუმის ბუ-
ლვარში და გავცქეროდი მოქუფრულ ზღვას, მუქ კვიპარისებს და აჭარის
დიდებულ მთებს, ვფიქრობდი მხოლოდ ვოლსკის სიმღერებზე. მისი სიტ-
ყვები გამუდმებით ჟღერს ჩემს სულში და მანაღვლიანებს.

დღე დღეს მისდევს და ცას არ სცილდება ღრუბლის ზეწარი, მზის
ერთი სხივიც ვერ ატანს მასში და დღისითაც კი სანახევროდ ბნელა ხმე-
ლეთზეც და ზღვაზეც. მაგრამ ამ გაუმქრალი მწუხრის მიუხედავად, ყოვე-
ლდღე ვსეირნობ ბულვარში და ვტკბები ზღვით. რომელიც წყნარიც კი
ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. დრო და დრო სანაპიროსთან ახლო მიცუ-
რავენ ლაზთა ფელუგები, რომლებიც ლაზისტანის მახლობელ ქალაქებში
მიეშურებიან. შუა საუთუნებში ქართველი ხალხის კულტურა, ალბათ,
აღწევდა ამ ვიწრო და ძნელად მისადგომი ქვეყნის სანაპიროებამდე და
მთებამდე.... მაგრამ ლაზები საკმაოდ ადრე მოექცნენ თურქების ბატო-

* ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ იოსების-ძე ვოლსკი-უმწიფარიძე
(1860-1909 წ. წ.) იმ დროს ბათუმის ქალაქის თავი იყო. იგი პროგრესულ როლს ასრუ-
ლებდა აჭარის და, კერძოდ, ბათუმის ცხოვრებაში. გრ. ვოლსკი ბევრი საინტერესო
ლექსის ავტორია. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „შენ გეტრფი მარად“ და „რო-
დესაც გიცქერ“, რომლებიც საფუძვლად დაედო მელიტონ ბალანჩივაძის ცნობილ რო-
მანებს (ლ. ხ.).

ნობის ქვეშ და, ამრიგად, საქართველომ დაკარგა ზღვის სანაპირო ეს ზოლი და დაახლოებით ასი ათასი კაცი... მთელი ლაზისტანე ^{ქვეყანა} მხოლოდ ვიწრო სანაპიროსა და ველური, ნაკლებად მისადგომი და უხა-ყოფო მთებისაგან... ლაზმა საუკუნეთა მანძილზე მხოლოდ ადვილად შე-სასწავლი თურქული ენა მიიღო და ისევ-ისევ მენაპირე ზღვაოსანი, წვრი-ლი მიწათმოქმედი ან კიდევ უფრო წვრილი ვაჭარი და მედუქნე დარჩა...

თურქები, რომლებმაც საუკუნეთა განმავლობაში ჩაყლაპეს ანატო-ლიის ყველა პატარა ხალხი და ახლა დამატებით ჩერქეზების, სომხებისა და ქურთების ასიმილაციასაც ახდენენ. ცდილობდნენ აჭარლების გათურ-ქებასაც. ისინი სარგებლობდნენ მათი ნიჭით და აწინაურებდნენ მათ არ-მიაში, სამოქალაქო სამმართველოებში და აძლევდნენ საკმაოდ დიდ თანა-მდებობას... მაგრამ სისხლი ხომ წყალი არ არის, ბოლოს და ბოლოს აჭა-რლები მაინც ქართველები არიან და თანამემამულეებთან ერთობლივი ცხოვრება და ერთობლივი შრომა უმჯობესია, ვიდრე უცხო ქვეყანაში სამსახური და პატივი. მათი საბოლოო დაბრუნება ქართულ კულტურას-თან და ცხოვრებასთან მხოლოდ ნელ-ნელა შეიძლება განხორციელდეს, რადგან აჭარლებმა თავის თავში უნდა დაძლიონ სხვადასხვა ჩვეულება და ცხოვრებაზე უცხო შეხედულებისადმი მიკერძოება. ეს კი რთული ფსიქო-ლოგიური საკითხია.

წუხელ მსუბუქმა ქარმა გაფანტა ლეგა ღრუბლების ზეწარი და დი-ლით კრიალა ლურჯ ცაზე კაშკაშებდა ოქროსფერი მზე. მზით გაბრწყი-ნებული მთები, ბალები, ქალაქი და ზღვა — ყველაფერი ლამაზი იყო და ბულვარში გავედი, რომ დავმეტკბარიყავი სარკესავით ნათელი ზღვის ცქე-რით. მას უკვე უძრავად აღარ სძინავს, რადგან მსუბუქი ბორბო ალივლი-ვებს მის ზედაპირს, მომცრო ტალღები იქოჩრებიან და გრძელ ჭავლებად ეცემიან. ნაპირზე ზვირთცემა უფრო ძლიერია, ვიდრე წარსულ დღეებში, და ეს სასიამოვნო ხმაური აღწევს ნაპირიდან საკმაოდ შორს.

როგორც უზარმაზარი კედელი, ისე აღმართულან მთები აჭარის ლურჯ ცაში და მათ მწვერვალებზე თვალისმოშვრელად ბრწყინავს თოვ-ლის თეთრი სუდარა. ასე მგონია, თითქოს წუხელ მთელი გარემო შეიცვა-ლა და ახალი სიცოცხლით სუნთქავს.

ბულვარიდან გავსწიე ქალაქისა და ნავსადგურისაკენ, სადაც სანაპი-როზე ნამდვილი აღმოსავლური სურათები ვიხილე. ყავახანების წინ წი-თელფესკიანი ბერძნები და თურქები სხედან და ხან შაშს, ხან ნარდს თა-მაშობენ.

საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი გარემხარეები ყოველ-თვის იყო დაკავშირებული მუსლიმანურ აღმოსავლეთთან და ვითარების გამო ვერასოდეს დათმობს მას. წარსულ საუკუნეებში გურიასა და სამეგ-რელოს გამუდმებული სხვადასხვანაირი ურთიერთობა ჰქონდათ თურქე-

თთან, მაგრამ ამ კავშირით, მგონი, თურქებმა და ბერძნებმა მეტი სარგებელი ნახეს, ვიდრე დასავლეთელმა ქართველებმა, რადგან ეს ქვეყნები ღლი ამ კავშირს ძლიერ პასიურად ეკიდებოდნენ და არ ცდილობდნენ განევითარებინათ იგი თავის სასარგებლოდ.

მიუხედავად ევროპის კულტურისაკენ ძლიერი მისწრაფებისა, ქართველებმა არ უნდა დაივიწყონ მუსლიმანურ აღმოსავლეთთან კავშირის დიდი მნიშვნელობა და ეცადონ გამუდმებით შეისწავლონ იგი. გარესამყაროს ცოდნა დიდი ძალაა, მაგრამ ახლა ქართველები ცოტას ფიქრობენ თავის მეზობლებზე, რომლებთანაც საუკუნეთა მანძილზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდნენ. მაშინ მათ საკმაოდ საფუძვლიანად შეისწავლეს სპარსეთი, შესაძლებელია, თათართა სახანოებიც, და ყოველთვის ჰქონდათ ზუსტი ცნობები მისი ვითარების, ლიტერატურისა და საერთო ცხოვრების შესახებ. ახლა კი ქართველებმა სავსებით მიანებეს თავი მეზობელ ხალხებს, თითქოს საქართველოს ევროპაში გადაენაცვლოს.

ბათუმი ჭრელი ქალაქია. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ აქ ბევრი ევროპული ქვეყნის ვაჭარია, მან მაინც შეინარჩუნა თავისი ქართველურ-აღმოსავლური იერი, რაშიც მთელი მისი ღირსშესანიშნოებაა. დანარჩენი მისი ცხოვრება კი ატარებს ჩვეულებრივ ვაჭრულ ხასიათს და არც მიმზიდველია და არც საინტერესო. სამაგიეროდ ძალიან მიმზიდველია ბათუმისა და მისი მიდამოების ბუნება და საქართველოს ამ საუცხოო კუთხეს შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს სხვა ქვეყნების სახელგანთქმულ ადგილებს.

* * *

ზემოთ გამოქვეყნებული წერილი ნათლად გვიჩვენებს არტურ ლაისტის გულისხმობას დამოკიდებულებას სამხრეთ საქართველოს და, კერძოდ, აჭარის წინათ მრავალტანჯული მოსახლეობისადმი.

საქართველოს გულითადი სიყვარული არტურ ლაისტს ღირსეულად დაუფასა ჩვენმა ხალხმა. იგი საუკუნოდ მიიბარა ქართულმა მიწამ: დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



ჯეჟალ ნოლიღალი

გედევანიძეების კეთილშობილური საქსიელი

გაგონილი სოფელ კოზულეთში 70 წლის მოსუც — ჟედიმ ხულუსის-
ძე ინაიშვილისაგან

ძველად სისხლის აღება აჭარა-ში გავრცელებული მოვლენა იყო. თავმოწონე აჭარელს, თუ ვინმე სხვა გვარის წარმომადგენლისაგან შეურაცხყოფას იგრძნობდა, მისთვის სამაგიერო უნდა გადაეხადა.

მრავალი შემთხვევა შეიძლება დავასახელოთ, როცა წარსულში სხვადასხვა გვარი ერთმანეთს გადაჰყიდებია და ერთმანეთი გაუჟღერებიათ. მაგრამ სხვაგვარი შემთხვევებიც ყოფილა. შესაძლო იყო გვარის წევრთა შერიგების, მტრების ურთიერთ დაზავების მძიმე ტვირთი მხოლოდ დაზარალებულის დედას ეკისრა.

* განსვენებულმა მეცნიერმა ჯ. ნოლიღელმა ეს ნარკვევი გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე გადმოგვცა. ტექსტს ვებუდავთ მცირეოდენი შემოკლებით.

ძველად ყოფილა შემთხვევა, როცა ორი ძმა მტერს მოსაკლავად მისდევდა; მტერმა მოახერხა ძმების სახლში შეღწევა. მან აიძულა ძმების დედა მისთვის ძუძუ ჩაედო პირში. მოცივიდნენ ძმები და ხედავენ, რომ მტერს დედის ძუძუ ჩაუდვია პირში და სწოვს. ძმებს არა თუ თოფი არ უსვრიათ მტრისთვის, არამედ ადგილზე გაქვავებულან და თავი დაუხრიათ.

აი, თუნდაც ამის დამადასტურებელი ერთი ფაქტი: ძველად, დიდი ხნის წინათ, ქობულეთის მხარის სოფელ გვარაში, „თეთროსანის“ მიდამოებში ცხოვრობდა ოთხი ძმა, გვარად გედევანიძე. ეს ძმები ღონიერნი, მძლავრნი, რომ იტყვიან, „რკინის მკვნეტელები“ ყოფილან.

იმ დროს, როცა ეს ამბავი ხდებოდა, მათ მეზობლად დასახლებულა

ხინოს გზით გადმოსული ერთი ახალგაზრდა ჭვანელი, რომელიც ახოვანი, მხარბეჭიანი და ლამაზი აგებულების ვაჟკაცი ყოფილა.

ერთ დღეს გედევანიძეებსა და ამ ჭვანელს შორის ჩხუბი ატეხილა და ჭვანელს ერთი ძმა გედევანიძე უცაბედად, მისდაუნებურად მოუკლავს და გაქცეულა.

გედევანიძეებს ძმა წესისამებრ „შეუხანავთ“, მიწისათვის მიუბარებიათ და მკვლელს მოსაკლავად დასდევნებია.

ყოველ დღე, ყოველ წუთში კვალს არ უციებენ, კვალ და კვალ დასდევენ, მაგრამ არ იქნა და არა, მოსაკლავად ვერ მოიგდეს ხელში. გედევანიძეები სხვას არაფერს აკეთებენ, მხოლოდ ამ საქმით არიან გატაცებულნი. გავიდა რამდენიმე თვე და თავისი წადილი ვერ შეისრულეს.

ერთხელ ამ ჭვანელმა ხმა გაავრცელა და რამდენიმე მეზობელს გაენდო, რომ იგი ხვალისათვის აჭარაში ხინოს გზით გადასვლას აპირებდა. სინამდვილეში არსად არ მიდიოდა, სახლში, თუნდაც ერთი დღით, მოსვენებით დარჩენას აპირებდა. ეს ის დრო ყოფილა, როცა ბაღია შემოსული.

ძმები გედევანიძეები აღრევე გაემგზავრნენ და სოფელ ცხემლვანში მოხერხებულ ადგილას ჩაუსაფრდნენ ჭვანელს მოსაკლავად. იმ დღეს ეს ჭვანელი სრულიად უიარაღოდ გამოვიდა ეზოში, დარწმუნებული, რომ მისი მტრები მას ხინოს გზაზე აღრევილით ჩაუსაფრდებოდნენ. ის

სრულიად დამშვიდებული გავიდა ბაღზე და ჭამა დაიწყო. ამ დროს ერთი მეზობელი შივი-და და უთხრა:

— კაცო, რას ჩადიხარ, ხომ იცი გედევანიძეები კვალს არ გიცევენ, სასიკვდილოდ დაგდევნ. როგორ გაბედე, ისიც დღისით, ხეზე გასვლა!

— ყველაფერი ვიცი: ისიც ვიცი, რომ მე მათი ხელიდან უნდა მოვკვდე: რამდენიც არ უნდა ვიმალო. ვერსად ვერ დავემალები. აგერ ბალი დამწიფებულა, წლის მოსავალია და დღეს გადავწყვიტე ერთი მაღიანად ვჭამო იგი.

მეზობელს შეენანა. ასეთი ჯანღონით სავსე ახალგაზრდა ცოდვა სასიკვდილოდო, გაიფიქრა გულში და ერთი გაბედული აზრი მოუვიდა თავში.

— ერთ რამეს გეტყვი: თუ დამიჯერებ და მოინდომებ, იქნებ სიკვდილს გადარჩე.

ჭვანელი დაინტერესდა და ხიდან ჩამოვიდა. ისინი ხის კუნძზე ჩამოსხდნენ.

მეზობელმა უთხრა:

— თუ გაბედავ და თამამად იმოქმედებ, სიკვდილს ნამდვილად გადარჩები. ადექი, მიდი გედევანიძეების დედასთან და უთხარი: — მე შვილი ვარ შენი, დღეიდან შენი მოკლული შვილის მაგივრობა უნდა გაგიწიო. შენ ყველაფერი შეგიძლია, გინდ მაცოცხლე და გინდ მომკალი! — თუ მიგიღო, იცოდე, რომ გადარჩენილი ხარ, თუ არადა, მაინც მოგკლავენო. ვაჟს მეზობლის რჩევა

მოეწონა და საქმის შესრულება გულწრფელად გადაწყვიტა.

დაღამებამდე დაახლოებით ორი საათი იქნებოდა დარჩენილი, როცა ვაჟი გედევანიძეების ოჯახში შევიდა. შევიდა და დედას ვეხკეშე გაეგო: — ამიერიდან მე შვილი ვარ შენი, იმ შენი უნებლიეთ მოკლული შვილის მაგივრობა უნდა გაგიწიო. დღეიდან მაცოცხლებ შენ, მომკლავ შენ. მე არსად წამსვლელი არა ვარ! თუ მიმიღებ შვილად, ვიცოცხლებ, თუ არა და შენი შვილები მოვლენ. მომკლავენ და ის იქნება; მე სხვავან წასავლელი გზა არა მაქვს! — ვაჟი დედას ისე გულწრფელად ევედრებოდა, რომ დედას გული მოუღბო.

იგი ფიქრობდა: ჩემი შვილი მოკვდა, მოკვდა! მაგრამ ქვეყანას რომ ამისთანა ვაჟიკაცი გამოაკლდეს, დიდი დანაკლისი იქნება. ჩემს შვილებს გარეშე თუ შინაური მტრები ბევრი ჰყავთ. იქნებ ამან, სხვისმა შვილმა. ყველაზე უფრო უერთგულოს ჩემს შვილებს, იქნებ ასეთმა კაცმა გაცილებით მეტი ამაგი დასდოს ჩვენს სოფელს, ჩვენს ხალხს. ყველაფერი ასწონ-დასწონა და უთხრა: — კარგი, ახლა დაგმალავ, საცაა შვილები მოვლენ. ყოველგვარ ღონეს ვიხმარ, რომ თქვენ შეგარიგოთ, რომ თქვენ ძმები გავხადოთ!

ის იყო ღამდებოდა კიდეც. დედამ ვაჟი დამალა მეორე ოთახში,

ვახშამი მოამზადა და შვილებს დაუწყო ლოდინი. შვილებსა და მამას ორი აღარ დაუყოვნებიათ, მაგალითად მოაღეს ჭიშკარი და სამი, იარაღი ში ჩასხმული ვაჟიკაცი ეზოში შემოვიდნენ. კარები შემოაღეს და დაღვრემილები და თან დარცხენილები დედას მიესალმნენ. იარაღი შემოიხსნეს, ხელ-პირი დაიბანეს და დედას მიმართეს, დედა, გვშოაო.

დედამ მოამზადა ვახშამი, დააღადა სუფრაზე. შუა ოთახში დადგა და შვილებს უბრძანა, შემოუსხედით სუფრას, მაგრამ უჩემოდ ჰამა არ დაიწყოთო. უმცროსმა ძმებმა უფროსს შეხედეს, გაუცვირდათ დედის ასეთი უცნაური განკარგულება.

ძველად ოჯახში ასეთი წესი იყო: თუ მამა ცოცხალი იყო, ყველა მას უჯეროდა. ყველა დავალებას სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებდნენ. თუ მამა არ ჰყავდათ, მაშინ უფროსი ძმა მამის მაგიერ ჰყავდათ მიჩნეული. ამიტომ იყო, რომ დედის განკარგულებაზე უმცროსმა ძმებმა უფროსს შეხედეს.

დედამ პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულის გარეშე დაიწყო:

— მე თქვენი დედა ვარ თუ არა?!

— რას ამბობ, დედა! — გაიკვირვა უფროსმა შვილმა. — ვის შეუძლია ეჭვი შეიტანოს, რომ შენ ჩვენი დედა არა ხარ?!

— გინდათ თუ არა, რომ ჩემი ძუძუ ალალი იყოს თქვენზე?

— როგორ არ გვინდა, დედა! —
წამოიძახეს ერთხმად.

— მაშ, რასაც გეტყვით და და-
გავალებთ, იგი სიტყვის შეუბრუ-
ნებლად უნდა შემისრულოთ!

— მზად ვართ, შევესრულოთ!
უპასუხეს შვილებმა.

— მაშ, კარგი. ყური დამიგ-
დეთ: იმ კაცმა, რომელსაც თქვენ
დღეს სასიკვდილოთ დასდევ-
დით, მე დედობა მთხოვა, მან მო-
წოვა ის ძუძუ, რომელიც თქვენ
გიწოვიათ, და მითხრა: — შენი
უნებლიეთ მოკლული შვილის მა-
გიერი ძმობა უნდა გავუწიო შენს
შვილებსო! ის რომ თქვენ აქ მო-
გიყვანოთ ახლა, ამ სუფრასთან,
ძმად მიიღებთ თუ არა?

— რას ამბობ, დედა! — წამოი-
ძახა უფროსმა შვილმა. — ის ისე
შორსაა ჩვენგან, რომ აქ როგორ
მოვა!

დედამ მტკიცედ გაიმეორა:

— ის რომ ახლა აქ მოგიყვა-
ნოთ, ძმად მიიღებთ თუ არა?

უმცროსებმა უფროსს შეხე-
დეს. უფროსმა აღელვებით წამო-
იძახა:

— დედა, თუ შენ ახლა იმას აქ

მოიყვან, ჩვენ იგი ძმად მიგვიღო-
და გათავდა.

დედა გავიდა მეორე ოთახში.
მოჰკიდა ვაჟს ხელი და გამოიყვა-
ნა. შვილები მაშინვე ფეხზე წამო-
ცვივდნენ. დედამ შვილების თან-
დასწრებით ვაჟს თავისი ძუძუ მო-
აწოვა, შემდეგ ვაჟს უბრძანა,
რომ ძმები სათითოოდ გადაეკოც-
ნა, რაც უსიტყვოდ გააკეთეს.

დედას თვალებიდან ცრემლები
გაღმოუგორდა. ცხვირსახოცი ამ-
ოიღო, შეიშრა და ხმამაღლა,
გაბედულად წარმოთქვა:

— ხალხისა და ქვეყნის წინაშე
ვალი მოვიხადე! შვილებო, ახლა
დასხედით და ვახშამი მიირთვიეთ.

ამრიგად, შეგნებულმა ქართვე-
ლმა ქალმა, დედამ თავისი კე-
თილშობილური საქციელით მოს-
პო ორ გვარს შორის მტრობა და
უენებელყო ჯანდონით სავსე ახა-
ლგაზრდის სიცოცხლე, რომელსაც
შემთხვევით შემოაკვდა მისი შვი-
ლი და რომლის მოკვლასაც შემ-
დგომში შეიძლება მრავალ უდა-
ნაშაულოთა სისხლი კვლავ მოჰ-
ყოლოდა.



კლიმენჯი ელიზბარაშვილი აღმავლობის გზით

ახალი მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს აჭარის მშრომელებმა განვლილ შვიდწლეულში: სწრაფი ტემპით განვითარდა სახალხო მეურნეობა და საგრძნობლად ამაღლდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონე. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამრეწველო პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა. რესპუბლიკამ სამრეწველო პროდუქციის წარმოების შვიდწლიანი გეგმა 103,2 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადაშეცემით გამოუშვა ოცდათერთმეტი მილიონი მანეთის სამრეწველო და სასურსათო ნაწარმი. ახლა აჭარის მრეწველობა ყოველ სამ დღეში იმდენ პროდუქციას იძლევა, რამდენსაც ყოველწლიურად გვაწვდიდა ოცდაათიან წლებში, ამასთან შეიქმნა და განვითარდა ელექტროტექნიკური მრეწველობა, რომელიც ყოველწლიურად ათ მილიონ მანეთზე მეტ პროდუქციას უშვებს. შემცირდა წარმოების თვითღირებულება და მიღებულია ექვს მილიონ მანეთზე მეტი ზეგამგებითი ეკონომია. დიდი მუშაობაა გაწეული წარმოების დაგეგმვის გაუმჯობესების, ეკონომიური სტიმულირებისა და დაგეგმვის სრულყოფისათვის.

განვლილ შვიდწლეულში კაპიტალური

დაბანდებისა და სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოების ზრდით მოსახლეობას გადაეცა 145 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ეს კი ერთი-სამად ალემეტება წინა შესაბამის პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაცემულ ფართობს. დიდად გაუმჯობესდა მოსახლეობის კომუნალური მომსახურება. გაზიფიცირებულია ათასობით საცხოვრებელი ბინა და ასობით კომუნალური დაწესებულება.

მრეწველობასთან ერთად შეუნელებლად ვითარდება მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობაც, 1.115 ჰექტარზე გაშენდა ახალი ჩაის პლანტაცია, რაც გეგმის 158 პროცენტია, ამასთან რესპუბლიკის მეჩაიეებმა სახელმწიფოს მიყიდეს 200 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი — გათვალისწინებული დავალების 108 პროცენტი. ჩაის ფოთლის წარმოების გადიდებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ბევრმა კოლმეურნეობამ, ბრიგადამ, რგოლმა და კოლმეურნემ საქვეყნოდ გაითქვა სახელი. მოწინავეთა შორის არიან ქობულეთის რაიონის სოფელ დავის კოლმეურნეობის მეჩაიეები, რომლებმაც საშუალო საჰექტარო მოსავ-

ლიანობა შვიდ ტონამდე გაადიდეს. დღეს აჭარის რესპუბლიკის პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში ერთ ჰექტარზე ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობით.

აჭარელმა მეიკიტრუსებმა შვიდწლეულში 958 ჰექტარი ახალი, ყინვავამდუნე მაღალნაყოფიერი ნარგავები გააშენეს, დაამზადეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 148,7 ათასი ტონა ციტრუსი, რაც გვემის 111 პროცენტია და ერთნახევარჯერ აღემატება წინა შესაბამის პერიოდში წარმოებული ციტრუსების რაოდენობას. შესასიღი ფასების მომატებამ და მატერიალური წახალისების ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად განავითარა მეთამბაქოეობაც. ამჟამად მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებში მეთამბაქოეობას წამყვანი ადგილი უკავია და ფულადი შემოსავლის ძირითად წყაროდ იქცა.

განუხრელად ვითარდება მეხილეობა-შევენახეობაც — დაირგო 326 ჰექტარი ვენახი. 2,542 ჰექტარზე გაშენდა თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და სუბტროპიკული ხეხილის ბაღები; ამაღლდა დაფნისა და ტუნგის მოსავლიანობა.

რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა შრომითი რესურსების გონივრულმა და მიზანშეწონილმა გამოყენებამ.

აჭარის რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მკიდროდ დასახლებული მხარეა. სსრ კავშირში საშუალოდ ერთ კვადრატულ კილომეტრზე ცხოვრობს 10 კაცი, მთლიანად საქართველოში 58. ხოლო აჭარაში — 85 კაცზე მეტი. განვლილ შვიდწლეულში აჭარაში მოსახლეობა 50 ათასი კაცით გადიდა. 1966 წლის პირველი იანვრისათვის აქ 295 ათასი კაცი ცხოვრობდა. აჭარის მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა დღე-ღამეში 15 კაცს უდრის. ამ მხრივ მას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია სსრ კავშირში. მოსახლეობის ზრდა ძირითადად ბუნებრივი ზრდის ხარჯზე ხდება და არა სხვა მხარეებიდან ჩამოსახლებებით. ბოლო ათი

წლის მანძილზე რესპუბლიკის მოსახლეობა მექანიკური მოძრაობით (ჩამოსვლა და გასვლა ხარჯზე) 1,300 კაცით იზარდა, მათ შორის აოფლის მეურნეობაში მხოლოდ 150-200 კაცით. გასულ შვიდწლეულში მოსახლეობის წლიური მატება ოთხი—ხუთი ათას კაცს უდრის. რა თქმა უნდა, წინათ ეს პროცესი სტიქიურად მიმდინარეობდა. თუმცა იგი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში მუშახელია ნაყლებობასთან იყო დაკავშირებული.

ამჟამად აჭარის მთელი მოსახლეობა დასახლებული პუნქტების მიხედვით სემდეგნაირად სარეგულირებოა: სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის 55,4 პროცენტი, ქალაქად — 37,7 ქალაქის ტიპის დასახლებებში (დაბებში) — 6,5 პროცენტი. აქედან სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია 122,4 ათასი კაცი (გარდა კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრებისა, რომლებიც მხოლოდ დამხმარე სოფლის მეურნეობაში შრომობენ), ხოლო უშუალოდ მატერიალურ წარმოებას ემსახურება 101,3 ათასი კაცი, მათ შორის 32,8 ათასი მუშა. 10,8 ათასი მოსამსახურე და 57,7 ათასი კოლმეურნე. მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში დასაქმებულია 25,5 ათასი კაცი. სოფლის მეურნეობაში — 59,8, ვაჭრობაში, საზოგადოებაში, დამზადებაში და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში — 10 ათასი კაცი, მთელი მოსახლეობის 50,9 პროცენტი, ხოლო 48 პროცენტი კოლმეურნე.

დამუშავებული მიწების საერთო ფართობიდან აჭარაში თითქმის ორჯერ მეტი სოფლის მოსახლეობას უჭირავს, ვიდრე საშუალოდ მთელ საბჭოთა კავშირში. ეს იმას ნიშნავს, რომ აჭარის სოფლის მოსახლეობა ორჯერ ნაკლებადია უზრუნველყოფილი უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო, სახანძრ-სათესი მიწით. მართალია, დამუშავებულ მიწების შიდასტრუქტურა აჭარაში ბევრად უკეთესია (დიდია ძვირფასი, მრავალ-

წლიანი კულტურების ფართობების ხვედრითი წონა), მაგრამ მიწის ნაკლებობა მაინც ზღუდავს სოფლის მეურნეობის მთელი რიგი წამყვანი დარგების განსაკუთრებით მარცვლეულის მეურნეობის განვითარებას.

მოსახლეობის ბუნებრივი მატება და მექანიკური მოძრაობა დიდ გავლენას ახდენს მცხოვრებთა ასაკობრივ და სქესობრივ სტრუქტურაზე. ასე, მაგალითად, მოსახლეობის მექანიკური მატება იწვევს შესაბამის ტერიტორიაზე მუშახელის ხვედრითი წონის გადიდებას. სწორედ ამ მიზნით რევოლუციამდელ ბათუმის მოსახლეობაში ქალების რიცხვს შესამჩნევად ჭარბობდა მამაკაცთა რიცხვი, რადგან მამაკაცები სოფლიდან ქალაქში მიდიოდნენ — ხშირად დროებით სამუშაოზე. მაგრამ შემდეგ მათი ნაწილი ქალაქის მუდმივი მცხოვრები ხდებოდა. 1913 წელს ბათუმის მთელი მოსახლეობის 60 პროცენტი მამაკაცი იყო, 1926 წელს კი 53,6 პროცენტი. ამჟამად ეს თანაფარდობა მთლიანად შეიცვალა.

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა ცხადყოფს, რომ უახლოეს წლებში სწრაფი ტემპით გადიდდება მოსახლეობის რესურსები — დიდია 15 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აღმავლობაზე. ხომ ფაქტია, რომ აჭარის კოლმეურნეობათა ეკონომიკის ზრდას ხელი შეუწყობს არა მარტო ხელსაყრელმა ნიადაგობრივ — ბუნებრივმა პირობებმა და დიდმა კაპიტალურმა დაბანდებებმა, არამედ არსებულმა მდიდარმა შრომითმა რესურსებმაც. კერძოდ, მეჩაიეობის განვითარება ძირითადად ადგილობრივი მუშახელის უზრუნველყოფამ დააჩქარა.

აჭარის სახალხო მეურნეობა და კულტურა დღეს სწრაფ აღმავლობას განიცდის და, ეჭვი არ არის, მიმდინარე ხუთწლედით ახალ თვალსაზრის გამარჯვებას მოგვიტანს, რესპუბლიკის მშრომელები წარმატებით შეასრულებენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს და თავის წვლილს შეიტანენ სსკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

იანა ლავინა

მშვენიერის, იდეალისა და კომპანიალის უპოვებლობის საკითხი

უკვე ოცინი წლების დამდეგს ახალ-გაზრდა საბჭოთა ლიტერატურის წინაშე დაისახა უმნიშვნელოვანესი ამოცანა — ყოველი ღონისძიებით ხელი შეეწყოს ახალი ადამიანის აღზრდისათვის, ადამიანისა, რომელიც მსოფლიოში პირველი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის მებრძოლი, მისი შემქმნელი უნდა ყოფილიყო. ეს კი მისგან მოითხოვდა გადმოეცა იდელები, რომლებსაც უნდა აღედგინათ კომუნისტური საზოგადოების მშენებელი თაობა.

იმასათვის, რომ ხელოვნების ნაწარმოებმა ასახოს ეპოქის მოწინავე იდელები, „მშვენიერების“ მხატვრისეული გაგება აუცილებლად უნდა შესაბამებოდეს საზოგადოების მოწინავე კლასის გაგებას.

ნ. გ. ჯერნიშევსკიმ „მშვენიერება“ განსაზღვრა როგორც „არსი, რომელიც ცხოვრებას ისეთნაირს გვიჩვენებს, როგორიც იგი არის ჩვენი გაგებით“.

„მშვენიერი“ და იდეალი ერთმანეთს შეეფარდება, როგორც ზოგადი და კერძო. კერძოში კონკრეტულ „მშვენიერების“ წარმოდგენას იდეალს ვუწოდებთ.

თუ ხელოვნების ნაწარმოების იდეალი ასახავს საზოგადოებრივი განვითარე-

ბის ობიექტურ მსვლელობას მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით, იდეალი პროგრესულა და სახალხო ხასიათისაა. ეს შეფარდება იდეალის საზომია.

მშვენიერების სფერო თვით ცხოვრებაა, რომელიც უსაზღვროდ მრავალფეროვანია თავისი გამოვლინების ფორმით. ამის შესაბამისად მრავალფეროვანია იდეალიც. ასახვის, ანუ შემოქმედებითი პროცესის დროს ხელოვანი არ ჩვეს და აფასებს ცხოვრების მოვლენებს იმის მიხედვით, თუ როგორია მისი იდელები და როგორ ეკიდება იგი ამ მოვლენას: დადებითად თუ უარყოფითად.

აღწერის იდეალთან შესაბამისობის აუცილებლობაზე ჯერ კიდევ ბელინსკი მიგვითითებდა: „იმისათვის, რომ ყოველგვარი უარყოფა ცოცხალი და პოეტური იყოს, იგი იდეალისათვის უნდა ხდებოდეს“.

ალექსანდრე ბლოკი თავის ერთ-ერთ ლიტერატურულ სტატილაში წერდა: „ვინც კი თუნდაც ოდნავ შორსმჭვრეტელია, უნდა იცოდეს, რომ როცა ნწერლის ეკლიან გზას ადგები, დაახლოებით მაინც უნდა იცოდე „რისთვის“

რაც გზას გაგინათებს და შენი შემოქმედების წყარო იქნება“.

იდეალი ასახულ მოვლენათა პრიზმა და ამხსნელია. იდეალთან თანაფარდობის გარეშე ნაჩვენები სიმახინჯე ხელოვნების სფეროს აღარ განეკუთვნება.

სიმახინჯის ამსახველი ხელოვნების ამოცანა ის არის, რომ გვიჩვენოს სიმახინჯე როგორც მშვენიერების უარყოფა, გამოიწვიოს აღშფოთება ამ უარყოფის წინააღმდეგ და ამით დაამკვიდროს თავისი იდეალი.

მაგრამ იდეალის დამკვიდრება შეიძლება მისი უშუალოდ გახსნის გზითაც. ამ შემთხვევაში თვითონ იდეალი ნაწარმოებში წინა პლანზეა წამოწეული. იდეალის ასეთი წინწამოწევა ძლიერ დამახასიათებელია რუსული ლიტერატურისათვის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს მკვლევარი შარლ ლეტურნო აღნიშნავდა: „სლავური რეალიზმი ფრანგულ რეალიზმს მხოლოდ სახელწოდებით ჰგავს; მას აღმაფრენა ახასიათებს, მაშინ როცა ფრანგული რეალიზმი მაშასადამე ვერ ასცდა. ეჭვი არ არის, ქვეყნად არსებობს ჭეშქარი და ქაობი და სლავი მწერლები ყოველივე ამას ხედავენ, მაგრამ არსებობს ლაქვარდოვანი ეთერიც და სლავი მწერლები სიამოვნებით დაფრინავენ იქაც“ (სხვადასხვა ტომთა და ხალხთა ლიტერატურული განვითარება, სანკტ-პეტერბურგი, 1895, გვ. 317).

ნაწარმოებში იდეალის მხატვრული ასახვა, ანუ მშვენიერების კონკრეტიზებული წარმოდგენის ასახვა უნდა განესაზღვროთ როგორც რომანტიკა.

რომანტიკა არ უნდა გავაიგიოთ რომანტიზმთან. რომანტიზმს უწოდებენ ხელოვნების გარკვეულ მეთოდს, რომელიც, როგორც ყოველგვარი მეთოდი, დაკავშირებულია გარკვეულ ეპოქასთან, მასთან ერთად იბადება და მასთან ერთად კვდება. რომანტიკა კი გულისხმობს ნაწარმოებში იდეალის უშუალოდ ასახვას, ე. ი. ისტორიულად განმეორებადი მომენტი. ამით აიხსნება, რომ რომანტიკას ეხედებით სულ სხვადასხვა

მეთოდით დაწერილ და სხვადასხვა ეპოქის ნაწარმოებებში. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ლერმონტოვის პოემის „დედონის“, გორკის „დედის“ რომანტიკაზე, ჰემინგუეის მოთხრობის „მოხუცი და ზღვა“, ა. გრინის ნაწარმოების და სხვ. რომანტიკაზე.

როცა ვლაპარაკობთ იმ ნაწარმოებთა რომანტიკაზე, რომლებიც შექმნილია სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა ავტორის მიერ, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ფართოდ გაგებული ერთობა, რაც ვლინდება იმ იდეალის უშუალო გახსნაში. მშვენიერის წარმოდგენას რომ ასახავს. თვით მშვენიერის წარმოდგენა კი მარადიული როდია. ჯერ კიდევ ჰერაკლიტეს მშვენიერება ესმოდა როგორც მარად ცვალებადი.

მაგრამ მშვენიერების წარმოდგენაში ესთეტიკა გამოჰყოფს ორ მომენტს: ზოგადადამიანურს და ისტორიულად წარმავალს. ზოგადადამიანურია ის, რაც მშვენიერების ჩვენს გაგებაში დარჩა მშვენიერების აღრე შექმნილი წარმოდგენებიდან, ე. ი. მხოლოდ საუკეთესო, რაც კი კაცობრიობამ შეიმუშავა.

იდეალები კლასობრივ-ისტორიულად განსაზღვრულ ხასიათსაც ატარებენ, ეინაიდან ადამიანის წარმოდგენა მშვენიერებაზე იცვლება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. მაგრამ ახალი იდეალების წარმოქმნის პროცესი გულისხმობს არა მარტო ძველის უარყოფას, არამედ იმ საუკეთესოს გამოყოფასა და ათვისებას, რაც ძველში იყო მოცემული. მაშასადამე, ჩვენი იდეალები წარსულის საუკეთესო წარმოდგენათა უბრალო რაოდენობრივი დაგროვების გზით როდი იქმნება. ჩვენს წარმოდგენებში აისახება სინამდვილის მოვლენათა თვისებრივად ახლებური გავება; რაც დაკავშირებულია ახალ საზოგადოებრივ - ეკონომიურ წყობილებასთან, კლასობრივ იდეოლოგიასთან და სამყაროს შეაწავლის მეცნიერული ცოდნის დონესთან.

ამის შესაბამისად საბჭოთა ლიტერა-

ტურის ნაწარმოებთა რომანტიკა კიდევაც უკავშირდება რუსული და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა რომანტიკას და თვისებრივად განსხვავდება მისგან.

„მშვენიერების“ ჩვენული გაგება ისტორიულად გაღრმავდა და გაფართოვდა. „მშვენიერების“ ცნებას ჩვენ ვუკავშირებთ ყველა საზოგადოებრივად მნიშვნელოვან პროგრესულ მოვლენას. ამიტომ არის, რომ რომანტიკას ეპოქალობით საბჭოთა ლიტერატურის ყველა ნაწარმოებში, იმის მიუხედავად, ისინი მშვენიერებებიდან მშვენიერებას, ომის მძიმე წლებს თუ საბჭოთა აღმავლების პირად ურთიერთობას ასახევენ.

„მშვენიერი“ შეიძლება უკვე ხორცშესხმული იყოს ან ჯერ კიდევ მხოლოდ სასურველი. ცხოვრებაში ჯერ განუხორციელებელი „მშვენიერების“ წარმოდგენას ოცნება ეწოდება. სხვათაგან რომ ვთქვათ, ხელოვნებას შეუძლია „მშვენიერება“ ასახოს როგორც „არსებულს“ და როგორც „მართებულს“. თუ ნაწარმოები „არსებულ მშვენიერებას“ ასახავს, მაშინ მოცემულია დღევანდელი დღის რომანტიკა. მაგრამ აღამიანს ახასიათებს ლტოლვა ცხოვრების სრულყოფილებად და ა. წ. ლტოლვას, რომელიც ოცნებად ელვინდება. ხელოვნებაში ასახავს „მართებულს“ რომანტიკა.

„მართებულსაც“ და „არსებულსაც“, რომლებიც ხელოვნებაში ასახევენ იდეალების წარმოდგენებს, რომანტიკას უწოდებენ.

„მშვენიერების“ წარმოდგენა შეიძლება გამოისახოს სხვადასხვა ფორმით. ლიტერატურათმცოდნეი ფორმას განსაზღვრავენ როგორც შინაარსის სახეობრივ გამოხატვას. გამოხატვის ფორმა სხვადასხვა დამოკიდებულებაშია თვით სინამდვილის ფორმებთან, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვეყო ასახვის ფორმები და გარდასახვის ფორმები.

ასახვის ფორმის დამახასიათებელი თავისებურებაა მისი ცხოვრებისეულობა. გარდასახვის ფორმისა კი პირობითო-

ბა. ამ ორი ნიშნის მიხედვით მათ უწოდებენ „ცხოვრებისეულს“ და „პირობითს“. ორივე ეს ფორმა შეიძლება ვიწინოთ სამყაროს მხატვრული განსახი-


ორ წესად. რომელთაგან თვითეულმა შეიძლება მიგვიყვანოს ჭეშმარიტების შემეცნებად ან მის დამახინჯებად.

პოლარულად საწინააღმდეგო შედეგები (შემეცნება ან დამახინჯება) ფორმის არჩევით როდი განისაზღვრება. მთავარია მხატვრის ნიჭი, ცხოვრების გამოცდილებით განპირობებული მსოფლმხედველობა, ასახული მოვლენებისა და გრძნობათა არსის გამოვლინების უნარი.

ცხოვრებისეული ფორმა, რომელსაც ნატურალისტი მწერლები მიმართავენ, მიუხედავად ცხოვრებისეულობისა, ხელს არ უწყობს ჭეშმარიტების შეცნობას, რადგან ნატურალისტი მწერალი ვერ სწვდება სინამდვილის არსს.

პირობითს ფორმას საფუძვლად უდევს ცხოვრების სიბრტყეთა გადაადგილება. გადაადგილების შედეგები შეიძლება სხვადასხვა იყოს. თუ გადაადგილება არღვევს შინაგან ლოგიკას, ამით სპობს არსს და წარმოშობს ფანტასმაგორიას. ფანტასმაგორიულობა დამახასიათებელია აბსტრაქციონისტთა ნაწარმოებებისათვის. როგორც მეკლევარი ე. ი. ელსბერგი აღნიშნავს სტატიაში „რეალიზმი და მოდერნიზმი“, ფანტასმაგორიულობა გამოდინარეობს იმ ძირითადი დებულებიდან, რომელსაც ისინი უწევენ პროპაგანდას: სამყარო შეუცნობელი ქაოსია. „ამტკიცებენ რა ქაოტური სამყაროს შეუცნობადობას. მოდერნისტები ამით საერთოდ ადვილად იღებენ ხელს სამყაროზე“.

პირობითს ფორმას, რომელსაც აბსტრაქციონისტები იყენებენ, საფუძვლად უდევს ყოველგვარი ლოგიკური ურთიერთკავშირის დარღვევა: ამიტომ მათი ქმნილებანი გაუგებარია და ამ გაუგებრობას ვერ აღმოვფხვრის ვერავითარი აზრის ამოშიფვრა. რადგან ხელოვნება დარღვეა ის ლოგიკური კავშირი, რომელიც ობიექტურად ახასიათებს მოვლენებსა და გრძნობებს.



მაგრამ თუ სიბრტყეთა გადაადგილება არ არღვევს შინაგან ლოგიკას და რჩება არსი, ასეთი გადაადგილების შედეგად იქნება ფანტასტიკურობა, რაც ხელს არ უშლის მკითხველსა და მაყურებელს გაიგოს ნაწარმოები. სამართლიანად წერს მკვლევარი ლ. ი. ნოვიჩენკო: ისეთი პირობითობა. „რომელსაც სოციალისტური რეალობი იღებს და ავითარებს, თავისებუთი ძლიერმოქმედი გამამჟღავნებელია, რომლის მხატვრული ეფექტიანობა მით უფრო მეტია, რაც უფრო მკაფიოდ „იგებს“ მკითხველი უჩვეულოსა და უცნაურში, მისი სახეობრივი არსებობის შეფარდებითი დამოუკიდებლობის მიუხედავად, ტიპურად ნაცნობს, ცხოვრებისათვის დიდმნიშვნელოვანს. ასეთი პირობითობა, თუ მას უნარიანად გამოვიყენებთ, ააქტივებს მკითხველის აღქმას, ამახვილებს აზრს, აძლიერებს მხატვრული ნაწარმოების ინტელექტუალურ-ფილოსოფიურ სისავსეს“.

პირობითი ფორმის საკითხს ეხება აგრეთვე მკვლევარი ი. ი. ვინოგრადოვი წიგნში „მხატვრული ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის პრობლემა“ და ამ ფორმას სიმბოლურს უწოდებს. იგი წერს:

„იქ, სადაც სიმბოლურ ფორმასთან გვაქვს საქმე, ე. ი. იქ, სადაც ცხოვრების მოვლენის შინაარსი შეიცნობა არა მისთვის დამახასიათებელი ფორმით, არამედ სხვა გარეგნული ფორმის (სახის) ამა თუ იმ მოვლენათა შედარების გზით, ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ჩავსწედეთ ცხოვრების ამ მოვლენის შინაარსსა და მნიშვნელობას (ანუ ნაწარმოების იდეურ შინაარსს), თუ სიმბოლური სახე დაკავშირებულია ამ მოვლენასთან რაღაც მსგავსებით, რომელიც ავტორმა იპოვა და ხაზგასმით აღნიშნა.“

ეს გარემოება განსაზღვრავს მხატვრული გამონაგონის საზღვარს: რა რთულიც არ უნდა იყოს სიმბოლო, როგორაც არ უნდა იყოს დაფარული მისი შინაარსი, იგი მხატვრული ნაწარმოების ზღვარზე რჩება, სანამ სიმბოლოს აქვს მსგავსება

მოვლენათა გარეგნულ ფორმასთან. მსგავსება საშუალებას აძლევს მბოლური სახეების არსებობის შეესაბამებოდეს რეალურ მოვლენებს. გახდეს მათი იდეა.

საწინააღმდეგო შემთხვევაში ხელოვნება აღარ არის ხელოვნება, რომელშიც მხატვრული სიმბოლო გადაიქცევა პირობით ნიშნად, იეროგლიფად, რომლის მნიშვნელობას ვეღარ განვსაზღვრავთ, თუ წინასწარ ვერ გავიგებთ მას“.

ამ მსჯელობაში სადავოა მხოლოდ ის, რომ ავტორი მოითხოვს სიმბოლოსა და მოვლენათა გარეგნულ მსგავსებას.

პირობითმა ფორმამ შესაძლოა შეცვალოს გარეგნობა, მაგრამ ამავე დროს დატოვოს მსგავსების ნიშნები. მაგალითად, გორკის ლევენდა დანკოზე დაწერილია პირობითად რომანტიკული ფორმით და პირობითობასთან ერთად ინარჩუნებს გარეგნული მსგავსების ნიშნებს, რომელიც „ირღვევა მხოლოდ იმ მომენტში, როცა დანკო ამოიგლეჯს ჩირაღდნად ამოიღებულ გულს“. მაგრამ ამავე მწერლის სხვა პირობით ნაწარმოებში „სიმღერა ქარიშხალზე“ არავითარი გარეგნული მსგავსება არ არის სიმბოლოსა და იმ მოვლენებს შორის, რომლებსაც ეს პირობითი სიმბოლო განასახიერებს.

აქ მსგავსება გარეგნულ ფორმაში კი არა, სიმბოლოს არსში უნდა ვეძებოთ და ეს არის გვიჩვენებს იმ მოვლენას, რომლის აღწერაც უნდოდა მ. გორკის.

პირობითობის შეზღუდვის წინააღმდეგ (რა თქმა უნდა, შინაგანი ლოგიკური კავშირის მოთხოვნების შენარჩუნებით) გაილაშქრეს მკვლევარებმა ფრადინმა და ტაგერმა. სტატიაში „სტილის პირობითობისა და პრაქტიკული უნების პრობლემა“ ნ. ტაგერი წერს: „ამრიგად, მთავარია არა ის, თუ რამდენად პირობითია ესა თუ ის პოეტური ფორმა, არამედ ის, თუ მხატვრული აღქმის რა სისტემას ქმნიან ეს ფორმები, სინამდვილის როგორი გავება უდევს მათ საფუძვლად“.

პირობითი ფორმით შეიძლება აისახოს სხვადასხვა შინაარსი. შინაარსის მიხედ-

ვით შეიძლება გამოვეყნოთ პირობითი ფორმის სხვადასხვა სახე.

1. პირობითი სატირიკული ფორმა. პირობითი სატირიკული ფორმის გამოყენების დროს გარდაიქმნება ხოლმე სინამდვილის ის მოვლენები, რომლებსაც ხელოვანი საყვებით ან ნაწილობრივ უარყოფს. ამ ფორმით არის დაწერილი სალტიკოვ-შჩედრინის „ერთი ქალაქის ისტორია“, მაიაკოვსკის დრამატული ნაწარმოებები.

2. პირობითი რომანტიკული ფორმა. „მშვენიერება“ შეიძლება აისახოს როგორც ცხოვრებისეული, ისე პირობითი ფორმით. თუ ხელოვანი გარდაქმნის რეალურ მოვლენებს და განცდებს, რომლებიც ჰაზარდებს „მშვენიერებას“, ეს არის პირობითი რომანტიკული ფორმა. ამ ფორმით არის დაწერილი ზღაპრები, ფეერიები, მსოფლიო ლიტერატურის ისეთი უდიდესი ქმნილებანი, როგორიცაა გოეთეს „ფაუსტი“ და ლერმონტოვის „დემონი“.

ეს ფორმა გამოიყენეს საბჭოთა მწერლებმაც ალექსანდრე გრიშმა, პავლე ბაჟოვმა, კონსტანტინე პაუსტოვსკიმ.


3. მეცნიერულ-ფანტასტიკური პირობითობა.

მეცნიერულ-ფანტასტიკურ ნაწარმოებში გარდაიქმნება სინამდვილის ის მხარეები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია მეცნიერულ პროგრესთან. მაგრამ ვინაიდან მეცნიერული პროგრესი განისაზღვრება დროით და მისი განვი-

თარება, განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში გამოირჩევა საოცარი სისწრაფით, მეცნიერულ-ფანტასტიკური პირობითობა ხშირად განსაკუთრებული ხასიათისაა და მხოლოდ პირობითობის ზღვარს უახლოვდება. ეს განსაკუთრებული ხასიათი განისაზღვრება მეცნიერული ცოდნის დონით და აღმიანის შესაძლებლობით. როგორც კი ეს დონე იცვლება, შესაბამისად იცვლება აგრეთვე წარმოდგენა პირობითობაზე. მაგალითად, ბევრ ტექნიკურ მოვლენას, რომლებიც წარსული საუკუნის ფანტასტიკაში აღწერეს, ჩვენს საუკუნეში აღარ აღვიქვამთ როგორც პირობითს, მაგრამ მეცნიერულ პროგრესთან დაკავშირებული ოცნება იმდენად გავრცელებულია, რომ მეცნიერულ-ფანტასტიკური პირობითობა უსაზღვროა.

უდავოა, რომ პირობითი ფორმების განსხვავება, რომლებსაც ჩვენ გთავაზობთ, არ გამოირჩევა ისეთ მხატვრულ ნაწარმოებს. რომელშიც გამოყენებულია სხვადასხვა პირობითი ფორმა. მაგალითად, სერგანტისის „დონ-კიხოტში“ ანტიკურის იდეალები აისახა პირობით-რომანტიკული ფორმით, ხოლო მის მიერ უარყოფილი მოვლენები — პირობით-სატირიკული ფორმით.

საბჭოთა ლიტერატურაში მისი შექმნის დღიდანვე წარმატებით ვითარდება როგორც პირობით-რომანტიკული, ისე პირობით-სატირიკული და მეცნიერულ-ფანტასტიკური პირობითობის ფორმები.



ივანე პარლამიშვილი

ადექსანდრე გარსევანიშვილის ლიგეიაგუკულ-პროვინციული მემკვიდრეობა

ცხოვრების სახელოვანი გზა განვლო
გაზრდილობა ქართულმა პედაგოგმა და
საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე გარ-
სევანიშვილმა. იგი ქალაქ გორში დაი-
ბადა 1864 წელს და პირველდაწყებითი გა-
ნათლებაც გორშივე მიიღო. იგი ბავშვო-
ბიდანვე იჩენდა არაჩვეულებრივ სიბეჭი-
თეა და შრომისმოყვარეობას, ამტკიც-
ებდა სწავლის დიდ წყურვილს. თორმე-
ტი წლის ალექსანდრე შედის თბილისის
პირველ გიმნაზიაში. ეს იყო 1876 წელი.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1884
წელს ალ. გარსევანიშვილი შევიდა მოს-
კოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილო-
ლოგიის ფაკულტეტზე. საქართველოს
გმირული ისტორიისა და სიტყვაკაზმული
მწერლობის სიყვარულით შთაგონებუ-
ლი ალექსანდრე ხშირად გამოდიოდა
საინტერესო მოხსენებებით მოსკოვში
მყოფ ქართველ სტუდენტთა შორის და
დიდ პატივისცემას იმსახურებდა.

მოსკოვის უნივერსიტეტდამთავრებუ-
ლი ოცდაოთხი წლის ჰაბუკი ალ. გარსე-
ვანიშვილი, როგორც ისტორიკოსი და
ფილოლოგი, პედაგოგიურ ნათლობას
იღებს ქუთაისის ქართულ ოთხკლასიან
პროგიმნაზიაში, სადაც 1888 წლის პირ-
ველი სექტემბრიდან რუსული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებლად ინიშნე-

ბა. აქედან იწყება მისი ნაყოფიერი მოღ-
ვაწეობა პედაგოგიურ და საზოგადოებ-
რივ ასპარეზზე.

1892 წელს ალ. გარსევანიშვილმა
დროებით დატოვა ქუთაისი და მუშაობა
განაგრძო თბილისის სათავადაზნაურო
სკოლაში სიტყვიერების მასწავლებლად.
მაგრამ უკვე 1897 წელს ქართველთა
შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა
საზოგადოებამ ალ. გარსევანიშვილი ისევ
გადაიყვანა ქუთაისის სათავადაზნაურო
პროგიმნაზიაში, სადაც ასრულებდა გამ-
გის მოვალეობასაც ამ თანამდებობაზე
ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მო-
ღვაწის იოსებ ოცხელის მიწვევამდე.

ალ. გარსევანიშვილი როდი იფარგლე-
ბოდა გიმნაზიაში მოღვაწეობით; იგი აქ-
ტიურად იყო ჩაბმული ქალაქის მთელ
კულტურულ - საგანმანათლებლო საქმიანო-
ბაში. წლების მანძილზე უსასყიდლოდ
ასწავლიდა ე. წ. საკვირაო სკოლაში, რო-
მელმაც თითქმის მეოთხედი საუკუნე ია-
რსება. მის სახელთანაა დაკავშირებული
ქუთაისში „ქართული წიგნის გამომცემე-
ლი ამხანაგობის“, სახალხო უნივერსი-
ტეტის, საქართველოს ისტორიისა და
სიტყვიერების არალეგალური წრის
ჩამოყალიბება. შეიძლება თამამად ითქ-
ვას, რომ არ ყოფილა კულტურული

ცხოვრების ისეთი უბანი, რომლისთვისაც ალ. გარსევანიშვილს საგანგებო ყურადღება არ დაეთმოს და თავისი კვალი არ დაეჩინოს.

ალ. გარსევანიშვილი აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას. მალე იგი უბრუნდება მშობლიურ ქალაქ გორს, სადაც მუშაობს იყვეს სახელმწიფო პედაგოგიურ ტექნიკუმში. გორში იგი სათავეში ჩაუდგა სახალხო უნივერსიტეტს, ეწეოდა თეატრალურ მოღვაწეობას, წერდა პიესებს თანამედროვე თემაზე. 1921 წელს მაისის დღესათვის დატოვა მისი დაუწყებელი და დაუდგამი პიესა „განთიადისა“, რომელიც მყუდრებელს გულთბილად მიუღია.

როგორც ვხედავთ, ალ. გარსევანიშვილი როდეს იფარგლებოდა მართოდ პედაგოგიური საქმიანობით. მაგრამ შეიძლება ყველამ არ იცოდეს, რომ იგი ნაყოფიერ ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ალექსანდრე გარსევანიშვილმა ხელი მოჰკიდა მთარგმნელობითს მუშაობას. მან რუს მკითხველს ერთ-ერთმა პირველმა გააცნო დიდი ქართველი მწერლების აკაკი წერეთლის, ეკატერინე გაბაშვილის, ეგნატე ნინოშვილის, დუტუ მეგრელისა და სხვათა საუკეთესო ნაწარმოებები. მანვე ქართულად თარგმნა ცნობილი ამერიკელი მწერლის ედგარ პოს ნოველები და სხვ. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე საგულისხმო ლიტერატურული სტატიები და კრიტიკული ეტიუდები, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებოდა იმდროინდელ ქართულ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში.

1915 წელს, აკაკი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ალ. გარსევანიშვილმა რუსულ ენაზე დაწერა წიგნი, რომელიც გამოსცა ქუთაისში ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ თომა მთავრიშვილმა (დაბეჭდილია ქართველთა შორის წერა-კითხვის

გამავრცელებელი საზოგადოებას თაისის განყოფილების სტამბაში). წიგნი იხსნება აკაკის ფოტოგრაფიის მგოთან საფარძელში ზის, მოგვცა ხელი თავზე შემოუდგია, საფუთქელთან ახლოს, ღრმად ჩაფიქრებულა ხატატელ სამშობლოს ბედზე და მზადაა კელეპტარივით დაიფერფლოს მის სადიდებლად...

სურათის ქვემოთ ვკითხულობთ აკაკის ესთეტიკურ შეხედულებებს, გამოთქმულს მის ცნობილ ლექსში „პოეტი“ (რუსული თარგმანი), ხოლო მომდევნო ფურცელზე დაბეჭდილია ოთხსტრიქონიანი ლექსი, სადაც დიდი გულიანობითაა გადმოცემული აკაკი წერეთლის გარდაცვალებით გამოწვეული გლოვა ერისა: დამსხვრა საკურთხეველი, მოწყდა ვარდი, გატყდა ჩანგი... ამასთან გამოხატული არის მგოსნის უკვდავება: მომავალშიც იგიზგიზებს ცეცხლი, ისევ აყვავდება ვარდი, კვლავ აჟღერდება ჩანგი...

ეს წიგნი, რომელსაც ეპიგრაფად წამოძღვარებული აქვს აკაკისათვის სტრიქონები: „თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ“... რუს მკითხველს აცნობს დიდი მწერლის ცხოვრების, პოეტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს მომენტებს, ხაზგასმით მიუთითებს იმ დიდ ხალხურობაზე (გლეხის ბავშვებთან ცხოვრება, მშრომელ ხალხთან სიახლოვე...), რამაც არსებითად განსაზღვრა მომავალი პოეტის დემოკრატიზმი, ჰუმანიზმი, სამშობლოს უანგარო სამსახური.

მონოგრაფიაში საკმაო სისრულითაა გარჩეული აკაკის მალალიდური, უაღრესად მხატვრული პოეზია. საბატო ადგილი აქვს დათმობილი პოეტის ერთ-ერთ შესანიშნავ პოემას „გამზრდელი“. ალ. გარსევანიშვილი მკითხველს სთავაზობს ამ პოემის მეტად ორიგინალურ, მხატვრულ თარგმანს პროზად. თარგმანში დაცულია აკაკისათვის დამახასიათებელი მდიდარი ლექსიკა, პოეტურ სახეთა მრავალფეროვნება, აზრის სიღრმე და გამჭვირვალობა.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს მგონის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილეზე, რომელიც ქართულმა საზოგადოებრიობამ 1908 წელს დიდი ზემოთ აღწერა. წიგნის ეს მონაკვეთი მთავრდება მომავლის ნათელი რწმენით შთაგონებული აკაკისავე სიტყვებით: „მე არ ვისურვებდი ესე წავსულიყავ ამ ქვეყნიდან, რომ არ ჩაეწვდომოდი თანამედროვე მოვლენათა საიდუმლოებს. მოვესწრები თუ არა საერთაშორისო მშვიდობას, რომელიც დაკავშირებულია ჩემი საყვარელი სამშობლოს — საქართველოს და საერთო ჩვენი სამშობლოს, დიდი რუსეთის ბედნიერებასთან? ვინ იცის?“...

მონოგრაფია მთავრდება ქალბატონ მ. ი. რეიხის ლექსი-ექსპრომტით „ვინ არის იგი“, რომელიც მიძღვნილია აკაკისადმი. რეიხს მგონიანი გაუცნია წვეულებაზე ერთ-ერთი საჩხერელი თავადის ასულის ოჯახში. ავტორი ვერ მალავს აღტაცებას, აკაკის შესანიშნავ გარეგნობას და მრავალმხრივად მეტყველ თვალს, რომ გამოუწვევია. ლექსი მთავრდება დიდი მგონის ღრმა პატივისცემის გამომხატველი სტრიქონებით. შეკითხვაზე — ვინ არის იგი — ყოველი ქართველი, დასძენს ავტორი, პატრიოტული სიამაყით უბასუხებს: „ჩვენი პოეტი!“

მიუხედავად იმისა, რომ ალ. გარსევანიშვილის ეს ნაშრომი ნახევარი საუკუნის წინათ გამოქვეყნდა, მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და დიდი ინტერესით იკითხება.

ფასდაუდებელი როლი შეასრულა ქართველ და უკრაინელ ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში ალ. გარსევანიშვილის ნაშრომმა „უკრაინის მგოსანი ტარას შევჩენკო“ (1912 წ.). მასში ავტორი სწორად აშუქებს სახელოვანი მწერლის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. შევჩენკოს პოეზიის დახასიათებისას იგი ორიგინალურად იყენებს აზრის გამომხატვის პოეტურ საშუალებებს,

ამასთან გადმოგვცემს ქართველ ხალხის გულწრფელ თანაგრძნობასა და უსაზღვრო სიყვარულს უკრაინელი ხალხისადმი.

ალ. გარსევანიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს იმ დიდებას, რაც სახალხო მგოსანს მოუპოვა ხალხის ცხოვრებიდან. მისი ისტორიიდან აღებულ თემაზე დამუშავებულმა პოეტურმა თხზულებებმა და როგორც კი განთავისუფლდა ყმობისაგან, წერს კრიტიკოსი, „შევჩენკო კალამი აიღო ხელში, გულის სიღრმეში იგრძნო ზეციური ძალა... წერდა თავისუფლად... არავის არ ბაძავდა წერაში... ენგელვარტის გუშინდელი მონა დღეს უკვე შეიქმნა მთელი ქვეყნის მგოსნად, მისი სახელით უკრაინა ამაყობდა“.

ნაშრომში საინტერესო მასალებია მოტანილი ტარას შევჩენკოს მონაწილეობის შესახებ კიევის უნივერსიტეტის პროფესორის, გამოჩენილი მეცნიერის ნ. კოსტომაროვის 1845 წელს დაარსებულ ფართულ საზოგადოებაში. ამ საზოგადოების მრავან შეადგენდა გლეხთა განთავისუფლება ბატონყმობისაგან და თავის უფლებებში მშობლიური ენის აღდგენა, რასაც შედეგად მოჰყვა ტარასის სასტიკად დასჯა — იგი ათი წლით გადაასახლეს ორენბურგში. მიუხედავად ამისა, მგზნებარე პოეტმა ბოლომდე შეინარჩუნა სულის მხნეობა და დიდი მომავლის რწმენით შთაგონებულმა, ომბიანად უმღერა თავისუფლებას.

წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი შევჩენკოს ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასებას. მისი პოეზიის მნიშვნელობის გარკვევას უკვდავ „კობზარს“. წერს გარსევანიშვილი, ყოველი უკრაინელი სამართლიანად თვლის „თავის ნაციონალურ დაბადებად, ნამდვილ სახალხო ბიბლიად“. ხოლო მის ავტორს — „ქეშარიტი ხალხის შვილად, სამშობლოს უკეთესი ტრადიციების დამცველად“. სწორედ ამიტომ კრიტიკოსი შევჩენკოს პოეზიას მიიჩნევს „ნაციონალური თვითცნობიერების ნამდვილ გამომხატველად“, რომელმაც „...გაიტაცა ტა-

ნეჭული ერი და მისცა მას ზნეობრივი ძალა“.

ანიჭებს რა დიდ მნიშვნელობას მწერლობას, როგორც „ყოველი ერისათვის საჭირო იარაღს თვითარსებობისათვის ბრძოლაში“. ალ. გარსევანიშვილი ფართოდ გადაგვიშლის იმ სინამდვილეს, რომელიც უკრაინის დიდმა მგოსანმა გაიხადა საკუთარი შემოქმედების ქვაკუთხედად. მკვლევარი ხატონად აგვიწერს უკრაინის წარმტაც პანორამას და მისი ზღაპრული მშვენიერების ფონზე კონტრასტულ ფერებში წარმოგვიდგენს ამქვეყნიურ მწერს სინამდვილეს თავისი ტანჯვითა და მწუხარებით. ევებითა და გოდებით. ბოლოს იგი ასკვნის: „მხოლოდ დიდებული თვალწარმტაცი ბუნება ღამაზ უკრაინისა გულგრილად უშვებს ამ საერთო დაუსრულებელ ტანჯვას. იგი დიდი ხნის მოწმეა უკრაინელი ერის ტრაგედიისა“... ამის საილუსტრაციოდ გაანალიზებულია ცალკეული სტროფები ზეგნენკოს ლექსებიდან (თარგმანებას დიდი ნაწილი შესრულებულია ცნობილი პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეების სილოვან ზუნდაძისა და დომენტი თომაშვილის მიერ).

ალ. გარსევანიშვილი იმოწმებს დიდი კობზარის ნათელი ოპტიმიზმით შთაგონებულ სიტყვებს —

„დიდი ხნის ტანჯვა, უკმეხთა რისხვა წავა, გაქრება, დაგვაფიწყდება. —

და უკრაინის ძველი დიდება

კვლავ განახლება, მკვდრებით

აღსდგება!...“

და მართებულად შენიშნავს, რომ „... ტარას შეგნენკო არ იყო ვიწრო პატრიოტი, იგი ყოველ ერს სცემდა პატივს. მისი მსოფლმხედველობა ფართო იყო... მგოსანს ძალიან უყვარდა თავისი ბუნებით ღამაზი და ბედით კი ჩაგრული სამშობლო, იგი იტანჯებოდა მისი წყლულით და ხარობდა მისი სიხარულით, თავისუფლების ნამდვილი დაუღალავი მებრძოლი იყო და ამასთანავე მთელი კაცობრიობის წარმატების მქადაგებელი“.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ალ. გარსევანიშვილის ლიტერატურული ნარკ-

ვევი ცნობილი ფრანგი მწერალი ჟორჟ ზანდის (ავტორია დიუპენის) შესახებ: „საფრანგეთის მწერალი, მკვლევარი ზანდი“ (1927 წ.).

მკვლევარი ჟორჟ ზანდის მხატვრული შემოქმედების უპირველეს ღირსებად იმას თვლის, რომ მან ქალთა საკითხი „ღრრის მიხედვით“ გააშუქა და მანვალრიცხოვანი მკითხველის დიდი თანავრძნობა და სიყვარული დაიმსახურა.

საფრანგეთის სოციალური ეთარების დახასიათების შემდეგ, რამაც ძირითადად განაპირობა მომავალი მწერლის მსოფლმხედველობა, ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ჟორჟ ზანდის სახელგანთქმულ ეპიკურ ტილოებს („ინდიანა“, „ვალენტინა“, „ლეოლა“, „ჟაკი“ და სხვ.), რომლებშიც დიდი რომანსტი ქადაგებს გრძნობათა თავისუფლებას, ამქვეყნიური ცხოვრების მშვენიერებას.

ფრანგი მწერლის შემოქმედების მეორე პერიოდს რომ აანალიზებს, ალ. გარსევანიშვილი სწორად არკვევს პოლიტიკური თემებით მისი გატაცების ობიექტურ მიზეზებს (იულისის რევოლუცია საფრანგეთში, ლიონის 1834 წლის აჯანყება...) და ვანაშტავს, თუ როგორ გახდა ჟორჟ ზანდი ახალი, სოციალისტური მოძღვრების — სოციალიზმის მქადაგებელი: მაგრამ ამასთან მართებულად შენიშნავს, რომ მიუხედავად მშრომელი ხალხის გულწრფელი სიყვარულისა და თანავრძნობისა, რასაც იგი სოციალურ რომანებში („მეწისქვილე ანეზიო“, „ცოდვა ბატონ ანტონისა“, „მოგზაური საფრანგეთის გარშემო“) გამოხატავს, ჟორჟ ზანდის „...ამ დროს არ ჰქონდა შეგნებული ის აზრი, რომ სახალხო მოძრაობის ავანგარდად ანუ მოწინავე რაზმად იყო მუდამ პროლეტარიატი, ქალაქის მუშები... ასეთი მუშები გლეხობასთან შედარებით უფრო შეგნებული ელემენტია, ისინი უფრო მწვავედ გრძნობენ თანამედროვე წესწყობილების სიმძიმეს, პროლეტარიატი არის პლუბსის საუკეთესო წარმომადგენელი და მისი ნამდვილი გზის მაჩვენებელი“. მკვლევარი აქვე დასძენს, რომ ზემოთ დასახელებული



სოციალური რომანების შექმნის პერიოდში მუშათა კლასიც არ იყო ყოველმხრივ ჩამოყალიბებული (პირველი ინტერნაციონალის დაარსებამდე). მაგრამ პარიზის კომუნის შემდეგ მწერალი უფრო ახლოს მივიდა პროლეტარიატთან და გახდა მისი ინტერესების დამცველი. ამასთან ერთად გამოხატა ზიზლი და შეურიგებლობა ბურჟუაზიისადმი, არისტოკრატისადმი, რომლის წრიდანაც თვითონ იყო გამოსული.

ალ. გარსევანიშვილი სამართლიანად აკრიტიკებს ყოველ ზანდის მცდარ შეხედულებას, თითქოს არისტოკრატია ხშირად უფრო შევლის იმათ, ვინც ბურჟუეზების წინააღმდეგ აგიტატორად გამოდის. მკვლევარი აქვე შენიშნავს, რომ ყოველ ზანდს არასწორი წარმოდგენა ჰქონდა კლასობრივ საზოგადოებაზე. მას ეგონა სოციალიზმი მხოლოდ ზეპირი ქადაგებით დამყარდებოდა. ამის მიუხედავად, დასკვნის იგი, ყოველ ზანდი მთელი თავისი არსებით იყო შეგნებული ოპტიმისტი, სოციალიზმისა და პროლეტარიატის მომხრე.

ისტორიული ხასიათის ნარკვევებიდან ვენსაკუთრებით საყურადღებოა ალ. გარსევანიშვილის მონოგრაფიული ნაშრომი „გმირი ქალი მათე ყაჩაღად წოდებული“ (1915 წ.). რომელსაც ეპიგრაფად წამღებარებული აქვს ცნობილი ქართველი პოეტის გრიგოლ ორბელიანის სიტყვები: „დავნატრი იმით, ვინც თვის სიცოცხლე თვისა მამულსა შესწირა მსხვერპლად“.

წიგნის შესავალშივე ავტორი არკვევს ნარკვევის მიზანდასახულობას: გამოიწვიოს სიყვარული და თანაგრძნობა არა მარტო მაია წყნეთელისადმი, არამედ პატივისცემა საერთოდ წინაპართა დიდებული აზრდილისადმი და ამის საჭიროებას მშვენივრად ასაბუთებს ერთი ბრძენის სიტყვებით: თუ გუსურს გაიგო როგორ უნდა იარო, ან საით წახვი-

დე, საჭიროა უპირველეს ყოვლისა გაეცნო იმას, რა გზა უნდა გავიდეს, საიდან მოხვედრი და მოხვედრი...

ისტორიულ და ხალხურ წყაროებზე დაყრდნობით, ალ. გარსევანიშვილი მხატვრულად აგვიწერს სამშობლოს თავდადებული გმირი ქალის წარმატებულ გარეგნობას. იშვიათ ფიზიკურ ძალას, მახვილ გონებას, საბრძოლო გამბედაობას, მის ვაჟ-კაცურ ბრძოლებს ერეკლე მეფის რჩეულ რაზმში და ტრაგიკულ სიკვდილს შაჰის ურდოებთან. იგი ხაზგასმით აღნიშნავს: მათე ყაჩაღი ანუ მაია წყნეთელი არ წარმოადგენს გამონაკლისს, რომ პატარა საქართველომ ბევრი გმირი დაბადა...

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ალ. გარსევანიშვილს ბევრი ისტორიულ-ლიტერატურული შინაარსის ნაშრომი ჰქონია მომზადებული გამოსაქვეყნებლად, მათ შორის ნარკვევები ქუთაისის ისტორიიდან. კრიტიკული ეტიუდი იოსებ დავითაშვილის ცხოვრებისა და მხატვრული შემოქმედების შესახებ და სხვ. მანვე დაწერა სინტეზის მოგონებანი ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე.

როგორც ვხედავთ, ალ. გარსევანიშვილმა დაგვიტოვა საკმაოდ მდიდარი ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა, რომელიც დღემდე თითქმის შეუსწავლელია. ამიტომ სასურველად მიგვაჩნია, გამოიცეს ალ. გარსევანიშვილის რჩეული ნაწერების კრებული, რომელშიც შევა მისი ცალკე წიგნებად გამოქვეყნებული ნაშრომები, ქართულ-რუსულ ჟურნალებსა და გაზეთებში დაბეჭდილი წერილები, ნარკვევები, თარგმანები. აგრეთვე დღემდე დაუსტამბავი მეტად საგულისხმო სტატიები და მოგონებანი, რომლებიც ხელნაწერების სახით დატოლია ჩვენი რესპუბლიკის არქივებსა და მუზეუმებში.



შოთა ქარიძე

ხალხის საყვარელი მწერალი

პარმენ ლორიას დაბადების 70 წლისთავის გამო

ცხოვრების რთული და მიიმე გზა განვლო პარმენ ლორიამ, ვიდრე პროფესიონალი მწერალი გახდებოდა. იგი იყო გლეხი, მუშა, ჭარისკაცი, მილიციელი, კლუბის მუშაყი, პროფკავშირული მოღვაწე, მხატვრული აგიტპრიგადი ხელმძღვანელი, მუშკორი. წლების მანძილზე მან ძლიერ ბევრი ნახა და განიცადა როგორც თავის მშობლიურ სოფელში, ისე განსაკუთრებით ჩაქვის ჩაის პლანტაციებში, ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხნებში, პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე ირანსა და ოსმალეთში, ქართულ ჭარში, აჭარის სოფლებსა და დაბა-ქალაქებში. და თუ მომავალმა მწერალმა ბევრი გაჭირვება ნახა, სამაგიეროდ საშუალება მიეცა ყოფილიყო ებოქის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა მონაწილე და თვითმხილველი, გაეცნო სულ სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის უაპრავე ადამიანი და უშუალოდ შეესწავლა მათი ბუნება, მათი ხასიათი.

ყველაფერი ეს დიდად დაეხმარა პარმენ ლორიას არა მარტო სიმართლითა და საინტერესოდ, არამედ მრავალმხრივადც აესახა მშობლიური ხალხის ცხოვ-

რება, შეექმნა არაერთი შთამბეჭდავი მხატვრული სახე. ცნობილია, რომ მწერლის პირად დავეიცვებასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მას ვერ შეცვლის ვერავითარი ნაამბობი, ვერავითარი ფანტაზია. თვით გამოწვავილიც ხომ, ბოლოს და ბოლოს, რეალური ცხოვრებიდან წარმოიქმნება და არა ზღვია ქაფიდან მითურ აფროდიტესავით. სწორედ ამიტომ ამტკიცებენ, პროზაიკოსს მდიდარი ბიოგრაფია უნდა ჰქონდეს, ცხოვრება რომ მრავალმხრივად, სიპართლით და საინტერესოდ ასახოს. ეს მოსაზრება ჩვენ უსაფუძვლოდ არ გვეჩვენება. თუ მწერალს ბევრი არ უნახავს, ბევრი არ განუცდია, არ გასცნობია ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, ურთიერთობა არ ჰქონია სულ სხვადასხვა ადამიანებთან, ისე მარტოა ცნელია იგი ღრმად ჩასწვდეს სინამდვილეს და მოვლენები და ადამიანური ხასიათები გვიჩვენოს არა მარტო სიპართლით, არამედ გამოვლინების მრავალფეროვნებითაც.

პარმენ ლორიას ამ მხრივ ბედის სამდურავი არ ეთქმის. მისი ცხოვრების

გზა ისე წარიმართა, რომ თითქმის ყველაფერი განიცადა, კირიც ბევრი ნახა და ლხინიც, მწუხარებაც და სიხარულიც, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო მწერლის მთელ შემოქმედებას და გახდა მისი მასაზრდოებელი წყარო, მისი შთაბეჭონებელი. ჩვენი აზრით, სწორედ ამით აიხსნება პარმენ ლორიას რომანების დიდი პოპულარობა. მას თითქმის არა აქვს ნაწარმოები, რომელიც პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და შთაბეჭდილებებს არ ემყარებოდეს. არ იყოს უაღრესად ცხოვრებისეული. რა თქმა უნდა, შეიძლება მწერალს ვედავით ცალკეული სიტუაციების გარშემო, ზოგიერთი მათგანი ყალბად ან ხელოვნურად მოგვეჩვენოს, მაგრამ მთლიანად ნაწარმოები ყოველთვის ბუნებრივად მიმდინარეობს და სიმართლით ასახავს სინამდვილეს.

პარმენ ლორიას შემოქმედების ეს თავისებურება თავის დროზე სწორად შენიშნა ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ. ასე, მაგალითად, ცნობილმა ქართველმა კრიტიკოსმა ბესო ჟღერტმა, პიესა „ნაირას“ რომ განიხილავდა. აღნიშნა მისი ცალკეული ეპიზოდების ერთგვარი ხელოვნურობა, მაგრამ იქვე მიუთითა, რომ ამ ნაკლს აქარწყლებს „პიესაში ასახული ბიზიზადი კონფლიქტების ცხოვრებისეული სიმართლე“. ¹ პარმენ ლორიას თხზულებათა ცხოვრებისეულობას ხაზს უსვამს კრიტიკოსი ე. ქარელიშვილიც. „მისი ბელეტრისტული ნაწარმოებები, — წერს იგი, — გამოირჩევა ცხოვრების ცოდნით“. ² ზედმეტია იმის აღნიშვნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებისეულ სიმართლეს ყოველი მხატვრული ნაწარმოების წარმატებისათვის; უამისოდ იგი ვერ შეისძიებს მკითხველის სულსა და გულს

¹ ბ. ჟღერტი, ბათუმის თეატრის სპექტაკლების შესახებ („ზარი“ ვოსტოკი“, 24/VI, 1951 წ.).

² ე. ქარელიშვილი, შემოქმედებითი აღმავლობის გზაზე („კომუნისტ“, 1/VII, 1951 წ.).

და, მაშასადამე, ვერც ჯეროვან ესთეტიკურ ზეგავლენას მოახდენს ზოგადობაზე.

ეროვნული
გზაწილთა

* * *

ჭერ კიდეც ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა პარმენ ლორიას, როცა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. მისი პირველი წიგნი „ეკრები ქვეყნად“ 1920 წელს დაიბეჭდა ახალციხეში. ეს იყო პატარა, სულ ოცგვერდიანი კრებულის, რომელშიც ოცდაათი წლის ავტორმა შეიტანა თავისი დრამატურგიული, პოეტური და პროზაული ნაწარმოებები: ერთსურათიანი სიმბოლურ-რევოლუციური პიესა „საშინელი სურათი“, რამდენიმე ლექსი და მინიატურული მოთხრობა „მწეული გულში“. როგორც ვხედავთ, მცირე ფორმატის მიუხედავად, იგი დიდი ენობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

მკითხველ საზოგადოებაში ამ კრებულს რაიმე ხმაური ან განსაკუთრებული ინტერესი არ გამოუწვევია. თავისთავად ცხადია, არც იმდროინდელ ლიტერატურულ კრიტიკას გაუწეწებია. ბოლო იგი თავისი ყურადღებით და საკვირველიც არ არის, თუ ბევრმა არც იცის მისი არსებობა. მით უმეტეს, რომ ჩვენამდე ამ წიგნის ორიოდ ეგზემპლარმა თუ მოაღწია: იგი სულ ექვსასი ცალი დაიბეჭდა და უკლებლივ მთელი ტირაჟი ავტორმა მხოლოდ თავის ნაცნობ-მეგობრებს დაურჩა.

ერთი სიტყვით, კრებულმა სავსებით გაიზიარა პროვინციაში დაბეჭდილი წიგნის ჩვეულებრივი ბედი — გამოჩნდა და როგორღაც შეუმჩნევლად გაქრა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქმის მას არავითარი კვალი არ დაეტოვებინოს არც ქართულ ლიტერატურაში და არც მკითხველთა ცნობიერებაში. მართალია, კრებულში დაბეჭდილი დრამატულ-პროზაული თხზულებანი დღეს არავის აღარ ახსოვს, მაგრამ სამაგიეროდ ცოცხლობს „სამხედრო სასიმღერო“ ლექსი „მერცხალო“, უფრო ზუსტად — ამ ლექსის პირველი ორი-სამი სტროფი:

„ოხ, მერცხალო, მერცხალო,
რად ხარ დაღონებული,
რისთვის არ მღერ-კიკეკებ,
არ ხარ გახარებული...
ერთ რამეს დაგავალბებ,
თუ ხარ ჩემი ერთგული,
გასწი ჩემს სამშობლოში,
ნახე ჩემი მამული...“

ხალხმა ეს ძლიერ მარტივი, მაგრამ
ძალზე გულწრფელი სტრიქონები აღიქ-
ვა როგორც გოდება ქართველი ჯარის-
კაცისა, რომელიც ბედს სამშობლოდან
შორს, ცხრა მთას იქით გადაუქარგავს
და სახლ-კარს მოწყვეტილს გულში
ბაღლამი ჩაგუბებია. უცხოეთში ამ ჯა-
რისკაცს მერცხალიც კი დაღონებული
ეჩვენება და, ვით „ერთ ბედში მყოფს“,
ერთადერთს მას ანდობს თავის სევდიან
ფიქრებს, თავის ნაღვლიან გულისტქმას.
ვინ იცის, მაშინ რამდენიმე ქართველი
განიცილდა მსგავს სულიერ განწყობი-
ლებას და ლექსმა ერთბაშად მოიბოვა
პოპულარობა, განსაკუთრებით მას შემ-
დეგ, რაც სიმღერად იქცა.

საგულისხმოა, რომ პარმენ ლორიას
ერთ ადრინდელ ლექსს, რომელიც „მზე-
დარში“ დაიბეჭდა 1918 წელს, აგრეთვე
მღეროდა ხალხი. ეს იყო ჯარისკაცული
მგზავრული სიმღერა, დიდად გავრცე-
ლებული წითელი არმიის ქართული ნა-
წილების მეგრძოლთა შორისაც. იგი გაი-
სმოდა დიდი სამამულო ომის წლებშიც
და ბევრ ფრონტელს, ალბათ, თვითონ
უმღერია ეს ლექსი ისე, რომ არც კი
იცოდა ვინ იყო მისი ავტორი:

„როცა მტერი თავს გვესხმის,
გვეძახხს ბრძოლის ველი,
მაშინ ავკანდება

ჩვენი ტყვიამფრქვეველი...“

და მაინც, პოეზია არ ყოფილა პარ-
მენ ლორიას ნამდვილი მოწოდება. რო-
გორც პოეტი, იგი იყო ე. წ. „ავაკის
სკოლის“ ეპიგონი და, ბუნებრივია, არ
გამოირჩეოდა არც ორიგინალობით და
არც მაღალი მხატვრული ღირსეობით.
და თუ ზოგიერთი მათგანი მაინც გადა-

ურჩა დავრწყუბას, ამის ძირითადი მიზე-
ზი პოეტის დიდი გულწრფელი და
ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავში-
რით. პარმენ ლორიას თითქმის თან დაჰყ-
ვა თანამედროვეობის გამახვილებული
გრძნობა და მუდამ გასაოცარი ალღოთ
ავნებდა დღევანდლობის მთავარ თე-
მას, რომელიც აუცილებლად მიიზიდავ-
და მკითხველს და საყოველთაო ინტე-
რესს აღძრავდა. ორივე ზემოთ დასახე-
ლებული სიმღერა-ლექსი საცესებით უზა-
სუხებდა ხალხის იმდროინდელ გულის-
თქმას, ამასთან იყო უაღრესად გულ-
წრფელი და ამიტომაც დაიპყრო მკითხ-
ველთა გული, თუმცა რაიმე განსაკუთ-
რებული მხატვრული ღირსება არც
ერთს არ გააჩნდა.

* * *

საქართველოში საბჭოთა ხელისუფ-
ლების დამყარებისთანავე პარმენ ლო-
რიას წინაშე საზოგადოებრივ-ლიტერა-
ტურული პოლემიკის ფართო ასპა-
რეზი გადაიშალა. ადგილობრივ გაზეთე-
ბში ზედიზედ იბეჭდებოდა მისი კორეს-
პონდენციები, ლექსები, მოთხრობები,
ფელეტონები, რომლებშიც გაბედულად
ამხილებდა არსებულ ნაყოფანებებს და
მკითხველს ზრდიდა სოციალიზმის ერ-
თგულების სულისკვეთებით. მალე იგი
განდა „ფუხარას“. მუშკოროთა ბიუროს
თავმჯდომარე და იმდენად თვალსაჩინო
მუშაობა გასწია ამ პოსტზე, რომ გაზეთი
მეათესე წომარის გამოსვლისთან დაკავ-
შირებით აჭარბს ცაკმა „აჭარისტანის
წითელი საბჭოთა პრესის განმტკიცების
საქმეში“ დამსახურებისათვის იგი საიუ-
ბილეო სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა.

პარალელურად პარმენ ლორია აქტი-
ურად თანამშრომლობდა იუმორის-
ტულ ჟურნალ „ტარტაროზში“ (დღე-
ვანდელი „ნიანგი“), სადაც პ. ობოლის,
აგრეთვე ბოლის, ბლიკვისა და ტინტი-
ლას ფსევდონიმით სისტემატურად აქვე-
ყნებდა ლექსებს, მოთხრობებს, პიე-
სებს, ფელეტონებს, ქრონიკებს. ამ
თხზულებათა გმირები უპირატესად უარ-
ყოფითი ადამიანები იყვნენ — ბიურო-

კრატები, მლიქვნელები, ხულიგნები, ნებამანები, სოციალურად უცხო და გადაგვარებული პირები, რომლებიც თავისი პნელი საქმიანობით ხელს უშლიდნენ ხალხს ახალი ცხოვრების დამკვიდრებაში.

„ტარტაროში“ გამოქვეყნებული პარმენ ლორიას იუმორისტული ნაწარმოებები დიდი პოპულარობით სარგებლობდა მკითხველთა შორის და ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა, მით უმეტეს, რომ მათი დიდი ნაწილი ნამდვილ ამბებსა და რეალურ პირებს ამხილებდა. თემატიკის აქტუალობასთან ერთად ისინი გამოირჩეოდნენ რბილი ხალხური იუმორით, ხოლო როცა საჭირო იყო, მწერალი არ ერიდებოდა არც მწვავე სატირას. ასეთი სატირის ერთ-ერთი მშვენიერი ნიმუშია პიესა-ფელეტონი „ღმერთის ოჯახი (ტრადედია ღმერთის ცხოვრებიდან)“, რომელიც „ტარტაროში“ გამოქვეყნდა 1925 წელს (№ 25) და მკვეთრად გამოხატული ანტი-რელიგიური ხასიათი ჰქონდა. მწერალი ამ „ტრაგედიაში“ დასცინოდა იესო ქრისტეს „უმანკოდ ჩასახვის“ რელიგიურ ზღაპარს და ღვთისმშობელი მამა-ღმერთის ჰეტერად იყო წარმოდგენილი.

მრავალი წლის მანძილზე პარმენ ლორიას მოღვაწეობა „ტარტარო-ნიანგში“ მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია და მოწმობს აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემებისადმი მისი შეუთნებელ ინტერესს. იგი საგულისხმოა იმ მხრივაც, რომ პირველად სწორედ „ტარტარო-ში“ ჩაეყარა საფუძველი მწერლის დიდ პოპულარობას მკითხველთა ფართო მასებში. ოციან-ოცდაათიან წლებში პ. ლორია „ტარტარო-ნიანგის“ ისეთივე წამყვანი თანამშრომელი და თვალსაჩინო იუმორისტი იყო, როგორიც ს. ფაშალიშვილი (ფარსადანი), ი. ხინელი (აღლარ-აღლარსანი) და სხვ. როცა ეჭურნალ „ნიანგს“ არსებობის ათი წელი შეუსრულდა, სხვებთან ერთად მან გამოქვეყნა პ. ლორიას პორტრეტიც და „სამფლობელოდ“ დაუმკვიდრა მთელი ბათუმი:

„პ. ობოლს და ბოდილას ეუთუობა ბათუმს ფოთიანა“, წერდა „ნიანგის“ რადიობრძანებაში. ეს ფაქტი მკითხველს მეტყველია და მშვენიერად ცხადყოფს, თუ როგორ აფასებდა „ნიანგის“ რედაქცია თავის ნიჭიერ თანამშრომელს.

პ. ლორიას იუმორისტულ-სატირული ნიჭი განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ბრწყინვალე მოთხრობაში „ბახვამის დედაბერი“, რომელიც ქართული საბჭოთა იუმორისა და სატირის ერთ-ერთი შედევრია. მასში მწერალი მწვავედ ამათრახებს დრომოკმულ ტრადიციებს, გაუმართლებელ პომპას, რომელსაც ადამიანის დაკრძალვისას აწყობენ, უპირატესად კი მლიქვნელებსა და მამებლებს, იმ კაცუნებს, ვიწრო-პირადული ინტერესებისათვის რომ იყენებენ ისეთ სამწუხარო ფაქტსაც კი, როგორიცაა ადამიანის გარდაცვალება. მოუკვდება რომელიმე „დიდ კაცს“ ნათესავი და... მიცვალებული არავის ახსოვს, არც მისი პატივისცემისათვის ზრუნავს ვინმე — მთავარია რაც შეიძლება აამონ „უფროსი“, თავი გამოიჩინონ მის წინაშე და ისეთ ზარ-ზეიმს მართავენ, რომ თვითონვე ფეხქვეშ თელავენ საკუთარ ადამიანურ ღირსებას და უნებლიეთ შეურაცხოფენ მიცვალებულსაც. სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევები დღესაც გვხვდება, მოთხრობის დაწერიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ და, მაშასადამე, იგი დღესაც ინარჩუნებს მამხილებელ ძალას. მაგრამ არა მარტო ფართო იდეური დიპაზონია „ბახვამის დედაბრის“ ღირსება. იგი თითქმის უნაკლოა შესრულების ოსტატობითაც, წმინდა ხელოვნების თვალსაზრისით. მწერლის იუმორი როგორღაც შეუმჩნევლად გადადის სატირაში და მოთხრობის უბადრუეი პერსონაჟები ერთდროულად სიცოცხლაც იწვევენ და აღშფოთებასაც, ხან გებრალებათ ისინი და ხან კიდევ გეზიზნებთ.

ფრიალ დასანანი, რომ ამ ბოლო დროს პარმენ ლორია ძლიერ იშვიათად წერს იუმორისტულ-სატირულ ნაწარ-

მოგებებს. იგი თითქმის დაეპყროფილდა იმ წვლილით, რომელიც ქართული საბჭოთა იუმორისა და სატირის განვითარებაში შეიტანა თავის დროზე. მართალია, ეს შენატანი მნიშვნელოვანი და სერიოზულია, მაგრამ მკითხველს უფლება აქვს მეტი შემოქმედებითი აქტივობა მოსთხოვოს „ხახვამის დედაბრის“ ავტორს.

* * *

არანცლებს იტაცებდა პარმენ ლორიას სცენა და დრამატურგია. უკვე პირველ კრებულში „ქერებზე გვეყად“ წამყვანი ადგილი უკავია პიესას, რომელიც სხვათა შორის სცენაზეც დაიდგა 1919 წელს არდაგანში. მაყურებელი სპექტაკლს გულთბილად შეხვედრია. წარმატებამ წახალისა ახალგაზრდა ავტორი და მას შემდეგ მან არაერთი დრამატული ნაწარმოები შექმნა — ზოგი ლექსად, ზოგი კი პროზად. ისინი, როგორც წესი, ე. წ. „მცირე“ დრამატურგიაა ექუთუნოდნენ. მწერალი იშვიათად წერდა დრამებსა და ეპიკედებს, მათ აკონინებდა სექტჩებს, ვოდევილებს და საერთოდ მცირე ფორმის პიესებს. ეს, ალბათ, იმით ახსნება, რომ პარმენ ლორია მთელი ათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მხატვრულ აგიტატირებას, რომელიც დიდ სააგიტაციო მუშაობას ეწეოდა აჭარის სოფლებში და სოფლის სცენაზე წარმოსადგენად სწორედ სექტჩები, ვოდევილები და მსგავსი პიესები ესპიროვბოდა.

თავის იდეური შინაარსით პარმენ ლორიას „მცირე“ დრამატურგია უაღრესად რევოლუციური იყო და აღძრავდა თანადროულობის აქტიულობურ, საჭირობოტო თემებს. ამ მხრივ ძლიერ დამახასიათებელია პიესების კრებული, რომელიც ხულოში დაიბეჭდა 1934 წელს. ეს არის ძალზე პატარა, თექვსმეტგვერდიანი წიგნი, რომელშიც მოთავსებულია ორი პიესა „ენიგმანტის სიზმარი“ და „ოქტომბრის ღღეხი“. პირველი მათგანი სატირაა და დასცინის მენშევიკ ემიგრანტებს, რომლებიც საქართველოში ძველი რეჟიმის აღდგენის ილუზიებით

ცხოვრობდნენ, მეორე პიესა კი სახალხის შეიარაღებულ აჯანყებას მოქმედი პირები დათვით, ელენე და სხვები მზად არიან ყველაფერი, თვით სიცოცხლეც კი, უწყობანოდ შესწირონ რევოლუციის გამარჯვებას. ამავე პერიოდში — ოკიან-ოცდაათიან წლებში დაწერა პარმენ ლორიამ ავტოტევი პიესები „პროლეტარია“, „პირველი მაისი“, „ექვსი მითითება“, „ოქტომბრის დღე“, „მესამე ცოლი“, „ყუჩი მეგობარი“, „სტუმრობიდა“, „იპრიტი“ და ბევრი სხვა, რომელიც წარმატებით იდგებოდა სოფლის სცენაზე სხვადასხვა დროს, მოვიღებული 1921 წლიდან.

მხოლოდ ორმოციანი წლების დამდეგს მოჰყიდა ხელი პარმენ ლორიამ „დიდ“ დრამატურგია და მისი პიესები „მეგობრობა“, „ნაირა“, „დინარა“ ზედიზედ დაიდგა ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქების სცენაზე. ზოგიერთი მათგანი („ნაირა“, „დინარა“) ნახა თბილისის, ღ. ეფთასისა, მაყურებელმაც ამ ქალაქებში ბათუმის თეატრის გასტროლების დროს. თბილისში წარმატებულად პ. ლორიას „მეველუდაც“, რომელიც მახარაძის სახელმწიფო თეატრმა დადგა.

„ნაირა“ პარმენ ლორიას ამავე სახელწოდების რომანის ავტორიკული ინსცენირებაა და, როგორც ყოველ ინსცენირებას, „ნაირა“ც გააჩნდა გარკვეული ნაკლოვანებანი — ერთგვარი ფრაგმენტულობა და კომპოზიციური შეუკერებლობა, მოქმედების, სიტუაციის განვითარების შეზღუდულობა და სხვ. მიუხედავად ამისა, მართალია არ იყვნენ ე. ქარელიშვილი და ნ. პაიჭაძე, როცა მეტისმეტად მკაცრად მოეკიდნენ „ნაირას“, როგორც დრამატულ ნაწარმოებს, თუმცა აღიარეს სპექტაკლის უდავო გამარჯვება. განსვენებული ნ. პაიჭაძე იმდენად ბევრ ნაქალაქედაც „ნაირაში“, რომ სასურველად მიიწინა დრამატურგსა და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობას (უკვე სპექტაკლის შემდეგ) განეგრძოთ „მუშაობა პიესის ლიტერატურულ-

სცენური სრულყოფისათვის¹. არსებითად ამავე შეხედულებას ავითარებდა ე. ქარელიშვილიც. „ის წარმატება, — წერდა კრიტიკოსი, — რომელიც პიესას ხვდა, უფრო მეტად თემის აქტუალობით აიხსნება, ვიდრე მისი მხატვრული ღირსებით“². ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, თითქმის შეიძლებოდაც ცუდი პიესის კარგ სპექტაკლად გადაქცევა და ამიტომ მთლიანად ვემხრობით გამოჩენილ ქართველ კრიტიკოსს ბესო ჟღენტს, რომელმაც ცალკეული ნაკლოვანებების მიუხედავად (ზოგიერთი ეპიზოდის რამდენადმე ხელოვნურობა და დაუჯერებლობა, სქემატიზმის ელემენტები და სხვ.), საერთოდ დადებითად შეაფასა პიესა და აღნიშნა მისი ღირსებები: იდეური მიზანსწრაფულობა, ცხოვრების კარგი ცოდნა, საინტერესო სიუჟეტი. მაღალი შეფასება მისცა პ. ლორიას პიესას აგრეთვე ცნობილმა თეატრალურმა კრიტიკოსმა შალვა ბუაჩიძემ. „ის დიდი ამოცანები, რომლებიც დასახულია დრამატურგიის წინაშე, დრამატურგიული ლიტერატურის დარგში მომუშავე მწერლებისაგან მოითხოვს ოსტატობის ყოველხორც ამადლებას. დრამატურგმა თავის ჩანაფიქრს უნდა მისცეს მყაფიო, მიმზიდველი ფორმა, პიესის სიუჟეტმა უნდა გაიტაცოს მაყურებელი. ეს ნიშნები საკმაოდ ახასიათებს პიესას და სპექტაკლს „დინარს“⁴.

საყოველთაო მოწონება ხვდა პ. ლორიას „დინარსაც“, რომელიც 1955 წლის გაზაფხულზე დადგა ბათუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა. სპე-

ქტაკლის რეცენზენტი ჟურნალისტი მწერალი ალ. ჩხაიძე „საბჭოთა კულტურა“⁵ წერდა: „საზოგადოებამ გატაცებული მიიღო პ. ლორიას პიესა „დინარა“. ყველა სპექტაკლს დიდძალი მაყურებელი ესწრება. ე.ა. უპირველეს ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ მასში მოცემულია რეალური ცხოვრებიდან აღებული შთამბეჭდავი სურათები“¹. ორი წლის შემდეგ სპექტაკლი უზვენეს აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეპარტამენტის მიხედვით. მას აღფრთოვანებული რეცენზია უძღვნა ჟურნალისტმა და კრიტიკოსმა პეტრე ბახტურიძემ. „პიესაში მრავალია ადგილობრივი ყოფიანათვის დამახასიათებელი კალამებები, — წერდა იგი — მოცემულია კარგი დიალოგები, ღრმად იგრძნობა შემოქმედებითი უშუალოება და გულწრფელობა. აღსანიშნავია, როგორც ნაწარმოების ღირსება, რომ ავტორი ამქვეყნებს ჰუმანიტარულ შემოქმედისათვის დამახასიათებელ მგზნებარე დამოკიდებულებას სინამდვილისადმი, ცხოვრების საყურადღებო. მოვლენებადში“². კოილეჯი გამოთქვამდა ზოგიერთ შენიშვნასაც და, ბოლოს, დასკვნდა: „დრამატურგის მიზანი იყო მხატვრულ ფორმებში ეჭვგეგნისა საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალურ-პოლიტიკური სახე, მისი ეთილ-შობილება, ზნეობრივი სისპეტაკე. თეატრმა ძირითადად შეძლო ამ განზრახვის განხორციელება ისეთი კარგი სპექტაკლის შექმნით, როგორიც არის პარმენ ლორიას „დინარა“. პარმენ ლორიას „დინარა“ ქებათ მოიხსენია აგრეთვე თავის ერთ-ერთ მიმოხილვაში ქართული თეატრალური ხელოვნების ცნობილმა მოღვაწემ პროფ. ა. ფაღავამ. მართალია, იგი ამ მიმოხილვაში მხოლოდ სპექტაკლებს განიხილავდა და არა პიესებს, მაგრამ საჭიროდ უცვნია ორიოდ სიტყ-

¹ ნ. პაიჭაძე, ორი სპექტაკლი („საბჭოთა აჭარა“, 23/V, 1951 წ.).


² ე. ქარელიშვილი, შემოქმედებითი აღმავლობის გზაზე („კომუნისტი“, 1/VII, 1951 წ.).

³ ბ. ჟღენტი, ბათუმის თეატრის სპექტაკლების შესახებ („ზარია ვოსტოკა“, 21/VI, 1951 წ.).

⁴ შ. ბუაჩიძე, ნიჭიერი თეატრალური კოლექტივი („საბჭოთა აჭარა“, 17/VII, 1951 წ.).

¹ ალ. ჩხაიძე, „დინარა“ („საბჭოთა აჭარა“, 20/III, 1955 წ.).

² პ. ბახტურიძე, სპექტაკლი საყოველთაო სიფელზე („კომუნისტი“, 4/III, 1957 წ.).



ვით მაინც დაეხასიათებინა „დინარა“, როგორც დრამატული ნაწარმოები და ხაზი გაესვა დრამატურგის დამსახურებისათვის სპექტაკლის გამარჯვებაში. „პიესის ავტორი პ. ლორია, — წერდა პროფ. ა. ფალავა, — კარგად გადმოგვცემს ძველი და ახალი ყოფის შეტაკებას და უმეტეს შემთხვევაში ცოცხალი სახეებიც შეუქმნია“.¹

პარმენ ლორიას სახელითაა ცნობილი აგრეთვე დრამა „მევლუდი“, მაგრამ ეს არც თუ მთლად სწორია. იგი წარმოადგენს ჩვენი საყვარელი მწერლის ამავე სახელწოდების ცნობილი რომანის ინსცენირებას, რომელიც ეყუთვნის რეჟისორ რ. კაციას და არა რომანის ავტორს. ამიტომ უმჯობესი იყო, დრამა „მევლუდი“ მიეჩნიათ პარმენ ლორიას რომანის მოტივების მიხედვით შექმნილ პიესად (როგორც მოიქცა, მაგალითად, გაზეთი „ზარია ვოსტოკა“). „მევლუდი“ პირველად დადგა მახარაძის სახელმწიფო თეატრმა და შეჰდევ დიდი წარმატებით აჩვენა თბილისში გასტროლების დროს. მახარაძელთა სპექტაკლს თბილისელ მაყურებელთან ერთად გულთბილად შეხვდა დედაქალაქის პრესაც. გაზეთებმა „ზარია ვოსტოკამ“ და „თბილისმა“ გამოაქვეყნეს რეცენზიები და დადებითად შეაფასეს იგი. ერთი წლის შემდეგ „მევლუდი“ დადგა ბათუმის სახელმწიფო თეატრმაც. რეცენზიაში, რომელიც „საბჭოთა აჭარაში“ გამოაქვეყნა, პიესაც და სპექტაკლიც აგრეთვე დადებითად იყო შეფასებული, თუმცა რეცენზენტი აღნიშნავდა ზოგიერთ სერიოზულ ნაკლოვანებასაც.² მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ „მევლუდმა“ ვერ გაუძლო დროის გამოცდას და ამის მთავარი მიზეზი იყო ინსცენირების არსებითი ხარვეზები. აი რას წერდა ამის

თაობაზე თვით პარმენ ლორია: „...დრამა პირადად მე არ მაქმყოფილებია, რადგან რი კარგი ადგილის ნაცვლად შევარჩიე ყალბი ამბები. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ალბის გაპარცვა და ნაძარცვის იქვე დარჩევა. ნუკრის გაძლიანება მამის სიკვდილამდე და სხვ. ზედმეტია I-II სურათი. უაზროა სასამართლოში მხოლოდ ერთი კაცის ლაპარაკით სხდომის დამთავრება. სუსტია ენა, იგი ხშირად დამორბეულია ტექსტს. სუსტია ფინალი. სურათების სიმრავლე და სცენის სიბნელე აწუხებს თვალებს. ვნახოთ, როგორ დიხვეწება“ (მინაწერი პროგრამაზე პრემიერის მეორე დღეს, 27 აპრილს, 1959 წ.). სამწუხაროდ, მწერლის იმედი არ გამართლდა. სპექტაკლი დაუხვეწელი დარჩა და სანახევროდაც კი ვერ მოიპოვა ის პოპულარობა, რაც პ. ლორიას რომანს აქვს.

* * *

პარმენ ლორიას პირველი მოთხრობები პრესაში გამოქვეყნდა ოციაწი წლების დამდეგს, როცა ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული სიმძაფრით მიმდინარეობდა ძველისა და ახლის ბრძოლა. იმხვერეოდა ყოველგვარი დრომოქმული, მკვიდრდებოდა პრინციპულად ახალი ცხოვრება. ამ გარემოებამ განსაზღვრა მწერლის მთელი შემოქმედების, უპირველეს ყოვლისა კი პროზის თემატიკა და ხასიათი. პარმენ ლორია უპირატესად მიმართავდა კონტრასტებს, ერთმანეთს უპირისპირებდა ძველსა და ახალს და გვიჩვენებდა ახლის განუზომელ უპირატესობას. ასეა მოთხრობებში „საღდათობა“, „მეფის ჯარისკაცის დღიურიდან“, „წასვლის წინ“, „შეგნეულ წარსულიდან“ და სხვ. მწერალს ძლიერ იზიდავდა თანადროულობის რომანტიკაც, ახალი, საბჭოთა ადამიანის გმირობა და თავდადება, სოციალიზმის საქმისადმი მისი უსაზღვრო ერთგულება. მოთხრობათა ამ ციკლს განეკუთვნება „გმირები“, რომელიც მიეძღვნა ჩელუსკინელთა ცნობილ ეპოპეას, „ბედნიერი ახალგაზრდობა“ და ბევრი სხვა. მაგრამ თითქმის ყველა ეს ნაწარმოები უფრო პუბლიცი-

¹ პროფ. ა. ფალავა, თეატრალური ხელოვნების მწვერვალებისაქენ („საბჭოთა აჭარა“, 21/II, 1957 წ.).

² დოც. შ. ნიყარაძე, „მევლუდი“ ბათუმის სცენაზე („საბჭოთა აჭარა“, 21/VI, 1959 წ.).

სტური ნარკვევების შთაბეჭდილებას ტოვებს, მათში ცოტა იყო ჰუმანიტარული, ზოგჯერ კონტრასტებიც მეტისმეტად სწორხაზობრივი და მიაბრტურო ჩანდა.

ოცდაათიანი წლების დამდეგს პარმენ ლორიას უკვე აღარ აკმაყოფილებდა პატარა-პატარა მოთხრობები თუ ფელეტონები. ამ დროისათვის მან ფეხით შემოიარა მთელი აჭარა, ზრმაღა გაიცხო ხალხის ყოფაცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი, გულისთქმა და უამრავი შთაბეჭდილება დაუგროვდა. ამას ემატებოდა სავსებით ცხოვრების მდიდარი გამოცდილება და მწერალმა იგრძნო, რომ ნანახისა და განცდილის გადმოსაცემად საჭირო იყო დიდი, ფართო ტილოების შექმნა და სცადა კიდევაც დაეწერა რომანი, აესახა აჭარაში სოციალისტური წყობილება და მკვიდრების პროცესი და ახალი აღმავლება, რომლებიც ცხოვრების ფართო გზაზე გამოვიდნენ დიდი გარდატეხის შედეგად. მთელი სამი წელიწადი (1933-1935 წ. წ.) მონათლა პ. ლორიამ თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას და, ბოლოს, უკვე მზად ჰქონდა თავისი პირველი რომანი — დღეს უკვე სახელმოხვეჭილი „ჩაი“, მაგრამ მწერალს დიდი იმედგაცრუება ელოდა. მანამდე აჭარაში რომანი არავის დაუწერია, მით უმეტეს აჭარელთა ცხოვრებიდან და ბევრმა, ბუნებრივია, ეკვით შეხედა პირველ ცდას, ექვს მოჰყვა ზედმეტი სიფრთხილე და, საბოლოოდ, მცდარი გადაწყვეტილება — ხელნაწერი დაიწუნეს. სამი წლის დაძაბული შრომა ამოი გამოდგა. გულგატეხილმა ავტორმა ხელნაწერი დღემდე შეაგდო და დაწვა. მეორე მტანჯველი ფიქრები აღედგრა: კაცს, რომელსაც არასოდეს არ შეუღია არა თუ უნივერსიტეტის, არამედ საშუალო სკოლის კარებიც კი, შეუძლია გახდეს მწერალი? სულიერი კრიზისიდან პ. ლორია გამოიყვანა მ. გორკის „ჩემი უნივერსიტეტების“ გადაკითხვამ. მას ისევ დაუბრუნდა რწმენა და ხელახლა შეუდგა იმავე რომანზე მუშაობას.

გამოუქვეყნებელ ჩანაწერში „ჩემი წი-

გნების ისტორია“ პარმენ ლორია თავის თაობაზე წერს: „დავჯექი, დავავიწყდი ქალაქი, მოვამზადე საწერ-ქაღაღები, ვიკეტე კარები და დავიწყე წერა. ისევ ვწერ, იავე „ჩაი“ ჰქვია ჩემს ნაწარმოებს, მაგრამ იცვლება შინაარსი. ვწერ უფრო მშრალად, ნაკლები გროტესკითაა შიგ. არ მოწონს, მაგრამ მაინც ასე ვწერ, იმიტომ რომ ჩემს მსახულებს ასეთი ნაწარმოები უფრო მიაჩნიათ პოლიტიკურ ნაწარმოებად, ვწერ დღე და ღამე, ვწერ სხვისი გამოვლენების მიხედვით. მინდა მიიღონ დასაბუქად და შემდეგ შეიძლება სხვა ხერხს მივმართო“. ამჯერად მწერალს მართლაც გაუმართლდა — ხელნაწერი მიიღეს და გამოცემის პროცესში ავტორმა მასში მნიშვნელოვანი ცვლილებანი შეიტანა — უფრო მხატვრული გახდა იგი. წიგნი დაიბეჭდა. მაგრამ აღმოჩნდა ახალი დაბრკოლებანი და მკითხველმა იგი მხოლოდ 1937 წლის მარტში მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა ამ რომანის მეორე, უკანასკნელი ნაწილიც.

ეს იყო პარმენ ლორიას პირველი დიდი გამარჯვება. რომანმა არაჩვეულებრივი პოპულარობა მოიპოვა. მას გამოეხმაურა ლიტერატურული და პარტიული პრესა, დაიბეჭდა შოლვა დადიანის, პანტელეიმონ ჩხიკვაძისა და სხვ. რეცენზიები. ყველანი აღიარებდნენ მწერლის უღაბო ნიჭს, რომანის ღირსებებს და ამავე დროს პირუთვნელად მიუთითებდნენ ნაკლოვანებებზეც. მწერლებს არც მკითხველები ჩამორჩნენ. მათ რომანის ავტორს გამოუგზავნეს უამრავი წერილი, რომლებშიც გამოხატეს თავისი აღფრთოვანება და ამავე დროს ფრიად საყურადღებო შენიშვნებიც გამოთქვეს.

ცნობილი ქართველი ბელეტრისტის პ. ჩხიკვაძის აზრით, „ჩაის“ წარმატება განაპირობა მწერლის რეალიზმმა, ცოცხალი, ჰუმანიტარული ადამიანური ხასიათების შექმნის უნარმა და ცხოვრების ღრმა ცოდნამ. „პარმენ ლორიას რომანი „ჩაი“, — წერდა იგი, — სინამდვილის რეალისტური აღწერით არის საინტერესო, სიანს, ავტორი საფუძვლიანად იც-

ნობს აჭარის ძველსა და ახალ ცხოვრებას. მისი რომანის გმირები ნამდვილი ადამიანები არიან. მათ აქვთ საკუთარი სიხარული და მისწრაფებანი.¹ შემდეგ პ. ჩხიკვაძე განიხილავს ფერიდეს, გოლკოვის, ნიორაძის მხატვრულ სახეებს და ქებით იხსენიებს მწერლის ოსტატობას. რეცენზენტს მოსწონს რომანის ენაც, თუმცა მიუთითებს ზოგიერთ ენობრივ შეცოდებაზეც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საბჭოთაო მწერლის შალვა დადიანს რეცენზიას „ჩემი შენიშვნები“, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა. ეს იყო პარმენ ლორიას, როგორც ნიჭიერი ბელეტრისტის, აღიარება. შალვა დადიანი წერდა, რომ „ხალხი იცნობს პ. ლორიას. როგორც ბელეტრისტს, დრამატურგს, იუმორისტს, იგავ-არაკების მწერალს და უყვარს იგი“. საკუთრივ „ჩაის“ რომ განიხილავდა, რეცენზენტი აღნიშნავდა რომანის მთელ რიგ ღირსებებს, მათ შორის ჩასიათების სიმართლეს და მკაფიობას. აჭარის ძველი და ახალი ცხოვრების კარგ ცოდნას, სიუჟეტის საინტერესოდ განვითარებას, ღრმა რეალიზმს და მიაჩნდა, რომ „პ. ლორიას წიგნი არის კარგად დაწერილი ბელეტრისტული თხზულება“, რომ „ეს უსათუოდ კარგი, გამოსადევნი და სასარგებლო წიგნი“² ლიტერატურული კრიტიკის მეტი ყურადღების ღირსი იყო.

ახალი დიდი გამარჯვება მოუტანა მწერალს რომანმა „დედი მურადი“, რომელიც 1939 წელს გამოვიდა. შეიძლება თამამად ითქვას, იგი არის ყველაზე საუკეთესო ნაწარმოები, რომელიც კიდევმდე შეუქმნია პარმენ ლორიას. „დედი მურადი“ გვხმობავს არა მარტო ფართო იდეური დიპაზონით, არამედ მხა-

ტვრული სრულყოფითაც დიდ დამატარჩევა მწერლის მთელ შემოქმედებაში და ძლიერ დასაანია, რომ ჩვენი ქვეყნის იატუოული კრიტიკა არც კი ასესხებს მას. სამაგიეროდ იგი თავიდანვე შეიყვარეს მკითხველებმა, რომლებიც მადლობით აღსავსე წერილებს უგზავნიდნენ მწერალს, უზიარებდნენ თავის შთაბეჭდილებას, გულახდილად ესაუბრებოდნენ რომანის ღირსება-ნაკლოვანებებზე. წერილების ახალი ნაკადი გაჩნდა მას შემდეგ, რაც „დედი მურადი“ რუსულად ითარგმნა. ვინ იცის, საიდან არ იღებდა პარმენ ლორია მკითხველთა ბარათებს — რუსეთიდან, უკრაინიდან, ყირგიზეთიდან, სომხეთიდან, ჩვენი დიადი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხიდან. შორეული ფრენება ხორცი საკონსერვო ქაახნის სამმართველოს კომსორგი ლ. პოპოვა კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სახელით დიდ მადლობას უხდოდა მწერალს და სწერდა: „წიგნი ძლიერ მოგვეწონა. ძალიან კარგად არის ასახული აჭარის ღარიბთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს ქვეყანაში ათასობით ისეთი შენაანიშნავი ადამიანია, როგორიც ანდრო, მურადი, ნაილე“. ახალგაზრდა მასწავლებელი თ. გენებაშვილი, რომელიც საგარეჯოს რაიონის ხეცსურებით დასახლებულ სოფელ ფიჭვიანის დაწყებით სკოლაში მუშაობდა, ისეთ ძლიერ სულიერ ნათესაობას გრძნობდა „დედი მურადის“ გმირებთან, რომ ბელეტრისტს სწერდა: „მთელი სულითა და გულით ანდროსთან, ნაილესთან და მის ძამია მურადთან ვარ და თავს ისევ ვგრძნობ, თითქმის მათი სოფლის მასწავლებელი ვიყო და მათთან ერთად ვიბრძოდე ამ მივარდნილი სოფლის კეთილდღეობისათვის“.

განსაკუთრებით მოეწონათ მკითხველებს კომუნისტ ანდრო ბერტაძის მხატვრული სახე. „თქვენს მიერ დამაჯერებლად აღწერილი ბოლშევიკი ადამიანი ერთ-ერთ სრულყოფილი გმირია არა მარტო თქვენი შემოქმედების, არამედ ქართული ლიტერატურისაც, — სწერდა პ.

¹ პ. ჩხიკვაძე, რომანი „ახალ აჭარაზე“ („ლიტერატურული საქართველო“, 15/VI, 1937 წ.).

² შ. დადიანი, ჩემი შენიშვნები („ლიტერატურული საქართველო“, 20/IX, 1939 წ.).

ლორის თბილისელი პედაგოგი ა. აგლაძე. — მისთვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის. სიყვარულშიც შესანიშნავ ზომიერებას იცავს. შეუთრგეველია მტრების მიმართ და გულისხმიერი აღმზრდელი კადრების. ამავე შეხედულებას გამოთქვამდა ჟურნალისტი არჩილ კოკლაშვილი: „შესანიშნავადაა გამოყენებული ბოლშევიკ ანდროს ტიპი. მასში განსახიერებულია რაც კი უნდა ახასიათებდეს თვითმუშა კომუნისტს... მომხიბვლელია ანდრო თავისი ჭეშმარიტად ნათელი, მტკიცე და შორსმჭვრეტელი თვისებებით. კარგად არის მოცემული მისი, როგორც ბოლშევიკის, ბრძოლა კლასობრივ მტრებთან, მისი შემოქმედებითი მუშაობა აჭარის ერთ-ერთი პატარა, ჩამორჩენილი და სიბნელით შოცხვლი სოფლის ასაღორძინებლად, ხოცებისა და მოლა-ბეგების გავლენის ქვეშ მყოფ ღარიბ-ღატაკ გლეხთა გასათვითცნობიერებლად, მათ დასარაზმავად თავისი მხავერდების წინააღმდეგ საბრძოლველად“. ფარცხანაყანბელი დიასახლისა თ. აფრიდონიძე მწერალს ეკითხებოდა, თქვენ თვითონ ხომ არა ხართ ანდრო ბერტაძე, ალბათ, ხართ, თორემ ასე კარგად ვერ დახატავდით მის მხატვრულ სახესო და, ბოლოს, წერს: „განა თქვენი წიგნის გმირი ანდრო თავისი ყველა მოქმედებით ცხადად არ გვიმტკიცებს, თუ როგორი უნდა ვიყო ყველასადმი, რომ გავარკვიოთ ის ამა თუ იმ საკითხში და აწორ გზაზე დავყენოთ?“

ასე წერს უკლებლივ ყველა მკითხველი — ქართველი და რუსი, უკრაინელი და ყირგიზი და, მამასადამე, ნაწარმოების მთავარ გმირადაც ანდრო ბერტაძე მიიჩნის. ალბათ, ამან აიძულა მწერალი ახალი გამოცემისას გამოეცვალა რომანის სათაური და „დელი მურადის“ ნაცვლად მისთვის ეწოდებინა უფრო ზოგადი, მოვლენის აღმნიშვნელი „განთიადი ხევში“. ერთი შეხედვით, ეს უბრალო ფაქტია, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. მწერალი ფიქრობდა, რომ რომანში მთავარი იყო მურადი და მისი თავგადასავალი, მკითხველებმა კი რამდენადმე გა-

ნსხვავებულად წაიკითხეს რომანი და უპირატესობა მიანიჭეს ანდრო ბერტაძეს, როგორც ადამიანს, რომელსაც მძლავრად გამოვლინდა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი. მისი მზრუნველობა და გულისხმიერება მილიონობით მშრომელისადმი. საგულისხმოა, რომ რომანი ასევე გაიგო ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამაც, რომელმაც დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიაქცია ყურადღება პ. ლორის „დელი მურადს“.

აი როგორ ახასიათებს. მავალითად, ანდრო ბერტაძის მხატვრულ სახეს, პროფ. აკაკი თოფური: „კომუნისტის ერთ-ერთი საინტერესო დასამახსოვრებელი სახეა ანდრო ბერტაძე პარზენ ლორის რომანიდან „განთიადი ხევში“. რომელიც შევლულია¹ სახელწოდებით ჯერ კიდევ ომამდე გამოქვეყნდა... ნაწარმოებში ჩვენს თვალწინ თანდათან ყალიბდება სახე მტკიცე და ძლიერი ხეობისყოფის მქონე კომუნისტისა, რომელმაც შეძლო ძნელ ვითარებაში პარტიის წევრობის საპატიო სახელწოდების ღირსეულად დაცვა... ბერტაძე იყო წყაენარაში ჩასული პირველი მედგარი კომუნისტი, რომელმაც თავისი ენერგიული მუშაობით შეძლო ნათელ და სწორ გზაზე დაეყენებინა ცრუმორწმუნეობისაგან გაჩანაგებული სოფლის ღარიბი მოსახლეობა, მზის სინათლეზე გამოეყვანა ბნელში მყოფი აჭარელი ქალები, თვლები აეხილა მათთვის და ჩაეყენებინა კომუნისმის მშენებელთა მოწინავე რიგებში... იგი შეუთრგეველია სიბნელებთან ბრძოლაში, სასტიკად ილაშქრებს ყველა იმან წინააღმდეგ, რომლებიც შემარიგებელ პოლიტიკას ქადაგებდნენ და მოვებისა და ხოცების შიშით ქედს ისრიდნენ დაბრკოლებების წინაშე... ბერტაძისათვის, როგორც კომუნისტისათვის, დამახასიათებელია დაწმუვნების არაჩვეულებრივი ძალა, არგუმენტაციის სიმარტივე და სიცხადე, რკინისებური

¹ კალნის ლაფსუსია. უნდა იყოს „დელი მურადი“ (შ. ქ.).

ნებისყოფა. ყველაზე ნიშნული თვისება, რომლითაც ბერტაძე გამოირჩევა, — ეს არის რევოლუციური სიფიზილე და პოლიტიკური გამჭრიახობა... მოვლენებში სწორად გარკვევის უნარი და ფიზიკური ალღო ბერტაძეს სწრაფად უხევეს სახელს.¹

თუ „ჩიარ“ და „განთიადი ხევში“ ასახავდა საბჭოთა აჭარის მშრომელთა ცხოვრებას, მესამე რომანს „მევლუდი“ გადავყავართ არც თუ შორეულ წარსულში — ჩვენი საუკუნის ათიან წლებში, როცა ხალხი გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ნაწარმოების თემა პ. ლორიას შთააგონა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დ. კლდიაშვილის შემუშარება „ჩემი ცხოვრების გზაზე“, სადაც მწერალი ახსენებს მეკლუდ დიასამიძეს და ზოგადად გეაცნობს მის პიროვნებას. რამდენადაც მეკლუდი და მისი თანარაზმელები გამოხატავდნენ ხალხის სტიქიურ პროტესტს უსამართლობის გამო და მისწრაფებას თავისუფლებისაკენ, პ. ლორია ძლიერ დაინტერესდა „ქედელი ყაჩაღის“ პიროვნებამ და ენერგიულად შეუდგა მისი ცხოვრების შესწავლას. სპეციალურად წავიდა მეკლუდის სოფელში, ინახულა მისი მეზობლები, ნათესავები, გაიცნო ცოლის ნათესავები და, ბოლოს, იპოვა მეკლუდის შვილი ადამიკ. ასე დაიწერა რომანი, რომელსაც საფუძვლად დაედო ხალხში გაგონილი ნამდვილი ამბავი. მწერალმა შეთხზა მხოლოდ ნუკრიას მხატვრული სახე და მის ირგვლივ შექმნილი ინტრიგები. რომანი გამოვიდა დიდი სამამულო ომის წინ—1941 წლის მარტში და თავისი გმირული სულისკვეთებით სავსებით დაემთხვა დროის მოთხოვნილებას, რამაც დიდად შეუწყო ხელა მის არაჩვეულებ-

რივ პოპულარობას. „ახლა თქვენი წილია, ლუდები, ერმილეები, ნუკრიები, ილინები, ისმაილები, ზონდაძეები, მჭედლები და სხვები, — წერდა პ. ლორია — მისი ლისელი პენსიონერი აზრამ გრიგორიანი, — გმირულ ბრძოლას უმართავენ საზიზღარ მწესს, კაცობრიობის უბოროტეს მტეხს — გერმანელი ფაშისტების ბახდებს პარტიზანთა სახელით“.

„მევლუდმა“ კიდევ უფრო შეაყვარა ქართველ მკითხველს აჭარა და მისი მოწინავე ადამიანები, ხოლო მწერალს საბოლოოდ დაუმკვიდრა ამ კუთხის საუკეთესო მხატვრის სახელი. „მწერალ პ. ლორიას, — წერს კრიტიკოსი ბესო ქლენტი, — ქართველი მკითხველი იცნობს რომანებითა და მოთხრობებით აჭარის თანამედროვე საბჭოთა ცხოვრების, აგრეთვე რევოლუციური წარსულის თემებზე“.¹ და მართლაც, პ. ლორიამდე არავის ასე სრულად და ფართოდ არ აუსახავა ქართულ ლიტერატურაში აჭარა და მისი ადამიანები. ეს შეხედულება კიდევ უფრო განამტკიცა მეოთხე რომანმა „საუკუნის დაბადება“, რომელიც ბათუმის მუშათა ცხოვრებასა და რევოლუციურ ბრძოლას მიეძღვნა. მასში ცენტრალური ადგილი უკავია 1901-1903 წლების ცნობილ ამბავს ბათუმში. რომანს ჰქონდა არსებითი ნაკლოვანებანი. მაგრამ ამის მიუხედავად, წერდა დოც. ალ. ჩავლეიშვილი, „საუკუნის დაბადება“ ძირითადად სოციალისტური რეალიზმის მეთოდით დაწერილი ნაწარმოებია, რომელიც სწორად ასახავს იმ რევოლუციური ბრძოლების ისტორიას, რომელსაც ახალგაზრდა სტალინის ხელმძღვანელობით ბათუმის მუშები აწარმოებდნენ თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ“.²

¹ პროფ. ა. თოფურია, კომუნისტის სახე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. 1956 წ., გვ. 25-27. უფრო დწვრილებით იხ. შ. ქურიძე, რომანი ახალ ადამიანებზე („ლიტერატურული წერილები“, 1955 წ., 79-116).

¹ ბ. ქლენტი, ბათუმის თეატრის სპექტაკლების შეახებ („ზარია ვოსტოკა“, 24/VI, 1951 წ.).

² დოც. ალ. ჩავლეიშვილი, „საუკუნის დაბადება“ („საბჭოთა აჭარა“, 2/III, 1946 წ.).

მკითხველებთან ერთად ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესა პ. ლორიას მორიგ რომანს „ნაირა“ და იგი ერთსულოვნად აღიარეს მწერლის ახალ თვალსაჩინო შემოქმედებით გამარჯვებულ. „კომუნისტის“ რეცენზენტი ა. ჯაფარიძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ნაწარმოები“ ინტერესით იკითხება¹ და გამსჭვალულია პატრიოტული სულისკვეთებით. ამავე აზრისა იყო მწერალი-ჟურნალისტი ილია რურუა. „ნაირა“, — წერდა იგი, — მწერლის უდაო შემოქმედებითი გამარჯვებაა. წიგნი დაწერილია პოლიტიკური სიმახვილით, დღევანდლობის გრძნობით² ვრცელი რეცენზია გამოაქვეყნა გაზ. „საბჭოთა აპარაში“ ჟურნალისტმა აკაკი შონიამ (ა. ქარუმიძის ფსევდონიმით). მისი აზრით, „ნაირა“ წარმატება მარტო თემატიკის აქტუალობით არ აიხსნებოდა. „მთავარი და გადაწყვეტი ის არის, რომ ავტორმა შეძლო სწორად გაეშუქებინა თემა, შეექმნა პოლიტიკურად მახვილი და იდეურად საკმაოდ გამართული საინტერესო ნაწარმოები“³ მაღალი შეფასება მისცა რომანს აგრეთვე ნ. კუპრაევამ ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე.⁴

„ნაირას“ შემდეგ პ. ლორიამ გამოაქვეყნა ახალი დიდი რომანი „ტალღები“. იგი ვრცლად განიხილა დოც. ალ. ჩაველიშვილმა. „ბელეტრისტ პარმენ ლორიას ახალ რომანში „ტალღები“, — წერდა კრიტიკოსი, — ასახულია ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოპარაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდი — 1918-1921 წლები, როცა

საქართველოს მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ემბოცი-
ლად იბრძოდნენ ქართველი ხალხის
ზიზლარი მტრების — მენშევიკებისა და
ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების
ბატონობის დასამხობად.¹ რომანის მო-
ქმედება ძირითადად იშლება ბათუმსა და
აჭარაში და იმ პერიოდის თითქმის ყვე-
ლა ასე თუ ისე მნიშვნელოვან მოვლენას
ასახავს. ეს. რა თქმა უნდა, კარგია, მაგ-
რამ „ტალღები“ მხატვრულად ძლიერი
ნაწარმოები არ არის, რადგან, როგორც
სამართლიანად შენიშნავდა დოც. ალ.
ჩაველიშვილი, „ზოგჯერ მწერალი მხატვ-
რულად კი არ ასახავს მოვლენებს, არა-
მედ პუბლიცისტურად, ე. ი. არა მხატვ-
რული სახეების საშუალებებით, არამედ
ცნებებისა და ლოგიკური კატეგორიების
ფორმაში. სხვათადაც რომ ვთქვათ, მწე-
რალი თავიდან ბოლომდე თანმიმდევ-
რულად ვერ იცავს და ზოგჯერ ლა-
ტობს სახეობრიობის პრინციპს“. ასეთივე
ნაკლი ჰქონდა „ალისფერ დილასაც“,
რომელშიც მწერალმა სცადა აესახა საბ-
ჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი გერ-
მანულ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

1952 წელს პარმენ ლორიამ სამი თვე დაჰყო კიათურაში, სწავლობდა ამ ქალა-
ქის მუშათა რევოლუციურ წარსულს და
აქმყოს. გაიცნო მუშები, ინჟინრები,
ძველი რევოლუციონერები, იყო მალა-
როებში და ორი წლის შემდეგ (1954 წ.)
გამოაქვეყნა პირველი რომანი კიათუ-
რელ მუშებზე „მალაროებში“. რომანმა
ფართო გამოხმაურება, პოლემიკაც კი გა-
მოიწვია ჩვენს პრესაში. ცნობილი ქართ-
ველი კრიტიკოსი სერგი ჭილაია ამ რო-
მანის შესახებ წერდა: „საინტერესოა
მწერალ პ. ლორიას ახალი რომანი „მა-
ლაროებში“. ავტორმა ამოცანად დაისახა
ეჩვენებინა საქართველოს ერთ-ერთი
მსხვილი სამრევლო ცენტრის — კია-
თურის მალაროელთა ცხოვრება და
შრომა. რომანის ცენტრშია ლევან ჭელი-


1 ა. ჯაფარიძე, შემოქმედებითი წინსუ-
ლა („კომუნისტი“, 27/II, 1952 წ.).

2 ი. რურუა, მწერლის შემოქმედები-
თი გამარჯვება („ლიტერატურა და ხე-
ლოვნება“, 27/VI, 1952 წ.).

3 ა. ქარუმიძე, პარმენ ლორიას რომა-
ნი „ნაირა“ („საბჭოთა აპარა“, 13/VIII,
1952 წ.).

4 ნ. კუპრაევი, პ. ლორია, „ნაირა“ (ჟუ-
რნალი „მნათობი“, № 4, 1952 წ.).

1 დოც. ალ. ჩაველიშვილი, ინგლისელ
იმპერიალისტთა მამხილებელი რომანი
„საბჭოთა აპარა“, 7/VII, 1953 წ.).



ძის სახე. ამ გმირის ბიოგრაფიაში ისახე-
ბ. ჭიათურელ მალაროელთა შრომისა და
ბრძოლის სახელოვანი ისტორია... ავ-
ტორი ღრმად გვიჩვენებს ჭია-
თურელ მალაროელთა მამიე ცხო-
ვრებას რევოლუციამდე წლებში, რო-
ცა მალაროები ამერიკის აქციონერულ
საზოგადოებებს კუთვნოდა.¹ ეს შეხე-
დულება ბოლომდე არ გაიზიარეს ნ. წე-
რეთელმა „ლიტერატურულ გაზეთში“²
და პ. ჭიკაძემ და შ. ჩაჩანიძემ „კომუ-
ნისტი“³. მათი აზრით, რომანი სრულ-
ყოფილად ვერ ასახავს ჭიათურელ მე-
შათა ცხოვრებას, აქვს სერიოზული ნაკ-
ლოვანებანი. ყველაზე მკაცრად რომანს
მანც ჩვენი საყვარელი მწერალი აკაკი
ბელიაშვილი მოეკიდა. მართალია, მან
ძლიერ კარგად დაახსიათა პ. ლორია,
როგორც მწერალი, აღნიშნა რომანის ბე-
ვრი ღირსება, ავტორის „გასაოცარი ოს-
ტატობაც“ ზოგიერთ ეპიზოდში, მაგრამ
საერთოდ ნაწარმოები არ მოიწონა.⁴
ამას მოჰყვა პარმენ ლორიას პასუხი
„ერთი გულახდილი საუბრის გამო“.⁵
ჩვენი ამოცანა ამჟამად არ არის განვიხი-
ლოთ ამ პოლემიკის ცალკეული დებუ-
ლებანი, ეს შორს წავიყვანდა. აღვნიშ-
ნავთ მხოლოდ, რომ მან გარკვეული სა-
რგებლობა მოიტანა, რამდენადაც აღძრა
ზოგიერთი პრობლემა, რომელთა სწო-
რად გადაწყვეტას ცოტა მნიშვნელობა

არღი აქვს ჩვენი ლიტერატურის შეფასე-
ვაში ბედისათვის.

მუშათა ცხოვრებას ასახავს პარმენ
ლორიას დილოგია „შვილები“, მაგრამ
ამჯერად მწერალი ისევ მოუბრუნდა თა-
ვის საყვარელ აჭარას და რომანის მოქ-
მედება გაშალა პირველი ხუთწლედის
ერთ-ერთი პირობის—ხათუმის ნათობგა-
დასამუშავებელი ქარხნის მშენებლობის
ფონზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის
ამ საწარმოსა და მისი ადამიანების თა-
ვისებური მხატვრული ისტორია. რო-
გორც ყოველთვის, მწერალი ამ რომან-
შიც ახერხებს ადამიანთა ბიოგრაფიაში
გამოხატვის მოვლენათა არსი, ერთმა-
ნეთს განუყრელად დაუკავშიროს ადამი-
ანი და მოვლენა, ერთ განუყოფელ
მთლიანობად აქცავს ისინი. სწორედ
ამით ახდენს იგი ძლიერ გავლენას მკით-
ხველზე. დოც. ნ. დუმბაძე, „შვილებს“
რომ განიხილავდა, ხაზგასმით აღნიშნავ-
და ამ მოვლენას. „სწორი ტენდენციაა რო-
დია, — წერდა იგი, — როცა მწერალია
შრომის პროცესს გვიჩვენებს განცალ-
კევებულად, ადამიანის სულიერი ცხოვ-
რებისაგან დამოუკიდებლად. ადამიანის
ფსიქოლოგია, მისი ხასიათი სწორედ
შრომში იქმნება. ამიტომ საქმე, რომე-
ლსაც ის აკეთებს, განსაზღვრავს არა
მარტო მის ადგილს ცხოვრებაში, კოლე-
ქტივში, არამედ მძლავრ ზეგავლენასაც
ახდენს მის სულზე, მის ინტიმურ
გრძნობებზე“.¹ კრიტიკოსი რომანის უმ-
თავრეს ღირსებას სეღავდა იმაში, რომ
ავტორი ასე არ მოქცეულა და ადამიანის
პირადული და საზოგადოებრივი
ცხოვრება გააერთიანა, ერთ მთლიანობად
აქცია. ამის მაგალითად იგი ასახელებს
აჭარელი გოგონას თუთიას, რამენა და ეს-
მა ცისკარიძეების და სხვათა მხატვრულ
სახეებს.

თავისი ცხოვრებისეული და მხატვ-
რული სიმართლით, ბევრი საპირბორო-
ტო პრობლემის აღძვრით და მათი გადა-
წყვეტით საბჭოთა მორალის შესაბამისად

¹ ს. ჭიათურა, ავსახოთ მუშათა ცხოვ-
რება („ზარია ვოსტოკა“, 14/IV, 1954
წ.).

² ნ. წერეთელი, რომანი სერიოზული
ხარვეზებით („ლიტერატურული გაზე-
თი“, 4/III, 1955 წ.).

³ პ. ჭიკაძე, შ. ჩაჩანიძე, შენიშვნები
პ. ლორიას რომანზე „მალაროებში“
 („კომუნისტი“, 16/I, 1954 წ.).

⁴ ა. ბელიაშვილი, გულახდილი საუბა-
რი („ლიტერატურული გაზეთი“, № 5-6,
1957 წ.).

⁵ პ. ლორია, ერთი გულახდილი საუბ-
რის გამო („ლიტერატურული გაზეთი“,
№ 18, 1957 წ.).

¹ ნ. დუმბაძე, რომანი ახალ ადამიანებ-
ზე („საბჭოთა აჭარა“, 29/VI, 1957 წ.).



„შვილებმა“, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მკითხველზე. „თქვენს წიგნებში, — წერდა პ. ლორიას ახალციხელი მკითხველი ქ. მაისურაძე, — განმტკიცებულია სამშობლოს სიყვარული, შრომა, მეგობრობა, კეთილდამიანობა. როგორი ტიპის ადამიანმაც არ უნდა წაიკითხოს თქვენი წიგნი, არ შეიძლება, რომ გამოსწორების გზას არ დაადგეს, რომ მაგალითი არ მიიღოს. პირადად მე „შვილების“ წაკითხვის შემდეგ გავმგზავრე და მოვიყვანე ოჯახში ჩემი მახლიშვილი პატარა ელდარი, რომელიც დედას ერთი წლის წინათ ობლად ღარჩა“. ასევე გულს ჩასწვდომია პ. ლორიას რომანი თბილისელ თ. ციხისელს. „როცა დავკარგე უკანასკნელი ძმაც, — წერს იგი, — მივატოვე კინოც, თეატრიც, წიგნებიც და გავხდი არარაობა. მე ვიყავი დიდი კოცონის შემდეგ დარჩენილი ფერფლი, რომელიც ელოდა მცირე ნიავს, რომ აღვეცილიყო დედამიწის პირისაგან და წაშლილიყო ჩემი ცხოვრების კვალი. დღეიდან კი ახალ ცხოვრებას ვიწყებ“. პარმენ ლორიას შეუძლია კმაყოფილი იყოს, რომ თავისი ნაწერებრთ ასეთ ძლიერ ზეგავლენას ახდენს მკითხველთა ბედზე. გარკვეულ მხატვრულ ოსტატობასთან ერთად, აქ გადამწყვეტია მწერლის კომუნიკატური მსოფლმხედველობა, მისი თხზულებების მაღალი იდეურობა, უმჭიდროესი კავშირი ზალხთან, ზალხის ჰიროსა და ლხინის ღრმა ცოდნა, ნაწერის უბრალოება და სისადავე. იგივე თ. ციხისელი ერთ-ერთ წერილში პ. ლორიას სწერს: „რადგან თქვენს ნაწერებს მალე ვიკებ, იგი გულს ხვდება, ჩემს შეხედულებებს, ფანტაზიებს

ხშირად ვხვდები თქვენს ნაწერებს და შეესანიშნავადა „დაკერილი“ და „მწერალი“ მუღი მწერლისა და მკითხველის განუყოფელი სულიერი ნათესაობა, ახსნილია პ. ლორიას პოპულარობის უმთავრესი მიზეზი.

პარმენ ლორიას ეკუთვნის აგრეთვე რომანები — ავტობიოგრაფიული „დაზგიდან დაზგამდე“ (იგივე „გზები და ბილიკები“), „ჩემი პატარა ოჯახი“, რომელიც როგორაც შეუმჩნეველი დარჩა, და, ბოლოს, „საიმედო მომავალი“. ამავე დროს იგი ბევრი მოთხრობის ავტორიცაა. ასე რომ, მწერალი ფრიად ნაყოფიერია; მისი ნაწერები ერთად რომ შეგვეკრიბა, ალბათ, ათობით სქელტანიან ტომს შექმნიდა. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი არ არის ერთი ღირსებისა და, ალბათ, არც არის მწერალი, რომელსაც კარგთან ერთად სუსტი ნაწარმოებაც არ ჰქონდეს. ამიტომ. შემოქმედის ღვაწლისა და ლიტერატურაში მისი წვლილის შესახებ სწორედ საუკეთესო თხზულებებით უნდა ვიმსჯელოთ. ასეთი თხზულებები კი პარმენ ლორიას ცოტა როდი აქვს.

პარმენ ლორიას უმთავრესი დამსახურება ის არის, რომ მან ქართულ ლიტერატურაში „ალმოაჩინა“ ახალი სამყარო — აჭარა და მისი შესანიშნავი ადამიანები, მოგვცა აჭარის ცხოვრების თითქმის სრული სურათი ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟიდან დღემდე. ჩვენი ლიტერატურა ვერასოდეს დაივიწყებს მას, როგორც ამ დიდი საქმის მეყამირეს, მეკვლეს და მუდამ პატივისცემით მოიხსენებს მის სახელს, მის შემოქმედებას.





ვლადიმერ გეგლაძე

პეტრე უმიკაშვილი აჭარელთა მუჰაჯირობის შესახებ

ცნობილმა ქართველმა მწერალ-მა და საზოგადო მოღვაწემ პეტრე უმიკაშვილმა დაგვიტოვა ბევრი საინტერესო ცნობა, რომელიც დღემდე უცნობია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

პ. უმიკაშვილის პირად არქივში (ინახება საქ. მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში), სხვა მასალებთან ერთად, დაცულია მუჰაჯირობისადმი მიძღვნილი გამოუქვეყნებელი მოთხრობა „პატარა ახმეტა“ და სტატია „ბათუმი 8 მარიაშობისთვის, 1879 წელი“. როგორც ამ სტატიიდან ვგებულობთ, ქართველი საზოგადოებრიობა წინასწარ ჰვრეტდა აჭარელთა მომავალ ბედს. იგი ფიქრობდა, რომ აჭარაში რუსეთის ჯარის შემოსვლას შეიძლება მოჰ-

ყოლოდა შეჯახება ადგილობრივ მოსახლეობასთან და ხალხის გადასახლებაც. მაშინ რაღა ნუგეში რჩება ქართველ კაცს, თუ კი აჭარაში სულდგმული არ დარჩებაო, ამბობს პეტრე უმიკაშვილი; ამიტომ საჭირო იყო ადგილობრივ მოსახლეობაში წინასწარი სათანადო ახსნა-განმარტება. ამ მიზნით პეტრე თვითონ ეწვია აჭარას ჯერ 1879, ხოლო შემდეგ 1887 წელს.

პეტრე უმიკაშვილის ზემოთ ხსენებული წერილი აჭარელთა 1879 წლის მუჰაჯირობასა და მის თავისებურებებს ეხება, მეორე დაუთარილებელი სტატია „ბათუმის მოძრაობა-გადასახლება“ კი დაწერილია მუჰაჯირობის შემდგომ პერიოდში.

მაშინდელ პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, რომ 1879 წლის შემოდგომაზე აჭარელთა მუჰაჯირობა ძირითა-

დად შეწყვეტილა, მაგრამ 1880 წლის გაზაფხულზე იგი კვლავ განახლებულა. მუჰაჯირობას განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიუღია 1887 წელს.


აჭარის მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა ოსმალთა ბატონობის პერიოდში შექმნილი პოლიტიკური თუ ეკონომიური მდგომარეობის პირდაპირი შედეგია. ამიტომაც იყო, რომ 1877 წელს პეტრე უმიკაშვილი წერდა: „სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გარემოების მიზეზით, ზოგნი აქედან (ე. ი. საქრისტიანო საქართველოდან — ვ. მ.) გადასულან და ზოგნი იქიდან (ე. ი. სამუსლიმანო საქართველოდან — ვ. მ.) გადასულან“. ავტორის სამართლიანი ვარაუდით, ამ გზით განთავსილი „ზოგიერთი გვარეულობის“ გენეალოგია მთელი მხარის ისტორიად გამოდგებოდა.

ოსმალთა ბატონობიდან აჭარის განთავისუფლების შემდეგ მდგომარეობა იცვლება. ომამდე, ომის დროს და ომის შემდეგ შექმნილი კრიტიკული სიტუაცია აიძულებდა აჭარლებს გახიზნულიყვნენ ოსმალეთში. ამასთან, ოსმალნი და მათი აგენტები მიმართავდნენ ძალას, რასაც თან ერთოდა დაშინების, მოტყუების პოლიტიკა, მოსახლეობას პირდებოდნენ უფასოდ გადაყვანას, ფულად დახმარებას და ა. შ. ბევრიც გაება მტრების ამ მახეში. ასეა გაბრიყვებული „პატარა ახმეტას“ მოქმედი პირი აბდულ-ალა. იგი ცოლს ურჩევს გახიზნონ და თან

დასძენს, სულთნის გემებით ვალთ, „გზაზე პურის ხაზინაში მოგვივა და მერე პურს იქ ქეჩი გვცემენ“. ოსმალეთში წყალობაც არ მოგვაკლდებაო.

თურქოფილები სასტიკად სდევნიდნენ პატრიოტებს და მათ „რჯულისა და ხალხის მოღალატედ თვლიდნენ“. მოსახლეობაში დაბნეულობა შეიტანა იმანაც, რომ რუსეთის ხელისუფლებამა გამოაცხადეს მუჰაჯირობის თავისუფლება სამი წლით, ე. ი. აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრებთ ნება ეძლეოდათ სურვილისამებრ ემოქმედათ — გახიზნულიყვნენ ოსმალეთში ან დარჩენილიყვნენ სამშობლოში.

1879 წლის გაზაფხულზე დაწვრილ ოლქობის მონაწილეთა გადაწყვეტილებით, გახიზნვის საკითხი ყოველ სოფელს დამოუკიდებლად, „თავის ნებაყოფლობით“ შეეძლო გადაეწყვიტა. სოფლის ზოგიერთი გავლენიანი პიროვნება კი აქეზებდა ხალხს და გახიზნვისაკენ მოუწოდებდა. მაგრამ საწინააღმდეგო ძალაც ამოქმედდა. საზოგადოების მოწინავე და შეგნებული წარმომადგენლები ამ ტენდენციას წინააღმდეგობას უწევდნენ. პეტრე უმიკაშვილის მიერ 1879 წლის 6 ნოემბერს ფიქსირებული ერთი ცნობიდან ირკვევა, რომ მუჰაჯირობის მოწინააღმდეგეთა მეცადინეობამ ერთგვარი შედეგი გამოიღო. მაშინ ქვედა აჭარის 1.900 კომლიდან გასახიზნავად ბილეთი 900 თუ 1.000



კომლს აულია. მაგრამ გახიზვნის მსურველნი მალე დარწმუნებულან აგენტურის თვალთმაქცობაში და თურმე „მათგან ბევრი არ გავიდა“ ოსმალეთში.

მუჰაჯირობის გამოძწევვ ფაქტორებს პეტრე უმიკაშვილი ორ ჯგუფად ჰყოფს: პირველ ფაქტორად იგი არასწორ საგარეო პოლიტიკას მიიჩნევს, ხოლო მეორე ფაქტორად — ქვეყნის შინაგან მდგომარეობას. გახიზვნის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მან აგრეთვე მიიჩნია აჭარის მკვიდრი მოსახლეობის უმეცრება, ინტელიგენციის უყოლობა, ძველი ქართული კულტურის დაცემულობა და ა. შ. მუჰაჯირობას ბიძგს აძლევდა საქართველოს მხარეებს შორის სარწმუნოებრივი განსხვავებაც და ადგილობრივი სასულიერო წრეების (ხოჯა-მოლეების) ფანატიკოსობა. ეს კარგადაა ნაჩვენები მოთხრობაში „პატარა ახმეტა“. მოთხრობის მოქმედი პირები აბდულა და მუსტაფა-ალა აჭარაში კარგს ვერაფერს ხედავენ და ხალხს მოუწოდებენ „გავიხიზნოთ, რაღა გვაქვს აქ სანატრელი“.

პეტრე უმიკაშვილი განსაკუთრებით ხაზს უსვამს აჭარლების ეროვნული შეგნების დაქვეითებას. მოთხრობის „პატარა ახმეტა“ მოქმედი პირი აბდულ-ალა აი რას ეუბნება თანამოსაუბრეს: „აქ (აჭარაში — ვ. ბ.) რომ დავრჩეთ, დაგვაკლდება რამე... კია არა, უარესი მოგვივა, რჯული ადგება და ნამუსი, აღარაფერს არ დაინდო-

ბენ, სახლს და ოჯახს დაგვტყუენ. ქალებს აღარ დაინდობენ იცი რაებს ჩადიან ქრისტიანები?!“

პეტრე უმიკაშვილს სწორად შეუნიშნავს ის ფაქტი, რომ მთიანი აჭარის მოსახლეობის ადგილმონაცვლეობის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი მცირემიწიანობაც ყოფილა. „პატარა ახმეტას“ მოქმედი პირი აბდულ-ალა თავის ჯალაბობას გახიზვნის საარგებლიანობას იმიტაც უსაბუთებს, რომ „კარგი მინდვრები იქ (ე. ი. ოსმალეთში — ვ. ბ.) არის“ და უკეთესადაც ვიცხოვრებთო.

აჭარის განთავის უფლებების დღეებში თურქოფილ აგენტებსა და ნიზამებს რუსეთის საწინააღმდეგო აჯანყების მოწყობაც კი უცდიათ. პეტრე უმიკაშვილის 1879 წლით დათარიღებულ ერთ ცნობაში ვკითხულობთ, რომ რუსეთის ჯარის შემოსვლის დროს (1878 წლის აგვისტო) „აჯანყდა ხალხი ქვედა აჭარაში“. ეს არამასობრივი აჯანყება მალე იქნა ნიველირებული, რადგან მას მოსახლეობის უმრავლესობა არ მიემხრო. მიუხედავად ამისა, უცხოეთის პრესა აჭარის „აჯანყების“ შესახებ მაინც ახმაურდა. უმიკაშვილის თქმით, საქართველოს მოსახლეობაც „ავყევით გაზეთების ლაყბობას“ და დავიჯერეთ აჭარელთა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებაო. იმავე წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში აჭარის ცალკეულ ხეობებსა (ტბეთი, ჭვანა) და ქედის სანახებში მოწყობილი

მღვლვარების მიზეზი ოსმალთა აგენტების აგიტაცია და პროვოკაციული მოქმედება გამხდარა (საქ. ცნობა, ან. 10, საქ. 25, ფ. 11).

აჭარელთა გახიზნა მეფის რუსეთის მმართველობის თავისებურებებთან შეუჩვევლობამაც განაპირობა. რუსი მოხელეები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, თითქმის აჭარაში არ იყო მიწის კერძო მფლობელობა და აკრძალეს მიწის ერთპიროვნული გაყიდვა. ამის გამო მოსახლეობის ზედაფენამ დაჰკარგა მიწის კერძო მფლობელობის უფლება. ამავ დროს აჭარიდან ოსმალთა წასვლის შემდეგ შეიცვალა ძველი (ოსმალური) ადმინისტრაციული მმართველობა და ადგილობრივი ზედაფენა ყოველგვარი პოლიტიკური და საშინაო საკითხებრივი საქმიანობიდან იზოლირებული აღმოჩნდა. ე. ი. გამოეცალა ცხოვრება ეკონომიური საფუძველი და დიდების პოლიტიკური უფლებები. ამის გამო გაიზარდა მათი წყრომა და უკმაყოფილება. ამ სიტუაციის პირდაპირი ანარეკლია „პატარა ახმეტაში“ ასახული მდგომარეობა.

პეტრე უმიკაშვილს მხედველობიდან არ რჩება აგრეთვე მუსლიმანური ფანატიზმი. რეაქციონერები ისლამს გახიზნის სასარგებლოდ იყენებდნენ. ამის თაობაზე „პატარა ახმეტაში“ ნათქვამია: „ჩვენ რაღათ უნდა დაუდგეთ ქრისტიანებს — რაღა გვაქვს აქ სანატრელი... ჩვენ გურჯები (ე. ი. მუსლიმანი ქართველები — ვ. მ.) ვართ, ძველად ქრისტიანები ვყოფილვართ, რუს მოგვასვენებენ... ჩვენს ბავშვებს ნათლავენ მათი ხუცები, ქალები გვართმევენ, სახლში სალდათებს შემოგვირეკენ, ოჯახებს გაგვიუპატიურებენ... განა ღმერთი შეგვარჩენს... რჯულის დაგდებას, რჯულის გულისათვის უნდა გავწიროთ ყველა და წავიდეთ მუჰაჯირათ. ღმერთი დიდია, რჯულისათვის, მუჰაჯირათ!“ მუჰაჯირობას ხელს უწყობდა ქართველ ქრისტიანთა ერთი ნაწილის უტაქტი მოქმედებაც. ბევრი მათგანი გაიძახოდა, „აჭარლებს მაშინ მივიღებთ მოძმეებათ თუ ისინი ხელახლა მოინათლებიან, ქრისტიანობას მიიღებენ“. რა თქმა უნდა, ეს გარემოება თურქეთის აგენტურამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა, მაგრამ აჭარის მოსახლეობის ნაწილი თურქოფილები და აგენტურის ამ სიტყვებში „ბევრს უსაფუძვლო მსჯელობას ჰპოვებდა“ და კითხულობდა კიდევ. „რუსი რჯულს რაიზა გამოგვაცვლევინებსო“. ხალხი გახიზვნის პრინციპული წინააღმდეგადად ობიექტურადაც მსჯელობს. „პატარა ახმეტას“ ერთი მოქმედი პირის თქმით, მაშინ „ყირალის (რუსეთის — ვ. მ.) სახელმწიფოში ათი მილიონი მუსლიმანი“ მოითვლებოდა და რჯულს მათ არავინ არ აცვლევინებდა. 1829 წელს რუსებმა „ახალციხე რომ დაიკავეს, მუსლიმანები კი არ გაუქართველებიათ“ (ე. ი. გა-

ბი — ვ. მ.) ვართ, ძველად ქრისტიანები ვყოფილვართ, რუს მოგვასვენებენ... ჩვენს ბავშვებს ნათლავენ მათი ხუცები, ქალები გვართმევენ, სახლში სალდათებს შემოგვირეკენ, ოჯახებს გაგვიუპატიურებენ... განა ღმერთი შეგვარჩენს... რჯულის დაგდებას, რჯულის გულისათვის უნდა გავწიროთ ყველა და წავიდეთ მუჰაჯირათ. ღმერთი დიდია, რჯულისათვის, მუჰაჯირათ!“ მუჰაჯირობას ხელს უწყობდა ქართველ ქრისტიანთა ერთი ნაწილის უტაქტი მოქმედებაც. ბევრი მათგანი გაიძახოდა, „აჭარლებს მაშინ მივიღებთ მოძმეებათ თუ ისინი ხელახლა მოინათლებიან, ქრისტიანობას მიიღებენ“. რა თქმა უნდა, ეს გარემოება თურქეთის აგენტურამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა, მაგრამ აჭარის მოსახლეობის ნაწილი თურქოფილები და აგენტურის ამ სიტყვებში „ბევრს უსაფუძვლო მსჯელობას ჰპოვებდა“ და კითხულობდა კიდევ. „რუსი რჯულს რაიზა გამოგვაცვლევინებსო“. ხალხი გახიზვნის პრინციპული წინააღმდეგადად ობიექტურადაც მსჯელობს. „პატარა ახმეტას“ ერთი მოქმედი პირის თქმით, მაშინ „ყირალის (რუსეთის — ვ. მ.) სახელმწიფოში ათი მილიონი მუსლიმანი“ მოითვლებოდა და რჯულს მათ არავინ არ აცვლევინებდა. 1829 წელს რუსებმა „ახალციხე რომ დაიკავეს, მუსლიმანები კი არ გაუქართველებიათ“ (ე. ი. გა-


უქრისტიანებით) იქ, არამედ ისინი ახლაც ისლამს ემსახურებიანო.

პეტრე უმიკაშვილი 1887 წელს აჭარაში მუჰაჯირობის განახლების მიზეზად თვლის იმას, რომ მეფის მთავრობამ მოისურვა აჭარლების ჯარში გაწვევა. იგი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ მუჰაჯირობის გამოცოცხლება შედეგია „ჯარის გაყვანის საქმისა“. აჭარელთა ჯარში გაყვანა მეფის მთავრობამ ჯერ კიდევ 1878-1879 წლებშიც სცადა. აჭარლებს გახიზვნამდე სურდათ გაეგოთ, რუსეთის ხელისუფლება გაიწვევდა თუ არა ჯარს აჭარიდან, მესხეთ-ჯავახეთიდან „საღდათი გაჰყავთ“ თუ არა რუსეთის არმიაშიო. თურქოფილები აჭარის მოსახლეობას თავის მხრივ „საღდათში“ გაყვანით აშინებდნენ და ურჩევდნენ მუჰაჯირად წასვლას.

ოსმალეთში აჭარელთა გახიზვნის მიზეზების ჩამოთვლის შემდეგ პ. უმიკაშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ იმ დროისათვის საჭირო იყო მოხელეთა სიფხიზლე-

გულშემატკივრობა, მკვიდრთა ენის (ქართულის — ვ. მ.) უგულვებელად კანონის ასრულება, გაუქმებული სასოფლო მეჯლისების განახლება და გადასახადების სოფლებზე წესისამებრ განაწილება.

მოთხრობაში „პატარა ახმეტა“ პ. უმიკაშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ „საზოგადო მდგომარეობა საქვეყნო ჭირის დროს ხშირად ყველას ერთ აზრს ემორჩილება ხოლმე“. რუსეთის მფლობელობაში გადასულ აჭარაში კი ასეთი აზრი იყო — ფიქარი გახიზვნასა თუ დარჩენაზე. საჭირო იყო ყოველგვარი უგუნურებისა და უსამართლობის აღკვეთა. მაგრამ ასე როდი ხდებოდა. მისი შესრულება არც ერთ მოხელეს არ უდვია თავს, თუმცა აჭარის მშრომელმა მოსახლეობამ, სამშობლოს სიყვარულმა საბოლოოდ მაინც დასძლია ოსმალეთში გადახვეწის სურვილი, რაც ქართველ პროგრესულ ადამიანთა დიდი ღვაწლის შედეგიც იყო.



ირაკლი აბაშიძის ახალი ლექსთა კრებული

ირაკლი აბაშიძე, როგორც პოეტი, საბჭოთა ეპოქამ დააფუძნა; ამიტომ ბუნებრივია, მის მხატვრულ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა სოციალისტურმა პატრიოტიზმმა (ლექსების ციკლი „ჰეკატის გურია“, „სიმღერა მკის დროს“, „მონადირის ღამეები“). პოეტი მთელი ხმით უმღერის თანამედროვე გმირულ ცხოვრებას, კოლექტიური შრომის ძალასა და სიდიადეს, საბჭოთა ადამიანის მაღალ მორალურ თვისებებს.

ამ ბოლო დროს ირ. აბაშიძემ შექმნა ლექსების ახალი ციკლი „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელმაც არა მარტო ქართველი მკითხველის სამართლიანი მოწონება დაიმსახურა, არამედ მოძვე ზალხთა დიდი ინტერესიც გამოიწვია და საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

მეტად საგულისხმოა აგრეთვე ლექსების ციკლი „მიახლოება“,

რომელიც „ლიტერატურა და სელოვნებაში“ გამოსცა ამას წინათ. კრებულს წამძღვარებული აქვს ავტორის მინაწერი: „ამ ლექსების ციკლს თავდაპირველად ერქვა „მიახლოება ნახევარ საუკუნესთან“ — ახლა მხოლოდ „მიახლოება“. მიახლოება, მაგრამ არა რაიმე თარიღებთან და საზღვრებთან... თარიღებს და საზღვრებს ადამიანი, ბუნებრივია, უახლოვდება, აღწევს და შემდეგ გადააბიჯებს კიდეც“. ეს პატარა დეტალი ორგანულ კავშირშია წიგნის იდეურ შინაარსთან და ეხმარება მკითხველს ობიექტურად ამოიცნოს მწერლის სანუკვარი იდეალები.

სარეცენზიო წიგნში ირ. აბაშიძე ეყრდნობა ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებს, მაგრამ მაინც ახალი კუთხით აშუქებს მოვლენებს და თავისებური ოპტიმისტური იერით წარმოადგენს ცხოვრების სურათებს. წიგნს წითელ ზოლად გასდევს სამშობლოს უან-

გარო სამსახურის იდეა. პოეტის აზრით, მგოსანს თან უნდა სდევდეს ამქვეყნიური მიწიერი ცხოვრების ვალი:

„ვინ რას დამყვედრის, —

დღევ არ გასულა

მე არ მეცოცხლოს ქვეყნის ხმაურით:

მე გულში მეღო მთელ საგანძურად

ხმა მიწიური, ხმა აქაური“.

მაგრამ ირ. აბაშიძე მაინც კრიტიკულად შესცქერის თავის წარსულს, განვილილ პოეტურ გზას. იგი თითქოს დაუკმაყოფილებელია და აწუხებს ჯერ კიდევ გამოუთქმელი და ლექსად გაუფორმებელი; პოეტს ეჩვენება, რომ შეიძლებოდა უფრო ღრმად ჩაეხედა ცხოვრების ლაბირინთებში და ეთქვა ახალი, ჯერ კიდევ გამოუმხეურებული...

„მაგრამ ვაი თუ სტრიქონს აწინდელს დააკლდეს ჟღერა და ხმოვანება, ლექსი კვლავ ვეღარ გამიყმაწვილდეს, ბგერას არ ჰქონდეს წებოვანება. სიტყვას დაეტყოს აზრის მეტობა, ფერი არ დაჰყვეს მდიდარ მაისის, ენამ დაკარგოს მიაშიტობა, დალი დაეკრას სიღარბაილის. ვაჰ, თუ ლექსს თეთრი გამოეროს, მოახლოებულ ზამთრის დასტურად, სტრიქონს სინედლე გამოელიოს, ვერ მოიღვენთოს ახალგაზრდულად“.

(„მოახლოება“)

მაგრამ არა! ამოაა მგოსნის ეკვი. ლექსთა კრებულის ყოველ სტრიქონში იგრძნობა, რომ პოეტს არ დაჩლუნგებია ჩანგთა სიმები და ჩვენ ვუერთდებით მგოსნის ოპტიმისტურ რწმენას:

„არა, ო, არა, ჩემო ფიქრებო.

ნუშვ გაგვეგონოს ეს საოცრება!“

(„მოახლოება“)

„მოახლოებაში“ ისმის ნაღვლი-

ანი ტონი, „რუსთაველის ნაკვალავის“ მსგავსად მასშიც დაიძვინვარებულ სევდიანი მინორული სტრიქონები („ვერაფერს ქვეყნად ვერ შევწელიე“, „როგორც დათბება“, „შომა“, „პაოლო იაშვილს“, „სული მღერარი“, „ბილიკი მღერის“), რაც იმით აიხსნება, რომ პოეტი თბილი გრძნობით ხატავს წარსულის სურათებს, გარდასულ დღეთა მოგონებებს. მაგრამ ეს სევდა არასოდეს დადის პესიმიზმამდე. იგი ოპტიმიზმის, მომავლის რწმენის ნათელი სხივებითაა გაცისკროვნებული. ლექსში „სული დამცველი“ მგოსანი მტკიცედ მიმართავს თავის მუზას:

„ნუ,

ნუ სდევ ფიქრებს დავიწყებულებს,

დღეს იმ ხმებს,

ძველ ხმებს ნუ აყურადებ.

ნუ არხევ გულზე ძველ ნაწიბურებს.

ნუ ეჭვბ თვალში წაშლილ სურათებს“.

და მართლაც, ირ. აბაშიძე წარმატებით ფერებით წარმოადგენს ახალი ცხოვრების მიმზიდველ სურათებს. სოციალისტური მშენებლობის აღმავლობას, მეცნიერებათა ახალ მიღწევებს, მშვიდობისაკენ მისწრაფებასა და ხალისიან შრომას.

როდესაც ირ. აბაშიძის შემოქმედებას აანალიზებენ, ჩვეულებრივ მიუთითებენ ლირიკულ ლექსებში პროზაიზმების სიჭარბეს. სარეცენზიო ლექსთა კრებული იმითაც არის საინტერესო, რომ მასში ეს ნაკლი თითქმის დაძლეულია და პოეტი გვევლინება როგორც ქართული საბჭოთა პოეზიის დიდოსტატი. „მოახლოებაში“

ოსტატურადაა შეზავებული ლირიკული და პროზაული საწყისები და გაძლიერებულია ემოციური შემოქმედების ძალა.

ირ. აბაშიძე უხვად იყენებს ოსტატურ ფიგურალურ გამოთქმებს, ხოლო ზოგიერთი ლექსი თავიდან ბოლომდე მხატვრული სახეებითაა აგებული ისე, რომ ნაწარმოებს შენარჩუნებული აქვს სისადავე, აზრობრივი სიცხადე. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ლექსები „ბილიკი მღერის“ და „ფერადი შემოდგომა“. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ზოგიერთ მაგალითს:

„იისფერ თოვლის
ვნებიანად
ხიდიდან ცვენა,
შუქი და ბინდი,
ცა დამდნარი
რთვილად და ნამად...
ო, ყველაფერი მას ესმოდა

მუსიკის ენად.

ო, ყველაფერი მას ესმოდა
ერთ გაბმულ გამმად. 
ქრისტეშვილი
გიორგიშვილი

ნეტავ მის სმენას,
ნეტავ იმ ხმებს,
ნეტავ მის ლევას,
ის იყო ღვიძლი
დღეთა მისთა
აზრის და ფერის...
არის დრო ქვეყნად,
როცა მღერის საგანი ყველა,
ყვავილი მღერის,
ცრემლი მღერის,
ბილიკი მღერის..

(„ბილიკი მღერის“)

როგორც ვხედავთ, აქ ყოველი სიტყვა თითქოს ჩუქურთმასავითაა გამოკვეთილი, ხოლო სტრიქონები — საოცარი რიტმით ჩამოქნილი. პოეტი თითქოს კი არ მეტყველებს, არამედ მღერის, ტკბილად ღიღინებს და იზიდავს მკითხველის ყურთასმენას.

პ. ნაცვლიშვილი.

ფიქვები „ზღვის შვილზე“

როცა ალექსანდრე ჩხაიძის „ზღვის შვილის“ კითხვა დავიწყეთ, უნებლიეთ გავგახსენდა ქართველი მარინისტი მწერალი გიორგი ჩიკვაძე. ზღვის თემატიკა ქართული მწერლობის რუკაზე დღესაც თეთრი ლაქებით არის მოხაზული. შეიძლება ითქვას, გიორგი ჩიკვაძე მისი პირველი მეყამირეა. იგი მრავალ წელიწადს სამხედრო კრეისერზე მსახურობდა, ერთ დროს საზღვაო კაპანს მომავალ კონტრადმირალ-

ლებთან სიმონ რამიშვილთან, კონსტანტინე სუხიაშვილთან და სეით კაპანაძესთან ერთად სწევდა. ელიზბარ გოგიტიძე და აბესალომ ზენაიშვილი კი მისი ყოფილი მოწაფეები არიან. მათი პედაგოგის კალამს ეკუთვნის სცენარი კინოფილმისა „ოკეანის დაღუპვა“, მოთხრობები „ბედნიერი ვარსკვლავი“ და „კუნძულ ბელუხასთან“. პირველში ბათუმელი თამაზ ფიქრიანის გმირული თავგადასავალი აგვიწერა, ხოლო მეო-

რეში დავგისბატა ანატოლ ოდიშელის (ანატოლ კაჭარავას) ხომალდ „სიბირიაკოვის“ ეკიპაჟის სიმამაცე ფაშისტურ სახაზო გემთან უთანაბრო ბრძოლაში. შეუძლებელია გულთბილად არ მოვიხსენიოთ მისივე „ოთხი შეხვედრა“, რომლის მთავარი გმირია ზღვაოსნობის დიდოსტატი ელიზბარ გოგიტიძე. ამ მამაცი აჭარელის შრომასა და ბრძოლას გ. ჩიკვაძე გვაცნობს ქართველიშვილის გვა-რით.

და როცა მას აღექსანდრე ჩხაიძის ნაწარმოებს ადარებ, ასე გგონია „ზღვის შვილიც“ ზღვაოსნობის ვეტერანს, თავისი გმირის ბედის თანაზიარ ავტორს შეუქმნია. ეს არის წიგნის პირველი დირსება. დამაჯერებლობა და საგნის ცოდნა მისი თანამგზავრია პირველიდან („აჭყვა ზღვას ერთვის“) უკანასკნელ თავამდე („ყველა გრძელსა და განედზე“). აჭყვასავით დაუღეგარი ელიზბარის საზღვაო ცხოვრება სოფლის მდინარეში თევზაობით იწყება და ოკეანის დამორჩილებით მთავრდება. თავის მიზანს — მხატვრულად აჩვენოს ამ პროცესის მიმდინარეობა — უშტამპოდ, ცხოვრებასთან ორგანულ კავშირში, ავტორი დამაჯერებლად აღწევს. მთავარი გმირის პორტრეტი თავისებურად იკვეთება მრავალი საინტერესო პერსონაჟის (ივანე პაპანინი, ვლადიმერ მარჯანიშვილი, რობერტ ტომპსონი და სხვ.) ცხოვრების აღწერისა და მათთან დაუფიქარი შეხვედრების ფონზე. წიგ-

ნის წაკითხვამ ჩვენ იმის სურვილიც კი აღგვიძრა, მოგვენახა იზბარის ოჯახის ერთ-ერთ-ერთი ლითადი მეგობარი კლიმენტი კარანაძე და მასთან ორსაათიანი საუბარი „ზღვის შვილის“ ნამაზბის ერთგვარ გაგრძელებად წარმოგვედგინა... მათი ცხოვრების დაწვრილებით გაცნობა მკითხველის ბუნებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენს და წიგნის ახალი გამოცემის დროს, ჩვენი აზრით, ავტორმა ეს მხედველობაში უნდა მიიღოს.

აღ. ჩხაიძეს ამალეღვებლად აქვს აღწერილი ელიზბარ გოგიტიძის მამაცობა დიდი სამამულო ომის დროს. როცა ამ ფრაგმენტს კითხულობ, სიამოვნებით გაგონდება ავტორის მიერ ნაწარმოების მთავარი გმირის დასახასიათებლად ნახმარი გამოთქმები: „ზღვა იჭდა ყმაწვილის სხეულში, სულში, თვალეში, სისხლში“... „გოგიტიძის სიტყვას ოქროს ფასი აქვს“ და იგი მან დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დასაგვირგვინებლად გამოიყენა.

ზღვის სიყვარულმა ელიზბარ გოგიტიძეს ყოველგვარი სიძნელე გადააღახვინა, მსოფლიოს საზღვაო გზები ნათელი ჭკუით გააგვლეჩინა და საბჭოთა კავშირის სახელმძღვანელო ზღვაოსანთა რიგებში ჩააყენა. ეს ლაიტმოტივი წითელი ზოლივით გასდევს ამ ნაწარმოებს. მთავარი გმირი ტიპიური, დამახასიათებელი ხდება, ისეთი, როგორიც წიგნში დასახელებული ზოგიერთი ქართველი კაპი-

ტანია და რომელთა სწორი მეტად ბევრი ეგულება საბჭოთა საზღვაო ფლოტს. თუ ვიქტორ ბერშადსკის ლორიკულ რეპორტაჟს „კაპიტანი ქობულეთიდან“ და იური გერმანის ტრილოგიას „ჩემო ძვირფასო ადამიანო“ იმ ფრაგმენტს შევადარებთ, რომელშიც ელიზბარ გოგიტიძის ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდია აღწერილი. შეიძლება თამამად დავასკვნათ, რომ ბათუმელმა მწერალმა უფრო ნათლად და სრულყოფილად დავგვიხატა ალამბრელი გლეხის შვილისა და ჩინებული ზღვაოსნის სახე.

ავტორი გვატყობინებს, ელიზბარის საბუდრიდან კაპიტნობას მიაღწია მისმა ვაჟიშვილმა იურიმ. მეორე შემკვიდრე ევგენი კი საზღვაო

ინჟინრის სპეციალისტად ეუფლებოდა. ოჯახის პირველი ზღვაოსნის მიერ ფუძემდებნი საქმეს მისი შვილები აგრძელებენ. კიდევ რამდენიმე წელი და, ალბათ, „ნაკადულის“ მიერ წლეულს გამოცემული ალ. ჩხაიძის წიგნი „ზღვის შვილების“ სათაურით მოგვევლინება. სასიხარულო მრავლობითია! ესეც ახალისებს მკითხველის ფიქრებს „ზღვის შვილზე“.

ამ დღეებში კი სიამოვნებით შევიტყვეთ, რომ ალ. ჩხაიძე მარინისტული მწერლობის ყამირის გატეხის მორიგ ცდას შესდგომია — წერს ახალ ნაწარმოებს „ზღვა და ოთხი ქალიშვილი“, რომელშიც დიდ სამამულო ომში ამ უკანასკნელთა შემართებას ასახავს.

ი. ჯავახიშვილი.

მხოლოდ რეკლამა

ამ ბოლო წლებში ზედიზედ გამოიცა დოცენტ შ. მეგრელიძის ორი ნაშრომი. პირველის სახელწოდებაა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან“, მეორისა — „აჭარის წარსულიდან“. ეს უკანასკნელი თემატურად პირველის გაგრძელებაა.

ყოველი ახალი წიგნი, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიას გაამდიდრებს, მისასალმებელია და ამ მხრივ შ. მეგრელიძის ნაშრომებიც იმსახურებს ყურადღებას. მათში თავმოყრილი და გაანალიზებულია სავსებისმო მასალები.

ასეთია პირველი შთაბეჭდილება, მაგრამ სამწუხაროდ, დასახელებულ ნაშრომებში უხვადია ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები, ისტორიული მოვლენების გაუბრალოების ტენდენციები.

საილუსტრაციოდ დავასახელებთ მხოლოდ ერთ მათგანს.

ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დამდეგს თურქეთის წინააღმდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში განმათავისუფლებელ მოძრაობას თავკაცობდა იმდროისათვის საკმაოდ გააფთული პოლიტიკოსი და მგზნებარე ქართველი პატრიოტი სელიმ ჰიმშიაშვილი.

შ. მეგრელიძე ნაშრომში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან“ აღნიშნავს, რომ „სელიმ ხიმშიაშვილი დიდი პატრიოტია, სამართლიან განმათავისუფლებელ მოძრაობას უდგას სათავეში, უდაოდ პროგრესული პიროვნებაა“ (გვ. 45), მაგრამ ავტორი, იქვე აბა-

თილებს თავის ამ სწორ მოსაზრებას. ს. ხიმშიაშვილის მოღვაწეობას იგი, შეიძლება ითქვას, უსაფუძვლოდ ყოფს ორ პერიოდად: პირველ პერიოდში (1802 წლამდე) ს. ხიმშიაშვილი პროგრესული მოღვაწეა, ხოლო 1802 წელს იწყება მეორე, რეაქციული პერიოდი. შ. მეგრელიძე ხელალებით აცხადებს, თითქოს ს. ხიმშიაშვილი ამ პერიოდში არაფრით არ განსხვავდებოდა თურქეთის სხვა ფაშებისაგან, რომლებიც ისევე იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის, როგორც სელიმ ფაშაო, ე. ი. ვერ ხედავს განსხვავებას ქართველ პატრიოტსა და სხვა მემამოხეთა შორის. იგი წერს: „პროგრესული მოღვაწეობიდან იგი (ს. ხიმშიაშვილი — ვ. ს.) საბოლოოდ გვევლინება ტიპურ ფეოდალად, რომლის მოღვაწეობაში უარყოფითი მეტი ჩანს, ვიდრე დადებითი. ამრიგად, მეორე პერიოდში სელიმ ფაშას მოღვაწეობაში ვერავითარ პროგრესულს ჩვენ ვერ ვხედავთ“ (ხაზი ჩვენი — ვ. ს.).

ცნობილია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს იმერეთის მეფე სოლომონ მეორე მეთაურობდა. სრულიად ბუნებრივია, რომ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ სოლომონ მეორის მხარეზე აქტიურად გამოდიოდა ს. ხიმშიაშვილიც. მაგრამ მოულოდნელია და საკვირველი, რომ ქართველთა ამ ერთიან პატრიოტულ ბრძოლას ავტორი ს. ხიმშიაშვილის „საქართველოზე გამოლაშქრებას“ უწოდებს (გვ. 31).

შ. მეგრელიძე ისეთ ფაქტსაც კი, რომელიც ს. ხიმშიაშვილის პატრიოტიზმზე მიუთითებს, სრულიად საპირისპირო შეფასებას აძლევს. ამ მხრივ საუკრადლებოა ერთი დეტალი. 1811 წელს იმერეთში აჯანყება დაიწყო, აჯანყებულებს სო-

ლომონ მეორე მიეშველა ახალციხელო მომხრეებით, მაგრამ დამარცხდნენ კვლავ ახალციხეში დაბრუნდნენ. სახეზე შ. მეგრელიძე წერს: „რუსეთის ჯარმა აქტიური მოქმედება დაიწყო, ახალციხეს ალყა შემოარტყა და ს. ფაშას დახმარება სთხოვა. სელიმი დახმარებაზე არ დათანხმდა და ლაშქრობას განუდგა“ (გვ. 38). მკვლევარი ფიქრობს, სელიმი რომ რუსებს დახმარებოდა, ახალციხეში ფაშად დადგებოდა და ამიტომ მისი მოქმედება სრულიად გაუგებარი იყო (გვ. 38). შ. მეგრელიძის აზრით, ამ საკითხზე „დუბროვინის მოსაზრება უფრო მისაღები და სწორია“ (იქვე). საკვირველია, რომ საბჭოთა მკვლევარმა ასე ხელალებით გაიზიარა მეფის ოფიციალური ისტორიკოსის დუბროვინის აშკარად ყალბი შეხედულება.

საქმის ნამდვილი ვითარება ასეთი იყო: ცარიზმის ერთგულმა მხედრებმა ს. ხიმშიაშვილის სოლომონ მეფისა და აჯანყებული იმერეთის წინააღმდეგ მოქმედების ერთიანი გეგმა შესთავაზეს და დიდ ჯილდოს დაპირდნენ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მას პირადად ამ გეგმის უარყოფა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა, ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც ქართველობის ბოლომდე ერთგულ დამცველად დარჩა.

შედეგი ცნობილია. ს. ხიმშიაშვილი თურქებმა უთანასწორო ბრძოლაში დაამარცხეს და 1815 წელს თავი მოკვეთეს, რადგან თურქებისათვის ის მართლაც „არ იყო პროგრესული პიროვნება“. როგორც ასიმilationორების წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი.

წიგნში არის სხვა შეცოდებანიც (მუჰაჯირობის საკითხებზე და ა. შ.), მაგრამ ამჯერად ჩვენ მარტო ეს ერთი საკითხი გვაინტერესებდა და მხოლოდ რეპლიკით ლაქვმაცყოფილდით.

დოც. ვლ. სივინავა.





ნომრების შინაარსი

წინ კომუნიზმია, № 3.
უკვდავი სიმღერა, № 5.

ლექსები, თქმულებები, პოემები

ანაშვილი ე. — იყოს დღეგრძელი, ***
(არა, ლერწამის ღერი არ მინდა...), სა-
ლალბო, შენთვის მინდოდა, № 2.

ანანიძე ალ. — მესტუმრე!, № 4.

ანანიძე ლ. — საღამო ზღვაზე, № 6.

ანთაძე ც. — დრო, № 4.

ართილაყვა რ. — გული, კაცური, № 1;
შოთა რუსთაველს, № 5.

გვარიშვილი ნ. — ქართლის დედა,
რუსთაველის ქუჩა, წიგნი გალაკტიონის,
ლაიგვიაზე, *** (ყვავილს აწვიმს...), დუ-
მილი, უცებ, № 4.

გორგილაძე ზ. — „ნახეს უცხო მოყმე
ცინმე...“, № 5.

ვარშანიძე მ. — ჰაიდარ აბაშიძეს, ჩე-
მი სავანე, და გულა ჩემსას..., № 1; მეს-
ხეთი, № 5; ჩემო სავანე!, *** (მე
აქ...), *** (ზღვის მარილი რომ გარე-
ვია...), მე დავლოცავ..., იყო და მარად
იქნება, № 6.

ზოიძე შ. — *** (მტვერი ავწმინ-
დე...), *** (გაღებულია ყველა სარკე-
მელი...), № 3; *** (ზევით მივიწევთ...),
*** (ყველა იცნება...), № 6.

მაღაზონია ნ. — შოთას, დაე, თქვან,
დილა, № 1; ლენინი, № 3; ოქტომბრის
დროშა, № 6.

მელია ი. — თვითმფრინავიდან, მხო-
ლოდ ღამით, ისიც ერთხელ..., № 2; მე
მდიდარი ვარ, № 5.

მუავია ქ. — ჩვენი პარტია, № 3.

მეტრეველი ბ. — ლხინში (ნაწყვეტი
პოემიდან „დალი“), № 3.

როყვა შ. — სამშობლო, დიდება შენ!,
№ 1.

უშვერიძე ი. — ია, *** (დაღლილი
ჭროლვა...), № 4.

ქათამაძე ჯ. — შოთას, *** (თუმცა
გადახდა), № 3.

შუბლაძე შ. — მიაცილებენ ზეცის ზა-
რები, № 2.

ხალვაში ფრ. — მშობლიური სახელე-
ბი, გეგელიძეები, ზამთარი, ბერთენაში,
ქედაში ხვალ შეგვხვდები, ვანიხვეი, № 2;
ვიტენამის მდინარეები, ლექსი საჩუქრად,
საუბარი მეგობართან, ქება წვიმისა, № 4;
გადარჩენილი უკვადვება (დრამატული
პოემის პროლოგი და ეპილოგი), № 5.

ჩაყელი ჯ. — *** (გამომავლიდან, გრი-
ვალბო...), ჩემი თაობის პოეტებს, № 1;
წარწერები ქვებზე, ეს როდი კმარა, № 4;
გეგებებიან ნათესავნი, თორი თუ ჭაყვი,
№ 5.

თარგმნილი ლექსები

ევტუშენკო ვვ. — შეხედრა კოპენ-
ჰაგენში, *** (რა ბედენაა — გვყავდეს
მკვლევარი...), სე ლა ვი! (თარგმნა გ. სა-
ლუქვაძემ), № 2.

ლერმონტოვი მ. — ესპანური ბალადა
(თარგმნა გ. სალუქვაძემ), № 6.

რზა რ. — უსახელი ლექსი (თარგმნა
ნ. მაღაზონიამ), № 4.

საბაშთინ ალი — ჩვენ ასე დაგვებდა,
რად არ ჯერდები, ვერ გამებდა, სატრ-
ფოვ, კერ დაგვიწყე (თარგმნა ნ. გვა-
რიშვილმა), № 1.

მოთხრობები, ნოველები,

მინიატურები, პიესები

ბენიძე ი. — გზები და გზაჯვარედინე-
ბი, № 1.

გორგილაძე მ. — ნეგობრები, № 3.

ლორია პ. — აღსრულება ანდერძისა,
№ 5.

მიქავა ნ. — ლეგენდა რუსთაველზე,
№ 5.

მოდებაძე ნ. — ჩემი სიყვარული, № 1;
ხატივე, № 4; მზის ჩასვლის წინ, № 6.

ნაცვალაძე დ. — პეტრას სტუმარი,
№ 5.



სამსონია აღ. — ზღვა და სიყვარული, № 1.

ქემხაძე ს. — შეხედრა უცნობთან, № 2.

ქუთათელაძე გ. — სულ ზღვას აგონებს, № 3; ბარათი, ნახატი, მაგნოლია, ჩაფიქრება, ისევ იწყება თავიდან, № 5.

ჩხაიძე აღ. — ჩვენი ეზოს ბიჭები, № 4.

თარგმნილი მოთხრობები,

ნოველები, რომანები

ანტონოვი ს. — პახომოველი ხოდოკი (თარგმნა ტ. ხინთიბიძემ), № 2.

გამარა პ. — მექოთნის სიყვარული (თარგმნა ც. მეფარიშვილმა), № 4.

მოემი ს. — კვალი ჭუნგლებში (თარგმნა ს. პეტროვამ), № 6.

მოპასანი გ. — წუთისოფელი (თარგმნა ლ. მხეიძემ), № 1, 2, 3.

დღეები და აღმზიანები

ბელმესი ს. — ყრილობის დელეგატები, № 2.

ლორია პ. — სიბო, სიტყბო და სიუხვე ჩვენი ქვეყნისა, № 6.

მოდებაძე ნ. — სოფლის თვალი, № 3.

ტულუში ს. — ომგადახდილი, № 4.

ტულუში ს., მშვიდობაძე მ. — ცოცხალი მატიაწე, № 2.

პუბლიკაციები

ასათიანი ლ. — შენ, ზ...ს, №-ს, № 6.

ხელაძე ლ. — არტურ ლაისტი აჰარის შესახებ, № 6.

ძიმიტარაშვილი ლ. — ჩემი სამეფო, აქ, ყვავილებთან, ჭერ კიდეც მინდა, *** (მინდა აღდგომა...), *** (გული მამალებს...), *** (გამომადვილა შენმა ფრთხილმა...), № 4.

პრიტიკა და პუბლიცისტიკა

ართილაყვა ა. — ტარიელისა და ავთანდილის გრძნობათა გამოვლინების ზოზიერთი თავისებურება, № 2.

ახვლედიანი ხ. — სერგეი მესხი და სამხრეთ საქართველო, № 1.

ბათიაშვილი გ. — ფიქრები ზოთა ხე-მწიანის პოეზიაზე, № 2. ერკუნული დუმბაძე ნ. — სანდრო ტაყაყაყაყა თეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებები, № 5.

ვარლამიშვილი ი. — ალექსანდრე გარსევანიშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა, № 6.

ელიშბარაშვილი კ. — აღმავლობის გზით, № 6.

კიკნაძე ვ. — რუსთაველი და „მესამე ლექსი“, № 5.

კომახიძე დ. — ბათუმის რეკონსტრუქციისა და გაშენების ზოგიერთი საკითხი, № 1.

კომახიძე რ. — ჰაიდარ აბაშიძის ხსოვნას, № 1.

ლევინა ი. — მშვენიერის, იდეალურისა და რომანტიკულის ურთიერთდამოკიდებულება, № 6.

მებზევიშვილი ზ. — პეტრე უმიკაშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, № 3.

ნაცვალაძე დ. — ლავრენტი წულაძე, № 2.

ნაცვლიშვილი პ. — თეიმურაზ პირველის ერთი სტროფის გამო, № 2.

ფარეიშვილი ო. — ჟურნალ „ნიუ მენსიზი“ მ. შოლოხოვის „წყნარი დონის“ შესახებ, № 4.

ჭურბე უ. — „მართლის“ თქმის პრინციპი და დავით გურამიშვილი, № 4; ერის სულიერი საუნჯე, № 5.

შამელაშვილი რ. — მეტყველების კულტურის საკითხები „ვეფხისტყაოსანში“, № 4.

ჩავლეიშვილი აღ. — მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლის წყაროები, № 3, 4; რუსთაველის აფორიზმები აკაკი წერეთლის შემოქმედებაში, № 5.

ჩიჯავაძე შ. — „ვეფხისტყაოსნის“ ორი სიტყვის განმარტებისათვის, № 5.

ჩხაიძე ს. — ზღვა და „ვეფხისტყაოსანი“, № 3.

ჯავახიშვილი გ. — ბათუმში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, № 5.

ჭორბენაძე პ. — „ვეფხისტყაოსნის“

ქანობრივი თავისებურებანი, № 5.

ლიტერატურული კალენდარი

ქურიძე შ. — ზალხის საყვარელი მწერალი (პ. ლორიას დაბადების 70 წლის-თავის გამო), № 6.

ფილკლორი

ნოღაიდელი ჯ. — გედევანიძეების კმ-თიშობილური საქციელი, № 6.

წიგნის თარო

ბაბილოძე გრ. — ახალი ნაშრომი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის შესახებ, № 2.

ნაცვლიშვილი პ. — ირაკლი აბაშიძის ახალი ლექსთა კრებული, № 6.

სიჭინავა ვლ. — მხოლოდ რეპლიკა, № 6.

ქემხაძე ვლ. — პარმენ ლორიას ახალი რომანი, № 4.

ცერცვაძე ი. — წიგნი სტალინგრადის გმირულ ბრძოლებზე, № 2.

ხმალაძე პ. — დავით კასრაძის დრო-ტული პოემა, № 5.
ჯავახიშვილი ი. — ფიქრების წიგნი „შვილები“, № 6.

აპარის წარსულიდან

გერსამია ს. — ერთი ფრიად მნიშვნელოვანი თათბირი და მემედ აბაშიძე, № 1.

გოცირიძე მ. — ქალთა კლუბი აჭარაში, № 2.

მგელაძე ვლ. — პეტრე უმიკაშვილი აჭარელთა მუჰაჯირობის შესახებ, № 6.

სიხარულიძე ი. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მონღოლთა მფლობელობის ხანაში, № 1.

სურგულაძე ა. — ბათუმის რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან, № 2.

სურმანიძე რ. — თედო სახოკია აჭარაში, № 4.

შამილაძე ვ. — სავაჭრო ურთიერთობის განვითარების ისტორიიდან აჭარაში, № 3.

ზელმოწერილია დასაბეჭდად 19/XI, 1966 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი,
შეკვეთის № 5966, ემ 00843. ქაღალდის ზომა 60X90, ტირაჟი 1.800.
* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის
მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).

ფან 40 ააა.

6 24/06



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„ლიტერატურული აჭარა“
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ИНДЕКС 76118